# თბილისის ეკონომიკური ფორუმის II სესია

(დედაქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ — ანალიზი, კონცეპტუალური მოსაზრებები, წინადადებები)

ქ. თბილისი, 4-5 მაისი, 1998 წ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ღონისძიების დაფინანსებისათვის
განსაკუთრებულ მადლობას
ვუხდით ფრიდრიხ ებერტის ფონდს

C 99 - 02461

©FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# თბილისის ეკონომიკური ფორუმის II სესია

(დედაქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ — ანალიზი, კონცეპტუალური მოსაზრებები, წინადადებები)

სარედაქციო კოლეგია:

ლეო ჩიქავა (მთ. რედაქტორი)
მიხეილ გურგენიძე
გურამ მირიანაშვილი
გიორგი ხაჭაპურიძე

C 99 - 02461
Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

გამომცემლობა „ეტრატი"
ქ. თბილისი 1998 წ.

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG



# წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული შეიცავს არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს ეკონომიკური ფორუმის (სეფ) და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით ჩაატარებული თბილისის ეკონომიკური ფორუმის II სესიის მასალებს.

სესია მიეძღვნა ჩვენს დედაქალაქში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკურ ვითარების შესწავლასა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

სეფ-ი 1996 წლის აპრილში შეიქმნა როგორც არასამთავრობო, არაპოლიტიკური, სამეცნიერო, საკონსულტაციო ორგანიზაცია. არსებობის პირველი დღიდან იგი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში, ხელს უწყობს სოციალურ-საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ფორუმში გაწევრიანებული მეცნიერები და ექსპერტები, ეკონომისტები და იურისტები, ინჟინრები და ბიზნესმენები ერთიანდებიან არა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად, არამედ იმისათვის, რომ გამოიმუშაონ დასაბუთებული რეკომენდაციები დინამიური, ეფექტური ეკონომიკის შესაქმნელად. სწორედ სეფ-ის შემუშავებული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობდა საქართველოს სოციალისტური პარტია თავისი პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური ნაწილის შედგენისას.

სეფ-ის ინიციატივით დაფუძნდა თბილისის ეკონომიკური ფორუმი, რომლის მთავარი მიზანია პროგრამებისა და რეკომენდაციების შემუშავება ჩვენს დედაქალაქში არსებული უმწვავესი პრობლემების გადასაწყვეტად. ჩვენს მერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერტების დასკვნების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: ურბანიზაცია და ქალაქგეგმარება; ავარიული შენობებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების სისტემის რეაბილიტაცია; დასაქმება და დემოგრაფიული სიტუაცია; განათლება და ჯანდაცვა; ენერგოუზრუნველყოფა და წყალმომარაგება; მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნალური მეურნეობა; სანიტარული უსაფრთხოება; სოციალური დაცვა და ა.შ. ამ მიმართულებების მიხედვით შეიქმნა კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც სესიაზე განსახილველად წარმოადგინეს წინამდებარე წინადადებები, რეკომენდაციები და კონცეპტუალური მოსაზრებები. ზოგიერთი მათგანი შეიძლება საკამათო და დასახვეწიც იყოს, მაგრამ სწორედ ეს არის ჩვენი მიზანიც – წამოვიწყოთ თბილისის პრობლემების საჯარო განხილვა, რათა ერთიანი ძალისხმევით შევძლოთ მათი გადაჭრა. ჩვენ მზად ვართ აქტიური თანამშრომლობისათვის ყველა დაინტერესებულ პირთან, სახელმწიფო, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, ვისაც ხელეწიფება ამ პრობლემების გადაწყვეტა, უწინარესად ქალაქის მერიასთან, შესაბამისი პროფილის მეცნიერებთან და სპეციალისტებთან.

კრებულში განხილული საკითხები, ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს მკითხველთა წრეშიც, მითუმეტეს, რომ მათი ავტორები ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები და სპეციალისტები არიან.

როგორც მოგეხსენებათ, წელს ტარდება ადგილობრივი არჩევნები. ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენს აქტიურობაზე და სწორ გადაწყვეტილებაზე ბევრად იქნება დამოკიდებული თბილისის ხვალინდელი დღე.

დასასრულ, დიდ მადლობას მოვახსენებთ ფრიდრიხ ებერტის ფონდს, რომლის მესვეურებმა დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს თბილისის ეკონომიკური ფორუმის II სესიის ჩატარებაში.

*ვახტანგ რჩეულიშვილი*

სეფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი

# ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

## 1. ორგანიზაციის დასახელება:

სეფ - საქართველოს ეკონომიკური ფორუმი;

## 2. ორგანიზაციის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია:

სეფ - საქართველოს ეკონომიკური ფორუმი,
საქართველო, თბილისი 380005,
ლესელიძის ქ. № 41.
ტელ.: (995 32) 98 33 67;
ფაქსი: (995 32) 93 27 09.

## 3. ორგანიზაციის ხელმძღვანელი და საკონტაქტო პირები:

ვახტანგ რჩეულიშვილი, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;
ნოდარ ჭითანავა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
გურამ ახვლედიანი, ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარე;
გურამ ბენაშვილი, პროფკავშირთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;
მიხეილ გვერდწითელი, ეროვნული მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
გიორგი გურგენიძე, აღმასრულებელი მდივანი;
გელა გრიგოლაშვილი, მეცნიერ-მდივანი;
მამუკა ლოლაძე, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე.

## 4. ორგანიზაციის მოკლე დახასიათება:

სეფ დაფუძნდა 1996 წლის აპრილში.

სეფ არასამთავრობო, არაპოლიტიკური, სამეცნიერო, საკონსულტაციო ორგანიზაციაა. იგი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ეკონომიკის რეფორმირების პროცესში. ხელს უწყობს დემოკრატიის, ეკონომიკის, განათლების, ბიზნესისა და სხვა სისტემების განვითარებას.

ამოქმედების დღიდან სეფ ახორციელებს თავის გეგმებს, ქმნის ქსელს, რომელმაც საბოლოოდ საქართველოს ყველა რეგიონი და აგრეთვე კავკასია უნდა მოიცვას. კავშირი აქვს მსოფლიოს სამეცნიერო დაწესებულებებთან და რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სეფ-ის სტრატეგიული მიზანია ეკონომიკური და სოციალური რეფორმებისა და განვითარების ალტერნატიული პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის ხელის შეწყობა.

## 5. ორგანიზაციული სტრუქტურა და მიზნების განხორციელების საშუალებები:

სეფ-ის ხელმძღვანელი ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო მისი სტრუქტურული ერთეულებია: სამეცნიერო საბჭო, ბიზნეს საბჭო, ეროვნული მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი, დამოუკიდებელ პროფკავშირთა საკოორდინაციო საბჭო და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო. აღმასრულებელი კომიტეტი ახორციელებს ფორუმის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას და უზრუნველყოფს შემუშავებული პროგრამების პოპულარიზაციას და განხორციელების ხელის შეწყობას. იგი განსაზღვრავს სეფ-ის საქმიანობის საერთო სტრატეგიასა და ტაქტიკას. აღმასრულებელ კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს ფორუმის ხელმძღვანელია.



## 6. საპროგრამო მოქმედების არეები:

სეფ მოწოდებულია იმისათვის, რომ:

- შეიმუშაოს ალტერნატიული ხასიათის პროგრამები და კონცეფციები;
- პოპულარიზაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას;
- ხელი შეუწყოს გლობალური პროგრამებისა და პროექტების საჯაროდ განხილვას;
- ხელი შეუწყოს თანამედროვე საბაზრო აზროვნების ჩამოყალიბებას;
- გასწიოს ოფიციალური სამთავრობო კურსის ჯანსაღი ოპონირება;
- ყოველმხრივ ითანამშრომლოს სამთავრობო სტრუქტურებთან ყველა დონეზე;
- დაეხმაროს ეკონომიკური პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩამოყალიბებასა და საქმიანობაში;
- ხელი შეუწყოს ურთიერთობების დემოკრატიული, ცივილიზებული ფორმების დამკვიდრებას.

ამჟამად სეფ აყალიბებს შემდეგ ძირითად პროგრამებს: „აბრეშუმის დიდი გზა" - მოიცავს TRACECA - სა და საქართველოში სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; „კაპიტალი" - მოიცავს საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღების ღონისძიებებს; „სინათლე" - მოიცავს ენერგეტიკის განვითარების კონცეფციასა და პროგრამებს; „მზე" - მოიცავს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობებს; „მრეწველი" - მოიცავს მრეწველობის რეკონსტრუქციისა და განვითარების კონცეფციასა და პროგრამებს; „მყოფადი" - მოიცავს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების კონცეფცია-პროგრამას; „კირითხურო" - მოიცავს მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობების რეაბილიტაციის პროგრამას.

პროგრამა „კაპიტალის" ფარგლებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „რეკონსტრუქციის და განვითარების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს განვითარების საინვესტიციო სპეციალური სახელმწიფო ფონდის შესახებ". მუშავდება აგრეთვე სხვა პროგრამებით გათვალისწინებული კანონპროექტები.

# INFORMATION ABOUT ASSOCIATION

1. **Name of association:**
EFG - Economic Forum of Georgia

2. **Association's address and contact data:**
EFG - Economic Forum of Georgia
41, Leselidze street, Tbilisi, 380005, Georgia
Tel: (995 32) 98 33 67
Fax: (995 32) 93 27 09

3. **Association head and contacting persons:**
Vakhtang Rcheulishvili, chairman of executive committee
Nodar Chitanave, chairman of scientific board
Guram Akhvlediani, chairman of business council
Guram Benashvili, chairman of trade union coordinating council
Michael Gverdtsiteli, chairman of national economy development department
George Gurgenidze, executive secretary
Gela Grigolashvili, scientific secretary
Mamuka Loladze, chairman of young scientists board

4. **Brief reference:**
EFG was established in April 1996.

EFG is a non-governmental, non-political, scientific, advisory organization. It take active part in the process of reforming of Georgian economy, promotes democracy, economy, education, business and other systems.

From the commencement day EFG conducts its plans, creates network to involve all regions of Georgia and Caucasus. EFG contacts with the scientific institutions worldwide and regional and international organizations.

EFG strategic goals are: elaboration of alternative projects of economic and social reforms and development and their promotion.

5. **Organizational structure and ways to achieve aims and purposes:**
EFG managing body is the executive committee, its structural units are: scientific board, business council, national economy development department, independent trade union coordinating council and young scientists board. The executive committee carries out the general management of association's activity and secures promotion of popularization and implementation of the elaborated global projects. It specifies the general strategy and tactics of EFG activity. The executive committee is headed by the chairman who concurrently is the head of forum.

6. **Areas of programme activity:**
EFG mission is:

- to work out alternative projects and concepts;
- to popularize and promote those projects;
- to promote consideration of global programs and projects in public;
- to promote formation of the modern market thinking;
- to render congenial opposition to the formal governmental course;
- to cooperate with governmental structures at all levels anyway;
- to support creation and activity of non-governmental organizations of economic profile;
- to promote establishment of democratic and civilized forms of cooperation.

At present EFG elaborates and implements the following general programs: "Great Silk Path" - it mainly includes problems connected with development of transport and energy corridor of TRACECA in Georgia; "Capital" - it includes the measures for improvement of investment climate; "Light" - includes conceptions and projects of development of energy; "Sun" - includes the opportunities of use of alternative sources of power; "Production" - includes conceptions and projects of



reconstruction and development of industry; " Future" - includes conception-project of stable and safe development; "Mason" - includes the program of rehabilitation of construction and communal service.

Within the frames of program "Capital" there will be submitted to the Parliament of Georgia the bill On National Agency for Reconstruction and Development and Special State Investment Development Fund of Georgia. The bills provided by other programs are also worked out.

# თბილისის ეკონომიკური ფორუმის მიზნობრივი პროგრამები

1. ქალაქის ისტორიული იერსახის შენარჩუნება, ურბანიზაციის ოპტიმიზება და არქიტექტურული ზედამხედველობის ნორმალიზება, გენგეგმარების კორექტირება;
2. მრეწველობის, მშენებლობისა და მომსახურების სფეროთა შეწონასწორებული განვითარება და რეალური სამუშაო ადგილების შექმნა;
3. სანიტარული მდგომარეობის გაჯანსაღება, კეთილმოწყობის რეალური პროგრამები, მოულოდნელობებისაგან მოქალაქეთა სანიტარული დაცვა – ეპიდემიათა პროფილაქტიკა;
4. ქალაქის სატრანსპორტო სქემის კორექტირება, მეტროპოლიტენის მშენებლობის აქტივიზირება, სატრანსპორტო მომსახურების საკითხთა გადაწყვეტა;
5. ქალაქის საკომუნიკაციო და კომუნალური ქსელების ნორმალიზაციისა და მოწესრიგების პროგრამები;
6. ქალაქის ენერგოუზრუნველყოფისა და წყალმომარაგების ნორმალიზაციის პროგრამები;
7. კანონიერების განმტკიცების პროგრამები. ზნეობა და მართლწესრიგი;
8. საკვები პროდუქტების ხარისხი და უსაფრთხოება. მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
9. სამამულო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და ადგილობრივი ბაზრის დაცვა;
10. უპატრონო ბავშვთა და პენსიონერთა სოციალური უფლებების დაცვა;
11. მოტყუებულ მეანაბრეთა უფლებების დაცვა;
12. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
13. დასაქმების პრობლემები, სპეციალისტთა გადამზადების პროგრამა. დაუსაქმებელ მოქალაქეთა ორგანიზება, მათი თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბება;
14. ჯანდაცვისა და განათლების რეფორმების კორექტირების საკითხი.

## Target-oriented Projects of Tbilisi Economic Forum

3. Preservation of historical image of the city, optimization of urbanization and normalization of architectural supervision, correction of major planning.
4. Balanced development of industry, construction and service spheres and creation of real working places.
5. Improvement of sanitary situation, real programs of equipping with services and facilities, sanitary protection of population from the unforeseen events - prophylaxis of epidemics.
6. Adjustment of city transport scheme, activation of metro construction, solution of transport service problems.
7. Programs for normalization and arrangement o communication and communal networks of the city.
8. Programs for normalization of power and water supply of the city.
9. Programs for law enforcement. Morality and order.
10. Quality and safety of food products. Consumer's rights protection.
11. Promotion of domestic production and protection of domestic market.
12. Protection of social rights of homeless children and pensioners.
13. Protection of rights of swindled depositors.
14. Promotion of small and medium business.
15. Employment problems, programs of training of specialists. Organizing of unemployed citizens, establishment of bodies of their self-government.
16. Problems of correction of health care and education reforms.



საქართველოში გერმანიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ბ-ნ ***ნორბერტ ბაასის*** მისასალმებელი სიტყვა თბილისის ეკონომიკური ფორუმის II სესიის მონაწილეებისადმი

ღრმად პატივცემულო ბატონო *ვახტანგ რჩეულიშვილო,*

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

საუკეთესო სურვილებით მივმართავ თბილისის ეკონომიკური ფორუმის მეორე სესიას. ვულოცავ ორგანიზატორებს და ფრიდრიხ ებერტის ფონდს ამ აქტუალური თემის წამოჭრას. თქვენ სესიაზე ქალაქ თბილისის პოლიტიკის მეტად კონკრეტულ საკითხებს განიხილავთ. ვფიქრობ, მოსაზრებები ქალაქ თბილისის შესახებ, მთელი მისი თვითმყოფადობითა და დემოკრატიული და საჯარო მმართველობის შესაძლებლობებით, შესაშური მიზანია.

გერმანიას სუბსიდიარულობის პრინციპმა კარგი გამოცდილობა შესძინა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ჩვენს ფედერალურ მოწყობაში ქვემდებარე ადმინისტრაციული ერთეული უკეთ ასრულებს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამოცანას, ვიდრე ზემდგომი ორგანო, მაშინ ეს ამოცანა დაბალ დონეზე უნდა გადაწყდეს. სუბსიდიარულობის პრინციპი თავიდან აგვაცილებს ზედმეტ ცენტრალიზაციას. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მყარი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ფარგლებში, რომელშიც ზოგადსახელმწიფოებრივი პოლიტიკური მიზნები ცხადად და დამაჯერებლადაა მოცემული. თუკი სუბსიდიარულობა დემოკრატიული თანამშრომლობის შესაძლებლობებთან არის შერწყმული, მაშინ ძალიან მალე გამოჩნდება, თუ რომელი პარტია რომელ დონეზე მუშაობს უფრო შედეგიანად, წარმოადგენს მოქალაქეთა ინტერესებს და სარგებლობს ნდობით. თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელ ორგანოებს, დაწყებული ყველაზე დაბალი რანგის ადმინისტრაციული ერთეულიდან – საკრებულოებიდან, დამთავრებული ცალკეული მხარეებითა და მთლიანი სახელმწიფოთი, აგრეთვე ევროპული სტრუქტურებით, ერთმანეთისგან განცალკევებული პასუხისმგებლობის სფეროები ჰქონდეთ. მაგრამ ისინი ერთმანეთთან უნდა თანამშრომლობდნენ და ამასთანავე, გარკვეული კონკურენციაც უნდა შეინარჩუნონ. მე, პირადად, ვფიქრობ, რომ გერმანული მოდელი, ისევე, როგორც სხვა ფედერაციულ სახელმწიფოთა, მაგ. აშშ-ს, კანადის, შვეიცარიის მოდელი საქართველოს მომავალი მოწყობისთვის გარკვეულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. ჩვენი თვალსაზრისით, მისასალმებელია, რომ საქართველო რეგიონალურ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კომპეტენციის სფეროების განაწილების შესახებ ინტენსიურ დისკუსიაში ჩაერთო. გისურვებთ წარმატებას ამ დისკუსიაში და დღევანდელი სესიის მსვლელობაში. თქვენი დემოკრატიული ანგაჟირებულობისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საქართველოში წელს პირველად ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები. თბილისს, როგორც საქართველოს უდიდეს ქალაქს, სადაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალია თავმოყრილი, ქვეყანაში დემოკრატიისა და სახელმწიფო მართვის ეფექტურობისთვის წამყვანი როლის შესრულება შეუძლია.

ვუსურვებ თქვენს ფორუმს ყოველივე საუკეთესოს.

**_Address of Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Germany to Georgia Mr. Norbert Baas to the participants of the II session of Tbilisi Economic Forum_**

Dear Mr. *Vakhtang Rcheulishvili*,
Ladies and Gentlemen,

I have the honor to address the second session of Tbilisi Economic Forum. Let me congratulate the sponsors and Friedrih Ebert Fund who has solved this actual task. Your session will consider the most concrete problems of the city of Tbilisi. I believe that your opinions on Tbilisi with all their self-sufficiency and opportunities for democratic and public management are the desirable goal.

Germany has well experienced the principle of appendence. This implies that if within our federal system the purpose of public interest is better performed by the subordinate administrative body than by the superior body then this purpose shall be settled at the lower level. The appendence principle will prevent from the excessive centralism. But it is possible only within the stable governmental structure where the general state political goals are clearly and truly given. If the appendence is accompanied by the possibilities of democratic cooperation it will show soon what party has been working more effective at what level, what party represents the public interests and enjoys the trust more. As based at your experience it is very important that the authoritthe lower level. The appendence principle will prevent from the excessive centralism. But it is possible only within the stable governmental structure where the general state political goals are clearly and truly given. If the appendence is accompanied by the possibilities of democratic cooperation it will show soon what party has been working more effective at what level, what party represents the public interests and enjoys the trust more. As based at your experience it is very important that the authoritthe lower level. The appendence principle will prevent from the excessive centralism. But it is possible only within the stable governmental structure where the general state political goals are clearly and truly given. If the appendence is accompanied r of first communal elections in Georgia is of the greatest importance for your democratic engagement. Tbilisi as the greatest city of Georgia with essential economic potentiality may play the leading role for establishment and development of democracy and efficiency of state administration in Georgia.
Wish all the best to you forum.



*გელა გრიგოლაშვილი* - სეფ-ის მეცნიერ-მდივანი,
„TACIS"-ის პროგრამის ექსპერტი. ეკ. მეცნ. კანდიდატი

# I. მრეწველობის რეაბილიტაციის ეკონომიკური პრობლემები

საბჭოთა ეკონომიკაში ინტეგრაციის არანორმალურად მაღალი დონე და აქედან გამომდინარე თითქმის სრული დამოკიდებულება იმპორტულ საწვავზე, სათადარიგო ნაწილებზე და ტექნიკურ დახმარებაზე შეუძლებელს ხდიდა დამოუკიდებელი მრეწველობის არსებობას. ყოველივე ამის გამო თავიდანვე ძალიან გაჭირდა საექსპორტო პროდუქციის წარმოება. ამას დაემატა ჩვენი საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა და იმპორტულ რესურსებზე ფასების მკვეთრი და სწრაფი ზრდა და მოხდა ის, რასაც გარდაქმნების საწყის ეტაპზე არავინ ელოდა – კერძოდ კოლაფსი. 1990 წლიდან 1995 წლამდე მრეწველობა გიგანტური ტემპებით ეცემოდა, 1995 წელს ვარდნა მკვეთრად შემცირდა და 1996 წელს მნიშვნელოვანი ზრდა (11,4%) დაფიქსირდა. თუმცა 1996 წელს მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ 1988 წლის დონის მხოლოდ 14,2% შეადგინა (საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები – IV კვარტალი, 1996 წ. გვ. 10.). ეს ტემპი ვერ შენარჩუნდა. 1997 წლის I კვარტალში ზრდამ 6,8%, ხოლო II კვარტალში შეუდარებლად უფრო დაბალი – 1,6% შეადგინა, რაც 1997 წლის I ნახევრის 5,1%-იანი მაჩვენებლით გამოიხატა. ამგვარად, მთლიანი პროდუქციის მოცულობა სტაგნაციას განიცდის (საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები – II კვარტალი, 1997 წ. გვ. 10.). ამ მხრივ მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილება არც წელს მომხდარა. სტაგნაციური მდგომარეობის მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ: ა) პრივატიზაციის სტრატეგიაში დაშვებული შეცდომები; ბ) საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; გ) სამრეწველო საწარმოთა უაღრესად მოძველებული მენეჯმენტი; დ) მარკეტინგის უაღრესი განუვითარებლობა; ე) საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობა; ვ) მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ძირითადი კაპიტალი და სხვ.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის თითქმის მესამედი არ ფუნქციონირებს. მოქმედ საწარმოებში წარმოების შესაძლებლობების გამოყენება 20%-დან (ქიმიური მრეწველობა) 5%-მდე (მანქანათმშენებლობა) მერყეობს. ამავე დროს, იმავე წყაროს ცნობით, მძიმე მრეწველობაში ძირითადი ფონდების 40% 20 წელზე მეტი ხნოვანებისაა, ხოლო ქიმიურ მრეწველობაში იგივე მაჩვენებელი 95%-ს აღწევს. დანადგართა მხოლოდ 1-2% არის 5 წელზე ნაკლები ხნის (სემ. 1996 წლის IV კვარტალი. გვ. 10). ამრიგად, მდგომარეობა მართლაც უმძიმესია. სახეზეა ფარული დეინდუსტრიალიზაციის პროცესის უარყოფითი შედეგები.

მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 14%-ს შეადგენს. მთლიანი შიდა პროდუქტის სექტორულ სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, გავრცელებასა და საცალო ვაჭრობას და არამატერიალურ წარმოებას. ასეთი სტრუქტურის მქონე მთლიანი შიდა პროდუქტიდან მისი მთლიანი მოცულობის დაახლოებით 15% თუ შეიძლება იქნეს ამოღებული გადასახადების სახით. თუ გავიხსენებთ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების სირთულეს და საგადასახადო ბალანსის პრობლემებს, მაშინ ცხადი გახდება მრეწველობის ხვედრითი წილის ამაღლების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ ის, რომ მთლიან შიდა პროდუქტში კაპიტალურ დაბანდებათა ხვედრითი წილი მხოლოდ 1-1,5%-ის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, ეს კატასტროფულად მცირე მაჩვენებელია. დღეს არსებობს მრეწველობის სახელმწიფო სექტორის მართვის საბაზრო ბერკეტების დამუშავების აუცილებლობა, კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებების გატარება და კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის ჯანსაღი კონკურენციის გარემოს ფორმირებისათვის წამახალისებელი ღონისძიებების გატარება. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ტრანსფორმაციის პროცესებისათვის მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ქმნის საწარმოთა ლიდერების მენტალური ბარიერები და საბაზრო განვითარებისათვის შეუფერებელი მენეჯმენტი, მაგრამ იმავდროულად არსებობს მომგებიანი, აქტიური სინდრომები, რომელთა წახალისება დიდად შეუწყობს ხელს წარმატებული ტრანსფორმაციის პროცესს საწარმოებში.

საბაზრო აზროვნების ჩამოყალიბების გზაზე მენტალურ ბარიერებს საწარმოთა სტრატეგიული და ოპერატიული ხელმძღვანელების აზროვნების შემდეგი სინდრომები ქმნის: ა) ჭარბი ქონების შენარჩუნების, ანუ გადარჩენის სინდრომი; ბ) დასაქმების დონის მოჩვენებითი შენარჩუნების სინდრომი; გ) იღბლიანი ხანის დადგომის მოლოდინის, ანუ უმოქმედობის სინდრომი; დ) რუსოცენტრიზმის სინდრომი; ე) „პროტექციონიზმის" სინდრომი; ვ) სასიცოცხლო ძალების გარედან დახმარებით აღდგენის სინდრომი. ხსენებული ბარიერების დარღვევის გზაზე ხელშემწყობ პირობებს კი შემდეგი აქტიური სინდრომები ქმნის: ა) აზროვნების ეკონომიზაციის, ანუ ქონების უნარიანად გამოყენების სინდრომი; ბ) საწარმოს ინტერესების ჯგუფურად დაცვის სინდრომი; გ) საბაზრო პირობებისათვის თანამშრომელთა მომზადებისათვის მზადყოფნის სინდრომი; დ) „ევოლუციური რეალიზმის" სინდრომი; ე) ხელსაყრელ გარემოებათა მაქსიმალურად გამოყენების სინდრომი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საწარმოების უმრავლესობას არ ძალუძს შესაბამისი სამთავრობო ორგანოების დახმარების გარეშე გასაღების ბაზრის მონახვა. ახალი ბაზრის მონახვა, ერთის მხრივ, დიდ სახსრებს მოითხოვს და მეორეს მხრივ, მას სჭირდება დრო, საერთაშორისო კონტაქტები და შესაბამისი კვალიფიკაცია. ამასთანავე აუცილებელია საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურის ძირეული ცვლილება, ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი მენტალიტეტის და ფასეულობათა სისტემის გარდაქმნა. უწინდელი გარემო საწარმოს წინაშე ძირითადად მომარაგებისა და წარმოების პრობლემებს აყენებდა. ბაზარზე შეღწევა და პროდუქციის რეალიზაცია არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან პრობლემას. ამ ამოცანებს იყო მორგებული საწარმოების სამმართველო სტრუქტურა, დამკვიდრებული თანამდებობრივი იერარქია და ფუნქციურ ქვედანაყოფებს შორის უფლება-მოვალეობათა განაწილება. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ეს სისტემა არ დაშლილა; იგი დღესაც არსებობს და საოცარ სიმტკიცეს ავლენს. მის არსებობას შედეგად მოაქვს ის, რომ სტრატეგიული დონის ხელმძღვანელები დაგვიანებით იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს ბაზრის კვლევის, მარკეტინგის, გასაღების ანუ ვაჭრობის საკუთარი ქსელის სამსახურების შექმნის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელთა აბსოლუტურ უმრავლესობას თეორიულად ესმის წარმოების მარკეტიზაციის დიდი მნიშვნელობა, საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ამავე დროს, აუცილებელია საწარმოებში შეიქმნას ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილებები.

ჩვენი საწარმოების შიდა გარემოს გარდაქმნის პროცესი რამდენიმე მიმართულებით უნდა წარიმართოს:

ა) საბაზრო ეკონომიკა საწარმოებისაგან სწრაფ და მოქნილ რეაქციას ითხოვს, რისი მიღწევაც შესაძლებელია ხისტი თანამდებობრივი იერარქიის შესუსტებით. საჭიროა დაირღვეს ფუნქციურ სექტორებსა და განყოფილებებს–წარმოების, მარკეტინგის, მომარაგების, ასორტიმენტის განვითარების, გასაღებისა და სხვებს შორის არსებული ხისტი საზღვრები. ეს შესაძლებელი გახდება მრავალფუნქციური და უნივერსალური მუშაკის ტიპის ჩამოყალიბებით. ცხადია, აქვე იგულისხმება ერთობლივი მუშაობისა და თანამშრომლობის კარგად მცოდნე მენეჯერის ფორმირება;

ბ) სამმართველო პერსონალი უნდა გადაერთოს თავისი საწარმოებისთვის სხვა ფირმებთან შედარებით კონკურენტული უპირატესობის შექმნის დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაზე. ეს გულისხმობს პროდუქტის სპეციფიკურ თვისებებს, დაბალ დანახარჯებს და ისეთი საბაზრო ნიშის არჩევას, რომელიც მომხმარებელთა მოცემული ჯგუფის სპეციფიკურ ნიშნებთან მიწოდების შესაბამისობის შესაძლებლობას იძლევა;

გ) ბაზრის ცვალებადობა, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მკვეთრი შემცირება მოითხოვს მოქმედების სისწრაფესა და სიმკვირცხლეს, მოქნილობას. იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც სხვებზე დროულად სთავაზობს მომხმარებელს უკეთეს პროდუქციას. ყოველივე ეს შინაგანი საინვესტიციო რესურსების მოძიებას, მობილიზაციისა და გარედან ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების უნარს მოითხოვს;

დ) მართვის თანამედროვე სისტემა მრეწველობას მაღალ მოთხოვნებს უყენებს, რაც ქმნის ე.წ. „ადამიანურ პოტენციალში“ ანუ საწარმოს შრომით რესურსებში სახელმწიფო და კერძო კაპიტალდაბანდებათა აუცილებლობას. აღნიშნული სახის კაპიტალდაბანდებები გულისხმობს: 1) დანახარჯებს საწარმოს მუშაკთა განათლებაზე, განვითარებაზე და პროფესიულ სრულყოფაზე; 2) დანახარჯებს მაღალკვალიფიციური მუშაკების დაქირავებაზე; 3) დანახარჯებს მონოლითური „საწარმოო კულტურის“ ჩამოყალიბებაზე, რომელიც ხელს უწყობს მუშაკთა მიერ დადგენილი თამაშის წესების, პრინციპების, ჩამოყალიბებული ფასეულობებისა და ნორმების ნებაყოფლობით დაცვას.

ყოველივე თქმული გულისხმობს განათლების დონის ამაღლებას, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის დაახლოებას ბაზრის მოთხოვნებთან და მეცნიერების ინტეგრაციას წარმოებაში. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც საშუალოვადიანი ამოცანა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და წარმოების პრაგმატულ საფუძველზე დაახლოებას. განსაკუთრებულ ყურადღებას გამოყენებითი კვლევების სტიმულირება და წარმოებაში დანერგვის მოქნილი სისტემის შექმნა იმსახურებს. როგორც ერთი, ისე მეორე პრობლემის გადაწყვეტა პროგრამულ, კონკურსულ მიდგომას საჭიროებს. კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, რომელთა შედგენა, სხვათა შორის, მოკლევადიან ამოცანას წარმოადგენს, უნდა გამოცხადდეს კონკურსი, როგორც ტრადიციული სამეცნიერო ინსტიტუტების, ასევე ვენჩურული ფირმებისათვის, რათა ჯანსაღი კონკურენციის გარემოში ჯანსაღი ნაყოფი გამოიღოს. გამარჯვებულ ინსტიტუტთან თუ ფირმასთან უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებას. გარდა ნახსენები ვენჩურული ფირმებისა, ყოველმხრივ უნდა წახალისდეს ლიზინგური საქმიანობა, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს ლიზინგური ტიპობრივი ხელშეკრულებების დამუშავება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებების საფუძველზე. ასევე უნდა მომზადდეს საფუძველი კონფორმაციული სახლის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც მოგვევლინება შუამავლად სამამულო სამრეწველო საწარმოებსა და უცხოელ კლიენტებს შორის ვაჭრობის პროცესში. მას, ცხადია, თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი ჯეტროს სისტემაში, რომელიც შესაბამის სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა შეიქმნას ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობის ფარგლებში. ასევე ყოველმხრივ უნდა წახალისდეს ინჟინერინგული საქმიანობა, რომელიც განხორციელდება საინჟინრო-კონსულტაციური ფორმით. იგი გულისხმობს წინა საპროექტო, პროექტირების



შემდგომი პერიოდის, აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის ექსპლუატაციის, მართვის რეალიზაციის შესახებ რეკომენდაციული ხასიათის მომსახურებას. მრეწველობის აღორძინებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღების გარეშე. კარგი იქნება გვეფიქრა საინვესტიციო ფონდების შექმნისა და ფუნქციონირების საჭირო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე და აგრეთვე საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის ნების დართვაზე.

სამამულო მრეწველობის წინაშე შემდეგი უმნიშვნელოვანესი გრძელვადიანი ამოცანები დგას: სტრუქტურული · გარდაქმნის, მოდერნიზაციის, საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტების გადახალისების პოლიტიკის გატარება და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პირობებისადმი ადაპტაცია. მომავლისათვის ძირითადი ყურადღება ადგილობრივი ნედლეულისა და სასარგებლო წიაღისეულის ეფექტური გამოყენების ბაზაზე მრეწველობის შეკრული სისტემის ჩამოყალიბებისათვის მყარი საფუძვლების მომზადებას უნდა მიექცეს. ეს მომენტი უნდა დაედოს საფუძვლად კონკრეტული პრიორიტეტების გარკვეული წრის განსაზღვრას და წარმოდგენილი სქემის საფუძველზე უახლოეს მომავალში მრეწველობის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებას. სექტორული პრიორიტეტის ფარგლებში კონკურსულ საფუძველზე უნდა შეირჩეს საწარმოები, რომლებიც დაექვემდებარებიან სახელმწიფოს მხრიდან რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის პროცესებს. ასეთ საწარმოებს დაეკისრებათ ხსენებული კონცეფციის საფუძველზე შემუშავებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელება. ეს სასურველ ეფექტს მოიტანს სახელმწიფოსა და საწარმოების თანამშრომლობის ფონზე, რომელსაც „სახელმწიფო-საწარმო“ დიალოგის ფორმა უნდა ჰქონდეს. ამასთანავე აუცილებელია საწარმოთათვის კონკურსული გარემოსათვის მომზადების შესაძლებლობის მიცემა. მათთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და ხასიათი, აგრეთვე მათთვის განკუთვნილი რეკომენდაციები. ყოველივე ამის მიზანი უნდა იყოს საწარმოთათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მათ აიძულებს მაქსიმალურად გამოიყენონ შინაგანი სახსრები და შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულ საწარმოებთან უნდა დაიდოს პროგრამული კონტრაქტები, რომლის იურიდიული საფუძველი იქნება კანონი პროგრამული კონტრაქტის შესახებ. არსებული კონტრაქტის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საწარმოს გარკვეული პირობების შესრულება, ხოლო საწარმოს, თავის მხრივ, ექნება უფლება არა მისი მიზეზით სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში მოითხოვოს გათვალისწინებული კომპენსაცია. ცხადია, ასეთ საწარმოებს კონკურსში გამარჯვების შემდეგ ჩაუტარდებათ ყოვლისმომცველი სამეურნეო, საფინანსო და ადმინისტრაციული ანალიზი მასზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის. ამგვარად, თანდათან გამოიკვეთება საწარმოთა სამი ჯგუფი:

ა) რომლებიც განწირულნი არიან ლიკვიდაციისათვის;

ბ) რომლებსაც შეუძლიათ შეკვეცილი მასშტაბით, გარკვეულ დრომდე, გააგრძელონ ფუნქციონირება;

გ) რომლებსაც სამომავლო განვითარების პერსპექტივა გააჩნიათ. საინვესტიციო სახსრები ძირითადად ამ ჯგუფის საწარმოებისაკენ იქნება მიმართული.

ნათელია, რომ მრეწველობის სრული მოცულობით აღსადგენად სახელმწიფოს სახსრები არ ეყოფა. ამიტომ, ეკონომიკური ზრდის ძირითად ვარიანტად არაბალანსირებული ზრდის სტრატეგია გვევლინება. იგი მრეწველობის მდგომარეობისა და სამრეწველო პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტების ღრმა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული სექტორული სელექციის მხარდაჭერის პოლიტიკით უნდა გამოიხატოს და იგი მყარი მომავლის მქონე სექტორების მხარდაჭერასთან ერთად მიმართული უნდა იყოს სამრეწველო კომპლექსის, როგორც ქვეყნის რეალური სექტორის, [illegible] ჩამოყალიბებისაკენ.

# II. საინვესტიციო ნაკადების მართვის ორგანიზაციული ასპექტები

ბოლო წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით განხორციელებული მონეტარული ხასიათის რეფორმების შედეგად მიღწეული ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციის დამაკმაყოფილებელი დონე ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების წინაპირობაა. მაგრამ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზაზე პრაქტიკული თვალსაზრისით საზიანოა კიდეც ამ მოვლენის გადაჭარბებით შეფასება.

ეკონომიკური აღმავლობის შემაფერხებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა სტრუქტურული გარდაქმნების ნელი ტემპები, საკრედიტო ბაზრის განუვითარებლობა, ინვესტიციების წამახალისებელ გარემოებათა არარსებობა, საბრუნავი სახსრების ნაკლებობა და ა.შ.

ასეთ პირობებში კეთილსასურველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სადაც კი ეს შესაძლებელია, საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ბიუჯეტის მიმდინარე და საინვესტიციო ნაკადები. ეს აუცილებლობას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მუდმივად არსებობს მიმდინარე საჭიროებებისათვის განკუთვნილი სახსრების ქრონიკული დეფიციტი საგადასახადო სისტემის უაღრესი არაეფექტურობისა და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიაში დაშვებული არც თუ მსუბუქი შეცდომების მიზეზით. ხსენებული დეფიციტი ჩანასახშივე ახშობს საინვესტიციო სახსრების წარმოქნას. ამიტომ მიმდინარე და საინვესტიციო საბიუჯეტო ნაკადების მექანიკური გამიჯვნა არ არის საკმარისი. აუცილებელია შეიქმნას საინვესტიციო ნაკადების რეგულირებისა და მართვის სპეციფიკური მექანიზმი, ე.წ. სააგენტო, რომელიც დაკავებული იქნება მწირი საინვესტიციო სახსრების სისტემატური თავმოყრით, გამრავლებით და არასაბიუჯეტო საინვესტიციო რესურსებთან ერთად მათი მიზნობრივი და ეფექტური გამოყენებით.

ამჟამად საქართველოს მრეწველობას, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების მსგავსად, გააჩნია როგორც სუსტი, ასევე ძლიერი მხარეები (იხ. ნახ. 1.)

სააგენტო მოწოდებულია ძლიერი მხარეების გამოყენებისა და სადაც შესაძლებელია, მათი კიდევ უფრო გაძლიერებისათვის, აგრეთვე სუსტი მხარეების შერბილებისა და სამომავლოდ დაძლევისათვის.

სწორედ ეს განსაზღვრავს სააგენტოს ფუნქციებს, როლსა და სტრუქტურას. სააგენტოს მიზანს წარმოადგენს მრეწველობის აღორძინებისათვის ხელშეწყობა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მეშვეობით. ამგვარად, სააგენტოს ინტერესებს მრეწველობის რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის იმავდროულად წახალისება და ხელისშეწყობა წარმოადგენს.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

– მთავრობისადმი ხელშეწყობა სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად;
– ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებით სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა ზრდა;
– ეკონომიკური განვითარების ძირითადი ელემენტების (კაპიტალი, ტექნოლოგიები, სამმართველო ცოდნა და ჩვევები) მოზიდვა;
– სახსრების მოზიდვა საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად;
– საკუთარი ორგანიზაციის შესანახ ხარჯებზე მეტი ღირებულების საზოგადოებრივ დოვლათისა და უპირატესობების შექმნა.

ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებას სააგენტო ახერხებს მრეწველობის ძლიერი მხარეების გაძლიერებით, სუსტი მხარეების შერბილებითა და დაძლევით, სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში საკუთარი როლის გააზრებით და ადგილის მონახვით შესაბამისი მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნით (იხ. ნახ. 2).

## 1. *ძლიერი მხარეების გაძლიერება*

ა) ბუნებრივი რესურსების ათვისების ხელშეწყობა. სააგენტომ უნდა შეიმუშაოს მრეწველობის დარგების განვითარების გეგმა. იგი უნდა შეიცავდეს დარგის განვითარების მიზანს, არსებულ მდგომარეობას და დასახული მდგომარეობისაკენ გარდამავალ სტრატეგიებს, რომელებიც განხორციელდება დასახული მიზნების რეალიზაციის პროცესში. ცხადია, ყოველივე თქმული ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის გამართულ სისტემას გულისხმობს, რომლის ბაზაზე შესაძლებელია ამა თუ იმ დარგის განვითარების პროცესის დაწყება და პოტენციურ ინვესტორთა მოზიდვა. გეგმას უნდა ჰქონდეს საინვესტიციო პროექტის ფორმა. მასში განსაზღვრული და დასაბუთებული უნდა იყოს ლოგიკურად გამართლებული შესაძლებლობანი საინვესტიციო საქმიანობისათვის, აგრეთვე ძირითადი მოთხოვნილებები და არსებული რესურსები;

ბ) შრომითი რესურსების ხარისხობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა. სააგენტომ უწინარესად უნდა გაამახვილოს ყურადღება შრომითი რესურსების სტრუქტურაზე და ხარისხობრივ დონეზე. სააგენტომ ქმედითი



გავლენა უნდა მოახდინოს კადრების მომზადებისა და განათლების პოლიტიკაზე სპეციალისტების მომზადების კუთხით, რომლებიც სამომავლო ეკონომიკური განვითარებისათვის იქნება საჭირო. საინფორმაციო სისტემის საშუალებით უნდა შეგროვდეს ზუსტი ინფორმაცია კონკრეტულ ცოდნასა და განათლებაზე მოთხოვნის არსებობის შესახებ, აგრეთვე მათ შესახებაც, რომლებიც განვითარების პროცესში გახდებიან საჭირონი. ასეთი მექანიზმის არსებობის აუცილებლობა უეჭველია, რადგან საინვესტიციო პროექტების განხორციელება წარმოუდგენელია შესაბამისი სპეციალისტების არარსებობის შემთხვევაში;

გ) სარეკლამო-ინფორმაციული საქმიანობის ორგანიზება. ეს საქმიანობა ძირითადად ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს – დ.ს.თ. ქვეყნების ბაზრების დასაბრუნებლად და დანარჩენი მსოფლიოს საქმიანი წრეების გასათვითცნობიერებლად ადგილობრივი შესაძლებლობების შესახებ. განვითარებული ქვეყნების საქმოსნები შეიძლება საკმაო ინტერესს ავლენდნენ, მაგრამ მათ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ე.წ. რუსულენოვანი ბაზრის სახელმწიფოების კულტურული ტრადიციების, ენის, პოლიტიკური და ეკონომიკური წყობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. სააგენტოს, რომლის ავტორიტეტი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერით იქნება გამაგრებული, რეალური შესაძლებლობა მიეცემა ასეთ ბაზრებზე შესაღწევად. უცხოელი ინვესტორები მოხარული იქნებიან, თუ შესაძლებლობა მიეცემათ ინფორმაციისა და რეკომენდაციებისათვის სოლიდურ და საიმედო დაწესებულებას მიმართონ;

დ) დაუტვირთავი სიმძლავრეების საბაზრო საფუძველზე ამოქმედება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მრავალი დაუკმაყოფილებელი სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილება არსებობს. დაუტვირთავი სიმძლავრეების ამოქმედება აზრს მოკლებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ახალი პროდუქციის გამოშვების, ახალი ბაზრების ათვისებისა და მენეჯმენტის განახლების გარეშე. ასეთი მიზნების მიღწევის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური გზა არის ერთობლივი საწარმოების შექმნა. ასეთი ინვესტორის მოზიდვისას სააგენტომ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს.

## 2. *სუსტი მხარეების შერბილება და დაძლევა*

ა) სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებები ქმნიან საქმიანი შესაძლებლობების საფუძველს. სააგენტოს შეუძლია განსაზღვროს ხსენებული მოთხოვნილებების რაოდენობრივი პარამეტრები და პოტენციური ინვესტორებისათვის ჩამოაყალიბოს ისინი საბაზრო შესაძლებლობათა სახით. მას აგრეთვე უნდა გააჩნდეს სამამულო ინვესტორებისა და მეწარმეობის ჩამონათვალი, რომლებიც პარტნიორებს ეძებენ;

ბ) მენტალური ბარიერების დაძლევა შესაძლებელი სამეწარმეო განწყობის გაძლიერებით გახდება. იგი, გარდა ცნობილი აქტიური სინდრომების გაძლიერებისა, გულისხმობს სამეწარმეო უნარით დაჯილდოებული პირების გამოვლენის პროგრამის განხორციელებას, უცხოელ პარტნიორებთან სამამულო მეწარმეების კონტაქტების ორგანიზებას და მათთან მოლაპარაკების პროცესში დახმარებას;

გ) მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის ხელშეწყობა სააგენტოს დიდმნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. იგი მუდმივად თვალყურს უნდა ადევნებდეს წონასწორობის დარღვევის ფაქტებს და მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის აღსადგენად შესაბამის დარგებში ინვესტიციების მოზიდვას უნდა უწყობდეს ხელს;

დ) სააგენტომ მონაწილეობა კონკრეტული საინვესტიციო პროექტის სრული ციკლით განხორციელებამდე უნდა მიიღოს. განსაკუთრებით აქტიურად უნდა მონაწილეობდეს იგი პროექტის იდენტიფიკაციაში და მიმდინარე კონტროლქვეშ უნდა ჰქონდეს მოქცეული ციკლის დანარჩენი ელემენტები – განსაკუთრებით პროექტის დაგეგმვა. ამავე დროს სააგენტოს თანამშრომლები ციკლის ყველა ასპექტს კარგად უნდა იცნობდნენ და საჭიროებისდა მიხედვით აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ დაინტერესებულ მხარესთან;

ე) სააგენტოს ყურადღების ძირითად ობიექტს ჭარბი კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე უცხოური კომპანიები უნდა წარმოადგენდნენ. მან უნდა მიაწოდოს მათ ინფორმაცია საქართველოს მრეწველობაში საინვესტიციო საქმიანობის შესაძლებლობათა შესახებ და ყოველნაირად შეეცადოს მათ მოწვევას ქვეყნის მრეწველობაში;

ვ) სააგენტო უნდა იცნობდეს ინვესტიციების მოზიდვის მხრივ კონკურენტ ქვეყნებში საბანკო მომსახურების ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამაზე დაყრდნობით ბანკირებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა სთავაზობდეს რეკომენდაციებს საბანკო მომსახურების ახალი ეფექტური ფორმების დანერგვისათვის ინვესტიციების მოზიდვის გაადვილებისა და ხელშეწყობის მიზნით;

ზ) სააგენტომ, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, უნდა გამოიმუშაოს საკუთარი მიდგომა ეკონომიკური განვითარების ძირითადი ელემენტების მიმართ და გამოიყენოს დაგროვილი ცოდნა და ინფორმაცია სამთავრობო პოზიციის ჯანსაღი ოპონირებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, სააგენტომ უნდა შეისწავლოს უახლოესი კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეები, მიიღოს შესაბამისი ზომები მათი უპირატესობების ნეიტრალიზებისათვის. აგრეთვე, შეიძლება საჭირო გახდეს მსხვილი ინვესტორებისათვის საფინანსო შეღავათების პაკეტის დამუშავება და შეთავაზება.

## 3. *სააგენტოს სტრუქტურა და დაფინანსების წყაროები*

ხსენებული სააგენტოს ფუნქციონირება აპრობირებულია მრავალ ქვეყანაში. ბოლო დროს მას გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები მიმართავენ ხოლმე. მისი ძირითადი ფუნქცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. ამისათვის სააგენტო მოქმედებს როგორც შუამავალი უცხოელ ინვესტორებსა და სამამულო საწარმოებს შორის. უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში სააგენტო შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

ა) საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და გავრცელება;

ბ) პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონსულტირება;

გ) უცხოელი ინვესტორებისა და უცხოელების მიერ ინვესტირებული საწარმოებისათვის რეკომენდაციების მიცემა და დახმარების გაწევა მათი პროექტების დაფინანსების უზრუნველსაყოფად და სხვ.

მოცემულ შემთხვევაში (ჩვენში არსებული სამართლებრივი გარემოს პირობებში) შესაძლებელია ისეთი ტიპის სააგენტოს ჩამოყალიბება, რომელიც იქნება ინვესტიციების ხელშემწყობი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში და ექნება საქვეუწყებო დაწესებულების ფორმა. შესაბამისად იგი სახელმწიფოს მიერ იქნება დაფინანსებული და ამდენად იქნება სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი.

სააგენტოს სათავეში ჩაუდგება მმართველთა საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და რეკომენდაციების მომზადება მის შესახებ;

ბ) ამა თუ იმ საინვესტიციო პროდუქციისთვის შეღავათების მინიჭების მიზანშეწონილობის გაანალიზება;

გ) მთავრობის ინტერესების დაცვა;

დ) სახელმწიფო სახსრების მართებულად გამოყენების კონტროლი.

აღმასრულებელ დირექტორს ემორჩილება: ადმინისტრაციული სამმართველო, რომელიც სააგენტოს მიმდინარე საქმიანობას უზრუნველყოფს; საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის სამმართველო, რომელიც იძლევა სამომავლოდ მოვლენათა განვითარების შესაძლო და სასურველ სცენარს და ახორციელებს შემუშავებული გეგმების შესრულების მიმდინარე კონტროლს. აგრეთვე შეიძლება არსებობდეს მრჩეველთა საბჭოც.

ამდაგვარი ტიპის სააგენტოს შესაძლო შემოსავლის წყაროებია:

სახელმწიფო დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები მომსახურებიდან და პროგრამული კონტრაქტებით გათვალისწინებული შემოსავლები.



**ნახაზი 1**





ნახაზი 2



*GELA GRIGOLASHVILI - EFG scientific secretary, TACIS program expert, candidate of economics*

## ECONOMIC PROBLEMS OF REHABILITATION OF INDUSTRY

### *(annotation)*

The destruction process provoked by the "shock therapy" in the period of transition to the market economy shocked the Georgian economy. Now when the problems of economic growth and implementation of the state budget are on the agenda the poor state of leading industries of Georgian economy is evident. The article considers the reasons of grave situation in the industry and factors preventing the economic growth. Also, the concrete proposals for attainment of the irreversible and long-term growth of industrial product within the frames of unbalanced growth strategy are worked out. The proper attention is paid to preparation of the necessary legal grounds and problems of overcoming the legal vacuum existing in this sphere.

## ORGANIZATIONAL ASPECTS OF MANAGEMENT OF INVESTMENT FLOWS

### *(annotation)*

One of the main problem of the transitional economy is the difficulties in creation of the favorable investment surrounding. The formal scientifically substantiated investment policy is still not available. The article considers the organizational difficulties of management of investment flows against the background of weak and strong sides of the transitional economy. As the admissible kind of management of flows the promotion agency is proposed both in the sectoral and common governmental context. The role and functions of the promotion agency are considered.

*ქეთევან ამირეჯიბი* – სეფ-ის მცირე და საშუალო ბიზნესის კომისიის თავმჯდომარე

# მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში

დღესდღეობით საქართველოს ხელისუფლება ძალიან ცოტას აკეთებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. ამავე დროს, თუ გადავხედავთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ მსოფლიოში, დავრწმუნდებით, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი სტიქიურ თვითდინებაზე მიშვებულია მხოლოდ მესამე სამყაროს ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, ხოლო ცივილიზებულმა მსოფლიომ უკვე კარგა ხანია გაიაზრა მისი მნიშვნელობა. XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და მრავალი სხვა, იგი სახელმწიფოებრივი ყურადღების ცენტრში მოექცა.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიცა საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც წაახალისეს მცირე საწარმოების შექმნა-განვითარება სამხედრო მრეწველობაში.

1953 წელს აშშ-ში შეიქმნა ამერიკის სენატს დაქვემდებარებული „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია". მისი ძირითადი ამოცანაა მცირე ბიზნესისათვის სპეციალური ტექნოლოგიური და ფინანსური დახმარების პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვა. ამ პროგრამათა დიდი ნაწილი მიზნობრივია და ითვალისწინებს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების, ქალების, ინვალიდების, ვიეტნამის ომის ვეტერანებისა და ა.შ. შრომით დასაქმებას. ბოლო მონაცემებით, ქვეყნის შიგა ერთობლივი პროდუქციის 37% და ახალი სამუშაო ადგილების ერთი მეხუთედი იქმნება მცირე ბიზნესის მიერ. მცირე საწარმოები ასრულებენ ფედერალური მთავრობის სახელმწიფო დაკვეთების ერთ მესამედს.

სამხრეთ კორეაში საწარმოთა თითქმის 99%-ს სწორედ მცირე საწარმოები შეადგენენ. აქ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლოზუნგია--„მცირე ბიზნესი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა". მცირე ბიზნესის განვითარებას ემსახურება 15 სპეციალური ორგანიზაცია, ქვეყნის ორი უმსხვილესი ბანკი, აგრეთვე, ორი უძლიერესი ფონდი-კორეის საკრედიტო, საგარანტიო ფონდი და კორეის ტექნოლოგიური, საკრედიტო ფონდი მხოლოდ და მხოლოდ მცირე ბიზნესს აფინანსებს. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა ამ და სხვა ქვეყნების ეკონომიკური პრაქტიკიდან უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ.

ასეთი დამოკიდებულება მცირე ბიზნესის მიმართ განპირობებულია ამ უდიდესი როლით, რომელსაც ეს უკანასკნელი თამაშობს ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტაბილიზაციის საქმეში.

დიდი ხანია შემჩნეული და აღიარებულია, რომ მეცნიერებატევადი ტექნოლოგიური ინოვაციები პირველ რიგში ინერგება და გამოცდას გადის სწორედ მცირე ფირმებში და შემდგომ გადადის დიდ საწარმოებში; ხშირად მცირე საწარმოს დამაარსებელნი და სულის ჩამდგმელები არიან თვით ამ ინოვაციების ავტორები, ერთი-ორი ადამიანი. მცირე, პროფილირებული საწარმოს ხელმძღვანელი, როგორც წესი, არის სპეციალისტი და არა ადმინისტრატორი. ამდენად ეს საწარმოები გამოირჩევიან თვით მართვის შინაარსითაც. აქ იგი უფრო მიზანმიმართული და მოქნილია. მთლიანობაში მცირე საწარმოები გვევლინებიან ეკონომიკაში ახალი გზების გამკვალავებად, აუთვისებელი სივრცეების პირველ მზვერავებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის სოციალური ატმოსფერო, რომელსაც ქმნის ქვეყანაში მცირე ბიზნესი.

დასავლეთელი ეკონომისტების დაკვირვებით, მსხვილ და მცირე საწარმოთა შორის სხვაობა ისაა, რომ მსხვილი საწარმოების მოქმედების ძირითადი მიზანი არის მაქსიმალური მოგების მიღება, ხოლო მცირე საწარმოებს ახასიათებთ ინდივიდუალური მიზნები -- როგორიცაა დამოუკიდებლობა, გამომგონებლობა, პირადი ინიციატივის განხორციელების საშუალება და სხვ.

შემთხვევითი როდია, რომ თუ კი ადრე მაგალითად აშშ-ში ინჟინრებისა და სპეციალისტების დიდი ნაწილი ცდილობდა მუშაობა დაეწყო დიდ კომპანიებში, დღეს მათი უმრავლესობა უპირატესობას მცირე და საშუალო ფირმებს ანიჭებს.

მცირე ბიზნესის ძლიერი პოზიციები ხელს უწყობს ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას – იმ ფენისა, რომლისთვისაც ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი დამოუკიდებელი, მასშტაბური, საქვეყნოდ მიმართული აზროვნება, ეროვნული ინტერესების გათავისება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თუ გვინდა დავძლიოთ დღეს საქართველოში არსებული ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, მცირე ბიზნესს, მცირე მეწარმეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრივ კი, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის არაფერი გაკეთებულა; მართალია ჯერ კიდევ 1993 წელს ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა ერთადერთი სახელმწიფოებრივი ქვედანაყოფი -- მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ფონდი, მაგრამ, მიუხედავად მის მესვეურთა დიდი მცდელობისა, ამ ფონდმა თავისი ძირითადი საქმიანობა დღემდე ვერ დაიწყო.



1997 წლის ბიუჯეტით ფონდის საქმიანობისათვის გათვალისწინებული 3 მლნ. ლარიდან, მას გადაეცა მხოლოდ 180 000 ლარი. აქედან, 150 000 ლარი, ისევ ბიუჯეტში ჩადებული მოთხოვნის შესაბამისად, დაიხარჯა საქართველოში იოდიანი მარილის იმპორტზე.

1998 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 4 მლნ. ლარი შემცირდა 2 მლნ-მდე და აქედანაც ჯერჯერობით არც ერთი ლარი ფონდს არ მიუღია.

არადა, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, რომ თავი დავანებოთ და ყოფილ საბჭოთა სივრცეს მივუბრუნდეთ, დავინახავთ, რომ აქაც ჩვენთვის საინტერესო მიმართულებით საქართველოზე გაცილებით მეტია გაკეთებული.

მაგალითად: რუსეთის ფედერაციაში ჯერ კიდევ 1995 წელს მიიღეს კანონი „კერძო მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის" შესახებ, სადაც ძალზე დიდი ადგილი დაეთმო მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საკითხს. 1996 წელს რუსეთის მთავრობამ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან ამოღებული თანხების 5% ჩარიცხა ანალოგიურ (იხ. ზემოთ) ფონდში; გარდა ამისა, დამატებით გამოუყო მას თავისი საქმიანობისათვის 150 მილიარდი რუსული რუბლი, გასცა მცირე მეწარმეობისათვის 500 მილიარდი რუსული რუბლის სწრაფადაბრუნებადი კრედიტი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გასცა სახელმწიფო გარანტიები 200 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ამის გარდა მოქმედებს მცირე მეწარმეობის ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე დაფინანსების პროგრამები.

უზბეკეთის რესპუბლიკაში 50% პრივატიზაციიდან ამოღებული სახსრებისა ჩაირიცხა ანალოგიურ ფონდში. სხვა, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ამ მაჩვენებლებმა მინიმუმ 25% შეადგინა.

და მიუხედავად ყველაფრისა, მცირე ბიზნესი საქართველოში დღეს არსებობს. განვიხილოთ მცირე ბიზნესის მდგომარეობა ჩვენს დედაქალაქში.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით[1] დღეს თბილისში 5 000-მდე მცირე საწარმო არის რეგისტრირებული. ეს დედაქალაქის საწარმოთა დიდ უმრავლესობას--თითქმის 87%-ს შეადგენს. ამ მცირე საწარმოებში დასაქმებულია 43,5 ათასი კაცი, რაც მთლიანად საწარმოებში და ორგანიზაციებში დასაქმებულთა 28,4%-ს შეადგენს. შეთავსებით მცირე საწარმოებში კიდევ 8 000-მდე ადამიანი მუშაობს, რაც აგრეთვე, შრომითი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან წვლილად უნდა ჩაითვალოს.

ოფიციალური მონაცემებით, 1997 წლის იანვარ-ივნისში მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურეობის მოცულობამ 209 მლნ. ლარი შეადგინა; ეს კი მთლიანად ნაწარმოები პროდუქციისა და მომსახურეობის ნახევარია.

ამ მონაცემების მიხედვით საქმე არც თუ მთლად ცუდად უნდა გვქონდეს, მაგრამ საკმარისია მცირე საწარმოთა საქმიანობის პროფილით დავინტერესდეთ, იმ წუთშივე წარმოჩნდება ჩვენი დღევანდელი ეკონომიკის ყველა ძირითადი სატკივარი. ირკვევა, რომ მცირე საწარმოთა ნახევარზე მეტი (54%) საბითუმო და საცალო ვაჭრობით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვითა და საფინანსო შუამავლობით არის დაკავებული, მათგან მხოლოდ 17%-ია დასაქმებული მრეწველობაში, 8%-მშენებლობაში, 4%-მდე სატრანსპორტო მომსახურეობასა და კავშირგაბმულობაში, 6%-მდე ჯანდაცვასა და განათლებაში. კიდევ უფრო დამძიმდება სურათი, თუკი მცირე საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურეობის სტრუქტურას ჩავხედავთ. მისი მთლიანი მოცულობის 77,9% (163 მილიონი ლარი), მოდის საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე და საფინანსო შუამავლობაზე; მხოლოდ 7,8% – მრეწველობაზე და 4,7% – მშენებლობაზე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორია ტექნიკური აღჭურვილობის დონე, რა სახისა და რა ხარისხის პროდუქციას უშვებენ ის საწარმოები, რომელთაც სტატისტიკა იხსენიებს როგორც მრეწველობაში დასაქმებულთ. მაგრამ თბილისის მრეწველობის დღევანდელი საერთო ტექნიკური აღჭურვილობა, მისი სავალალო მდგომარეობა, საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანებისთვისაც კი კარგადაა ცნობილი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ საქართველოს უნიჭიერეს გამომგონებელთა მიერ დაპატენტებული (თუ უსახსრობის გამო დაუპატენტებელი) აღმოჩენების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც ისევე უსარგებლოდ და გამოუყენებლად დევს, როგორც საბჭოთა პერიოდში, არ იქნება ძნელი იმ დასკვნის გაკეთება, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ, ინოვაციურ პროცესში და მთლიანად ქვეყანაში მეწარმეობის აღორძინების საქმეში თბილისის (და უნდა ვიფიქროთ მთელი საქართველოს) მცირე საწარმოები ძალზე მოკრძალებულ როლს თამაშობენ.

პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დღეს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. საკანონმდებლო-სამართლებრივი;
2. ფინანსური;
3. ორგანიზაციული.

ყველა მათგანის ჯეროვანი გაანალიზების გარეშე შეუძლებელია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების გზების დასახვა და რეალური პროგრამის შემუშავება.

[1] ქ. თბილისის საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. 1997 წლის იანვარ-ივნისში. თბილისი 1997წ.

გადასახედია კანონი „მეწარმეობის შესახებ", გასაადვილებელია მცირე ფირმების რეგისტრაციისა და საფინანსო ანგარიშების პირობები. დასამუშავებელი და მისაღებია კანონები „მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის" შესახებ და „მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის" შესახებ. ეჭვს არ იწვევს, რომ დღეს არსებული საგადასახადო კოდექსი, მცირე ბიზნესის დაბეგვრის მთლიანი სისტემა და განაკვეთები სერიოზულად უშლის ხელს ეკონომიკის ამ დარგის განვითარებას. საგადასახადო წნეხის შესუსტებისა და გადასახადების გამარტივების გარეშე შეუძლებელია მცირე ბიზნესის სერიოზულ ზრდა–განვითარებაზე, მის ცივილიზებულ კალაპოტში ჩაყენებაზე ოცნებაც კი. იგივე ითქმის სახელმწიფო–საკრედიტო პოლიტიკაზე: მხოლოდ სერიოზული, ღრმად გააზრებული საფინანსო–საკრედიტო პოლიტიკა აქცევს მცირე და საშუალო ბიზნესს საყოველთაო დასაქმებისა და კეთილდღეობის იმ უმნიშვნელოვანეს ბერკეტად, როგორადაც იგი მოგვევლინა დღევანდელი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. კანონებთან სრულ შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი აქტები, იმისათვის, რომ მათი შეუსაბამობა არ ქმნიდეს ნოყიერ ნიადაგს მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის.

აუცილებელია, რომ მთლიანად გადაისინჯოს დღევანდელი სოციალური ოჯახური დახმარების სისტემა, რადგანაც იგი კორუფციის წყაროდ იქცა და არანაირად არ უწყობს ხელს ე.წ. „ოჯახური ბიზნესის" განვითარებას. „მწარმოებლური ოჯახი" უნდა იქცეს მცირე ბიზნესის ერთ–ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად, მის პირველად უჯრედად.

აუცილებელია, რომ სერიოზული სახელმწიფოებრივი ყურადღების საგნად იქცეს გამომგონებლობაზე ზრუნვა. თუ არ შეიქმნა შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც ამ საქმეს მიხედავენ, ქართული გამომგონებლობა საბოლოოდ მოკვდება და მხოლოდ უცხოელთა ხელის შემყურე, მათი ტექნიკური და ტექნოლოგიური ინოვაციების იმედზე დავრჩებით.

ძნელი არ არის ასეთი მდგომარეობის ეკონომიკური და სოციალური შედეგების გათვლა.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც გადაუდებელ შველას მოითხოვს, ეს არის ხალხური რეწვა. საბჭოთა პერიოდში საქართველოში ეკონომიკის ამ სფეროში ათეულობით ათასი კაცი იყო დასაქმებული. არსებობდა ორგანიზაციები (მაგალითად, გაერთიანება „სოლანი"), რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხური რეწვის განვითარებას, ახორციელებდნენ ნედლეულით მომარაგებას, უწევდნენ პირველად მარკეტინგულ მომსახურებას, გამოდიოდნენ მათ სავაჭრო აგენტებად, შეიძლება ითქვას, იმდროინდელ ტოტალიტარულ სისტემაში, ეს ორგანიზაციები ახალი ეკონომიკური ურთიერთობის ელემენტებს შეიცავდნენ. დღეს ამ სფეროშიც სურათი სავალალოა; ჩვენს თვალწინ კვდება ხალხური რეწვის მთელი დარგები, იღუპება ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი უძვირფასესი გამოცდილება. ჩვეულებრივ ხალხური რეწვის ისტორიულ–ეთნოგრაფიულ ასპექტებზე, მის და კულტურულ მნიშვნელობაზე საუბრობენ და განგაშის ზარს ამ მხრიდან შემოჰკრავენ ხოლმე, მაგრამ პრობლემის ეკონომიკური მხარე არა–ნაკლებ ანგარიშგასაწევია, ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო თუ ტურიზმის განვითარებასთან ხალხური რეწვის დარგების განვითარების ორგანული შერწყმა არამარტო კულტურულად, ეკონომიკურადაც საშური საქმეა. ამის ძალზე კარგი გამოცდილება არის დაგროვილი დღევანდელ მსოფლიოში.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, ეს არის თვით მცირე ბიზნესით დასაქმებულ ადამიანთა მომზადებისა და ინფორმირებულობის დონე, მათი მზადყოფნა საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმიანობისათვის. უეჭველია, რომ ეკონომიკური განათლების მთლიანი სისტემა, მისი ყველა ასპექტი და საფეხური ჰარმონიზებული უნდა იქნეს ახალ სოციალურ–ეკონომიკურ ვითარებასთან და ეს საკითხიც სახელმწიფო პროგრამების დონეზე უნდა იქნეს გააზრებული და გადაწყვეტილი.

*KETEVAN AMIREJIBI - chairman of EFG commission for small and medium business*

## PROPOSALS OF DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS

### *(annotation)*

The article considers the legal, institutional, organizational and financial problems of development of small and medium business; analyses the current situation of the small business in the city; makes notice of perspectives of development of small family business; forms the measures required for promotion of small and medium business at this stage.



*მაიკლ მირა* – USAID–ის პროექტის „საქართველოს საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვის რეფორმა" უფროსი მრჩეველი

# ბუღალტრული აღრიცხვა როგორც ინფორმაციის საშუალება

საბაზრო ეკონომიკის განვითარებისდაკვალად საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზრდება მოთხოვნილება სანდო, სრულყოფილ, თანამიმდევრულ და გასაგებ ფინანსურ ინფორმაციაზე. მართალია, სამთავრობო ორგანოები კვლავ დარჩებიან ფინანსური ინფორმაციის ერთ–ერთ ძირითად მომხმარებლად – საკანონმდებლო, საწესდებო, საგადასახადო და სტატისტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, მაგრამ ამავე დროს ასპარეზზე გამოვლენ ფინანსური ინფორმაციის ახალი მომხმარებლები: ინვესტორები, კრედიტორები და საწარმოების ხელმძღვანელები, რომელთა მოთხოვნილებებიც ასევე სრულად უნდა იქნას დაკმაყოფილებული საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ფინანსური ანგარიშების ძირითადი მიზანია საწარმოს ფუნქციონირებისა და ფინანსური სიჯანსაღის შესახებ სანდო ინფორმაციის მოწოდება, რაც ფართო სპექტრის მომხმარებლებს შესაბამისი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას მისცემს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე – ბუღალტრული აღრიცხვის მიზნები და პრაქტიკა მომავალში მნიშვნელოვნად შეიცვლება.

კაპიტალის ახალი წყაროების წარმოშობა მოითხოვს საინვესტიციო შესაძლებლობების, სავარაუდო ამონაგებისა და ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის შესახებ სანდო ინფორმაციის არსებობას. ინვესტორებსა და კრედიტორებს, შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, გაუძნელდებათ გადაწყვეტილების მიღება საწარმოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის ინვესტირების შესახებ. გარდა ამისა, საწარმოს ხელმძღვანელობას აკისრია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ინვესტორების წინაშე საწარმოს ფინანსური ამოცანების განხორციელებაზე.

იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაციის ყველა მომხმარებლის მოთხოვნილება სათანადოდ დაკმაყოფილდეს, საჭიროა ჩამოყალიბდეს ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი სისტემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ყველანაირი საანგარიშებო მოთხოვნილებებისათვის აუცილებელი მონაცემები. სხვადასხვა შემთხვევისთვის საჭირო ფინანსური ინფორმაციის ფორმატი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები, რომლებსაც ეს ინფორმაცია ეყრდნობა, ძირითადად იგივეა.

***MICHAEL MIRA - senior adviser of USAID project "Accounting Reform in Georgian Enterprises"***

## ACCOUNTING AS MASS MEDIA

### *(annotation)*

The problem of searching for the accounting information is considered in the article. The attention is attracted to the creation of probable users of the complete financial information, issues of searching for the consecutive information required for making correct decision on strengthening of investing activity.

***ზურაბ ჯაჯანიძე*** – სეფ-ის მოქნილი საწარმოების და სტანდარტიზაციის კომისიის თავმჯდომარე, ტექ. მეც. დოქტორი

# ქ. თბილისის საწარმოების მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე

## (პროდუქციის აწყობის მოქნილი საწარმოების ორგანიზაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობის საკითხები)

1997 წლის 17–18 ოქტომბერს ჩატარდა ქ. თბილისის ეკონომიკური ფორუმის I სესია, სადაც იმსჯელეს ქ. თბილისის სამრეწველო საწარმოებში მოქნილი საწარმო სისტემის დანერგვის და სტანდარტიზაციის შესახებ.

პირველ სესიაზე აღინიშნა, რომ 1980 წლისათვის ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა (დიდმა შვიდეულმა) დაასრულეს მეორე ტექნიკური რევოლუცია. მათ შექმნეს და ექსპლუატაციაში გაუშვეს მოქნილი საწარმოები. გაუქმებული იქნა ძველი საწარმოების წესი (ტექნოლოგიური ხაზის წესი, რომლის ავტორია ფორდი) და დაინერგა მოქნილობის წესი. მოქნილობის წესის ძირითადი პრინციპია წარმოების გადაწყობა უმოკლეს ვადებში ბაზარზე პროდუქციის ნომენკლატურაზე მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამრეწველო საწარმოების სფეროში შემოიღეს და ამოქმედდა ექსპლუატაციის საერთაშორისო (შვიდეულის) სტანდარტები, წარმოების ორგანიზაციისა და მისი გაძღოლის ახალი პრინციპები. კერძოდ, დაინერგა ამერიკული – „ჩით", იაპონური – „კანბანი" და გერმანული „სიმენსი"-ს წესები, რაც ითვალისწინებს წარმოების სამ ასპექტში მუშაობას: ფიზიკურ, ეკონომიკურ და კიბერნეტიკულში.

მოქნილ საწარმოებში დაცულია პროდუქციის წარმოების ძირითადი პრინციპები: მცირე თვითღირებულება, ხარისხი, სერიულობა და საიმედოობა.

მოქნილობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ის, რომ საწარმოს ფუნქციონირებისას მუშაობს გამჭოლი ინფორმაციული ნაკადი პროექტირებიდან პროდუქციის გასაღებამდე და პირიქით.

ფორუმის პირველ სესიაზე ჩამოყალიბებული იქნა წინადადებები ქ. თბილისის საწარმოების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შესახებ, რომელთა დამუშავება და განხორციელება საშუალებას მოგვცემს საწარმოები მოვაწყოთ საერთაშორისო დონეზე. პროგრამები შედგება შემდეგი თავებისაგან: ეკონომიკა, ფინანსები, ენერგეტიკა, სტანდარტიზაცია, პროექტირება, მშენებლობა, კომუნიკაციები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, ტექნიკური უზრუნველყოფა, მათემატიკური უზრუნველყოფა, განათლება, კადრები, დაცვა, ეკოლოგია, საიმედოობა, ბაზარი, იურიდიული უზრუნველყოფა, ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

თბილისის ფორუმის II სესიაზე განხილული იქნა მოქნილი საწარმოების ორგანიზაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობის საკითხები.

მოქნილი საწარმო მიეკუთნება ურთულესი სისტემის კატეგორიას. ის შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
- აწყობის მოქნილი საწარმო სისტემა;
- მოქნილი საწარმო სისტემის ოპერატიული მართვა;
- სატრანსპორტო დამაგროვებელი სისტემა;
- ავტომატური პროექტირების სისტემა და საინფორმაციო საზომი სისტემა.

მოქნილი საწარმოს შექმნისას უნდა დავიცვათ შემდეგი ეტაპები:
- საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის გამოკვლევა. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნულოვან დონედ ითვლება, როდესაც საწარმოში მუშაობს რამდენიმე ათეული დაზგა ციფრულ-პროგრამული მართვით;
- ტექნიკური დავალების შედგენა;
- ტექნიკურ-სამუშაო პროექტირება;
- საცდელი ექსპლუატაცია.

მოქნილი საწარმოების შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქმნება საწარმოს შიდა, სრულიად ახალი ინფრასტრუქტურები, რომლებიც განპირობებულია კიბერნეტიკული ასპექტის შემოტანით. ეს ასპექტი შემოდის როგორც ორგანიზაციულ, ისე ტექნოლოგიურ მართვაში. კიბერნეტიკული ასპექტი ნიშნავს კიბერნეტიკის ძირითადი პრინციპის-უკუკავშირის პრინციპის განხორციელებას. ორგანიზაციული მართვისას გადაწყვეტილებათა მიღების დროს, როდესაც გამომუშავდება საწარმოს მართვის პროგრამები და შემდგომში მისი რეალიზაცია დროის რეალურ მასშტაბში, სისტემის შესავალზე ხდება მართვადი ინფორმაციისა და სისტემის მუშაობის შესახებ ინფორმაციის შედარება. მართვის სისტემაში გამომუშავდება კორექტორების ბრძანებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის დროის რეალურ მასშტაბში მართვას. დროის რეალური მასშტაბი შეიძლება მოიცავდეს პერიოდებს: ერთი წუთი-რამდენიმე წუთი; ერთი საათი-რამდენიმე საათი; ერთი



დღე-ღამე – რამდენიმე დღე-ღამე; ერთი დეკადა-რამდენიმე დეკადა; ერთი თვე-რამდენიმე თვე; ერთი კვარტალი-რამდენიმე კვარტალი; ერთი წელი-რამდენიმე წელი.

საწარმოს ტექნოლოგიური მართვის დროს, როგორც ვიცით, ხდება არაელექტრული სიდიდეების რეგულირება, რომლებიც გარდამქმნელების საშუალებებით გარდაისახება ელექტრულ სიდიდეებში. მნიშვნელობები იზომება საზომი ხელსაწყოებით და მიეწოდება საინფორმაციო საზომი სისტემის სერვერ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას, რომელიც ტექნოლოგიური სისტემის შესავალზე ახდენს შემავალი და დადგენილი სიდიდიდან გადახრილი სიგნალების შედარებას დროის რეალურ მასშტაბში. საზომი ინფორმაციული სისტემის მიერ ხდება მაკორექტირებული სიგნალების გამომუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვას.

კიბერნეტიკული ასპექტის შემოტანამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია დამუშავების დიდ სიზუსტისათვის და ამის შედეგად მიგვეღო უმაღლესი ხარისხის სერიული პროდუქცია. ამ ასპექტმა საშუალება მოგვცა მოგვეხდინა საწარმო პროცესების გადაწყობა პროდუქციის სხვადასხვა ნომენკლატურის მიხედვით. ე. ი. შემოგვეტანა საწარმოს მოქნილობა. ზემოთ ჩამოყალიბებული საკითხები შეეხება ისეთ საწარმოებს, რომლებშიც ხდება ტექნოლოგიური პროცესების სრული ავტომატიზაცია.

ჩვენს მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები საშუალებას მოგვცემს ოპერატიულად განვახორციელოთ ქ. თბილისის საწარმოების ორგანიზაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით..

მოქნილი სისტემები შეიძლება დაინერგოს ქ. თბილისის შემდეგ საწარმოებში, მათი რეკონსტრუქციის შემდეგ: გამოთვლითი ტექნიკის ქარხანა, მიკროძრავების ქარხანა, ქარხანა „მიონი", ელექტროავტომატების ქარხანა, ჩარხთმშენებლობის ქარხანა და საავიაციო ქარხანა (პირველი რიგი).

მოქნილი საწარმოების დანერგვის საკითხებში მიღებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საქართველოს სტრატეგიული განვითარებისათვის აუცილებელია მრეწველობის დარგების ინდუსტრიული განვითარება საერთაშორისო სტენდარტების დონეზე, ე.ი. აუცილებელია დაინერგოს და ექსპლუატაციაში გაიშვას მოქნილი საწარმოები (უახლოესი ტექნოლოგიები);
2. მოქნილი საწარმოები პირველ რიგში უნდა დაინერგოს მრეწველობის შემდეგ დარგებში: მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება; ელექტრონული და ელექტროტექნიკური; ქიმიური და ნავთობქიმიური; სატყეო, ხის დამამუშავებელი და ქაღალდის; საშენი მასალების; მსუბუქი მრეწველობის; კვების მრეწველობის; ფქვილის; პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების;
3. მოქნილი ტექნოლოგიები აუცილებელია შესყიდული იქნას ინდუსტრიულად განვითარებული შემდეგი ქვეყნებისაგან: იაპონია (მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ელექტრონული, ელექტროტექნიკური მრეწველობა); ინგლისი, იტალია, გერმანია, (მსუბუქი მრეწველობა); გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, (კვებისა და საშენი მასალების მრეწველობა); შვეცია, ფინეთი, (სატყეო, ხის დამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა); გერმანია, ინგლისი, აშშ, (ქიმიური და ნავთობქიმიური); ჰოლანდია (კომბ. საკვების მრეწველობა));
4. აუცილებელია, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, უმოკლეს დროში დამუშავდეს საქართველოს მრეწველობის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოწყობის გრძელვადიანი პროგრამები (10–25წ.) ზემოდ ჩამოთვლილი თავების მიხედვით;
5. გრძელვადიანი პროგრამების საფუძველზე ყველა კონკრეტული საწარმოსათვის უმოკლეს დროში უნდა დამუშავდეს ტექნიკურ-სამუშაო პროექტები;
6. ენერგეტიკის განვითარება საწყის ეტაპზე წინ უნდა უსწრებდეს საწარმოების განვითარებას, ხოლო ხუთი წლის შემდეგ უნდა ვითარდებოდეს პარალელურად;
7. გრძელვადიანი პროგრამები უნდა განიხილოს და მიიღოს შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა;
8. საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი გრძელვადიანი პროგრამების ხელშეუხებლობის (იგულისხმება პოლიტიკური ცვლილებები) და მისი შესრულების აუცილებლობის შესახებ;
9. უმოკლეს დროში უნდა დამუშავდეს და საქართველოს პარლამენტს გადაეცეს კანონპროექტები, რომლებიც გაითვალისწინებენ შეღავათების დაშვებას მოქნილი საწარმოებისათვის. აუცილებელი შეღავათებია: შესყიდული უახლოესი ტექნოლოგიების ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამშენებლო და სხვა მოწყობილობების მთლიანი განთავისუფლება გადასახადებისაგან; მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოქნილი საწარმოების ექსპლუატაციაში გაშვების პერიოდში საწარმოებს უნდა მოეხსნათ ყოველგვარი გადასახადები; პროდუქციის დაბეგვრა უნდა მოხდეს პროდუქციის გამოშვებიდან ორი წლის შემდეგ;
10. საწარმოებს მიეცეს შეღავათიანი და გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტები ტექნიკური და სამუშაო პროექტების დამტკიცების შემდეგ;
11. აუცილებელია ადმინისტრაციული, საინჟინრო, საპროექტო, ტექნიკური და ტექნოლოგიური კადრების წინასწარი მომზადება საზღვარგარეთის სამრეწველო კორპორაციებში სტაჟირების გზით;

12. სპეციალისტების სწავლება საქართველოსა და საზღვარგარეთის სასწავლებლებში განხორციელდეს გრძელვადიანი პროგრამის მიხედვით, სახელმწიფო შეკვეთით.

კომისიის მიერ გამომუშავებული რეკომენდაციები უნდა გავრცელდეს საქართველოს ყველა სამრეწველო საწარმოზე.

*MERAB VASHAKIDZE - chairman of EFG commission for flexible production and standardization, doctor of engineering*

## ARRANGEMENT OF TBILISI ENTERPRISES TO INTERNATIONAL LEVEL

### (ISSUES OF ORGANIZATIONAL, TECHNICAL AND TECHNOLIGICAL ARRANGEMENT OF FLEXIBLE PRODUCTION)

### *(annotation)*

The article is dedicated to introduction of the flexible production system at Tbilisi industrial enterprises; the proposals on the long-term program for promotion of Tbilisi enterprises are made, their development and implementation will enable such production to attain to the international standards.

The article describes the issues of organizational, technical and technological arrangement of flexible production.



*მიხეილ გვერდწითელი* – სეფ–ის ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი

## წინადადებები ქ. თბილისის ენერგეტიკული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის

ბოლო პერიოდში, მიუხედავად სირთულეებისა ელექტროენერგიის გამომუშავებასა და ტრანსპორტირებაში, დაისახა გარკვეული სასიკეთო ძვრები ქ. თბილისის მოსახლეობისა და ობიექტების უზრუნველყოფის საქმეში; ასე, მაგალითად, უფრო მკაცრად ხდება მოსახლეობის 6–საათიანი უზრუნველყოფის გრაფიკის დაცვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტები უზრუნველყოფილია ავტონომიური კვების ქსელებით და სხვ.

ამასთანავე, ჯერ კიდევ კრიტიკულია ქალაქის ენერგიით უზრუნველყოფა, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიით მომარაგების მუნიციპალური სამსახურის ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ეკონომიკურ სირთულეებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური ფორუმის ენერგეტიკის კომისია შემოდის რეკომენდაციებით, რომლებიც, ვიმედოვნებთ, დაგვეხმარება შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში:

- ქალაქის ენერგომომარაგების მუნიციპალური სამსახურის მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია და განსახელმწიფოებრიობა უნდა ჩატარდეს იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სამსახურების საკუთრების ფორმა და მათი ეკონომიკური დამოუკიდებულება არ იმოქმედებენ ენერგომომარაგების მთლიანობაზე და საიმედოობაზე;

- სისტემის განსახელმწიფოებრიობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ქსელების, სატრანსფორმატორო მეურნეობის, გამანაწილებელი ქვესადგურების მძიმე მდგომარეობა, ხოლო საპრივატიზაციო პირობების შედგენისას — არსებულის განახლების, ახალი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ღონისძიებები;

- აუცილებელია დამუშავდეს ენერგომომარაგების მართვის გაუმჯობესებული სქემა, სადაც გათვალისწინებული იქნება ობიექტების ენერგომომარაგების საკუთრების ფორმა, რომელსაც შეუძლია ოპტიმალურად მართოს და ოპერატიული ზეგავლენა მოახდინოს სისტემაში მომხდარ დინამიკურ ცვლილებებზე;

- უნდა შემუშავდეს ოპტიმალური სატარიფო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს რეალიზებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას; დაინერგოს ურთიერთობათა უნიფიცირებული საკონტრაქტო სისტემა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, რომელიც გაითვალისწინებს მხარეთა პასუხისმგებლობასა და ინტერესებს;

- აუნაზღაურებელი ელექტროენერგიის რაოდენობის შემცირების მიზნით, ჩატარდეს მუშაობა ბინებიდან მრიცხველების გამოტანის, მათი განსაზღვრულ ადგილებში ცენტრალიზაციისა და ელექტროენერგიის მიწოდებისა და გამოთიშვის მართვის შესაძლებლობებით.

- ამ მიზნით მიზანშეწონილია გაერთიანდეს ს/ს „თბილელექტროავტომატის“, ს/ს „ზესტაფონკაბელის“ და სამონტაჟო ორგანიზაციის ძალისხმევა ქ. თბილისის საცხოვრებელ სექტორში სპეციალურ სამუშაოთა შესასრულებლად;

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენერგომომარაგების უმაღლეს ფორმას –კოგენერაციას, ე.ი. სითბოს და ელექტროენერგიის კომბინირებულ (ერთობლივ) გამომუშავებას თბოელექტროცენტრალებში, განსაკუთრებით მათი ახალი სახეობის–აირტურბინული ბლოკ–თეცებისა და დიზელდანადგარიანი მინი–თეცების ფართომასშტაბიან დანერგვას;

- როგორც ცენტრალიზებული, ასევე ავტონომიური დანადგარებით მოსახლეობის სითბოთი და ცხელი წყლით უზრუნველყოფის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, დიდ დილომში დაიწყოს ელექტროენერგიითა და ცხელი წყლით ცენტრალიზებული მომარაგებით უზრუნველსაყოფად გერმანული ფირმა „“LAHMEYER“–ის პროექტის განხორციელება;

- ♦ გაგრძელდეს ქ. თბილისის გაზით მომარაგების სამუშაოები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ელექტროენერგიის გამოთავისუფლებას მისთვის უჩვეულო ფუნქციებისაგან–გათბობისა და სხვა საყოფაცხოვრებო მოთხოვნებისაგან;
- ♦ ფართოდ იქნეს გამოყენებული ქართული მეცნიერებისა და სპეციალისტების სამეცნიერო–ტექნიკური პოტენციალი, რომელიც, სამწუხაროდ, აქამდე იგნორირებულია;
- ♦ ამ მიზნით ჩატარდეს სამეცნიერო–ტექნიკური კონფერენცია, რომელზეც ფართოდ უნდა იქნას განხილული მომწიფებული პრობლემები, შემუშავდეს და მიეწოდოს მთავრობას ენერგეტიკული პროგრამა;
- ♦ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს: მზის, ქარისა და ბიოენერგიის წყაროების გამოყენებას; მეცნიერების და სპეციალისტების მიერ დამუშავდეს მოსახლეობის თბური ენერგიით დაკმაყოფილების სპეციალური პროგრამა;
- ♦ მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს სათბობ–ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და სხვა სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყანაში გეოთერმული წყლების თბოენერგიის ათვისებით, შეისწავლონ და მიმართონ ამ მიზნებისთვის ქარხნული წესით დამზადებული, პრაქტიკულად უდანაკარგო თბო– და ჰიდროიზოლირებული მილების ფართო გამოყენებას.

*MICHAEL GVERDTSITELI - chairman of EFG commission for energy, professor*

## PROPOSALS FOR IMPROVEMENT OF ENERGY SUPPLY OF TBILISI

### *(annotation)*

The article considers the critical state created in supply of energy of the city of Tbilisi that is connected with the organizational, technical and economic difficulties of the municipal energy supply service. The concrete recommendations are given for the way-out.



*გურამ ხმალაძე* -სეფ–ის კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე

# წინადადებები კავშირგაბმულობის სფეროს განვითარებისათვის

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ჩამოყალიბების პროცესში მოსახლეობის კავშირგაბმულობის საშუალებებით ინფორმაციულ უზრუნველყოფას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. [illegible] კავშირგაბმულობის როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და ეროვნული უშიშროების განმტკიცების საქმეში.

80–იანი წლების შუა პერიოდიდან მსოფლიოში იწყება პროცესი, რომლის მიხედვითაც „ბუნებრივი მონოპოლია" როგორც კავშირგაბმულობის პროგრესული განვითარების ერთადერთი სწორი საშუალება, ეჭვს იწვევს, იწყება კავშირგაბმულობის ახალი პოლიტიკის შემუშავება. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო კავშირგაბმულობის წარმართვა ხდება მთლიანი ლიბერალიზაციისა და ტელეკომების სახელმწიფოებრივი მართვის საშუალებების პრივატიზაციის გზით.

მსოფლიოში არსებული პრქტიკის ანალოგიით, კავშირგაბმულობის მმართველობის ორგანოების განსახორციელებელი დარგის ახალი პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს 4 მიმართულებით:

- საკონკურენციო პოლიტიკა;
- სტრუქტურული პოლიტიკა;
- მართვა;
- საკუთრება.

ახალი პოლიტიკის ეს მიმართულებები მეტნაკლებად უკვე გამოიყენება დღევანდელ კავშირგაბმულობაში.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის განვითარების პოლიტიკა ეყრდნობა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს ამ სფეროში გასატარებელი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს, მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიის პრიორიტეტებს, დარგის რეაბილიტაციას, რესტრუქტურიზაციას და პერსპექტიულ განვითარებას უახლოეს 10–15 წლიან პერიოდში. ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს ისეთი გზები და საშუალებები, როგორიცაა:

1. ბუნებრივ მონოპოლიათა რეგულირება;
2. დემონოპოლიზაცია და ეტაპობრივი პრივატიზება;
3. კერძო და სახელმწიფო საწარმოების მუშაობის კოორდინაცია, ლიცენზირება, სარტიფიკაცია, სტანდარტები და მეტროლოგია;
4. ფასწარმოების პოლიტიკა;
5. საგარეო თანამშრომლობა და საინვესტიციო პოლიტიკა;
6. არასტანდარტული მიმართულებების სახელმწიფო დოტაცია;
7. კადრების მომზადებისა და გადამზადების სტრატეგია;
8. დარგის მუშაკთა სოციალური დაცვა.

ჩვენს კომისიას უახლოეს მომავალში დარგის განვითარების პოლიტიკა ესახება შემდეგნაირად:

1. ელექტროკავშირის განვითარება

ელექტროკავშირის განვითარების საფუძველს წარმოადგენს წინასწარ დამუშავებული ქსელის აგების გენერალური გეგმა, რომელშიც ასახული უნდა იქნეს ოპტიმალური თანამედროვე და პერსპექტიული ტექნოლოგიები. ყველა აგებული ქსელის ტექნიკური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

- ქვეყნის საერთაშორისო საკომუტაციო ცენტრი უნდა შეიქმნას ქ. თბილისში;
- საქართველოს ტელესაკომუნიკაციო ცენტრი უნდა აიგოს ორ ზონად, აღმოსავლეთის–ქ. თბილისში, დასავლეთის–ქ. ქუთაისში.

საკომუტაციო და გადაცემის სისტემისათვის უნდა გამოყენებული იქნეს ისეთი სისტემები, როგორიცაა:

- ინტეგრაციის მომსახურეობის ტექნოლოგიები;
- ბოჭკოვან–ოპტიკური ხაზები;
- ციფრული არხები;
- თანამგზავრული არხები და სხვ.

უნდა დასრულდეს თბილისის სატელეფონო ქსელის გადაყვანა ახალ ტექნოლოგიაზე (ელექტრონულ სადგურებზე), უნდა შეიქმნას სატელეფონო ქსელის ერთიანი მართვის სისტემა. სასურველია ჩამოყალიბდეს

თბილისის სატელეფონო ქსელის ღია სააქციო საზოგადოება და დაცული იქნეს თითოეული მუშაკის უფლებები. საჭიროა სწრაფად განვითარდეს ქსელის ტევადობა. დღეისათვის თბილისში 240.0 ათასი ნომერია, აქედან 50–60% საზოგადოებრივ სექტორში. ისე, რომ 400,0 ათას ოჯახზე ტელეფონების რაოდენობა ნამდვილად მცირეა;

– განხორციელდეს საქართველოს მთელი ტერიტორიის სხვადასხვა დანიშნულების ფიჭური სატელეფონო და ტრანკული ქსელებით დაფარვა;

– განახლდეს საქართველის საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელის ნუმერაციის ერთიანი სისტემა, ამ დარგში ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების შესაბამისად.

2. საფოსტო კავშირის განვითარება

საჭიროა:

– არატრადიციული მომსახურეობის დანერგვა;
– მძლავრი სატრანსპორტო ბაზის შექმნა ქვეყნის ტერიტორიაზე გზავნილების გადასატანად, პირველ რიგში მთაგორიან რაიონებში;
– მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნა;
– „საქონელი ფოსტით"–მომსახურეობის დანერგვა;
– ეროვნული საფოსტო მარკების წარმოება და პოპულარიზაცია.

3. რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა

ქვეყნის რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის განვითარების ძირითადი მიზანია მოკლე პერიოდში მთელი ტერიტორიის მოცვა მაღალხარისხოვანი, მრავალპროგრამიანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობით და პროგრამების გავრცელება საზღვარგარეთ.

საკითხები ჩამოყალიბებულია თეზისების სახით და ასახავს დარგის განვითარების მოკლევადიან სტრატეგიას, რომელიც შეიძლება გავრცელდეს 2005 წლამდე და მოიცავს ძირითად ტენდენციებს აღნიშნულ პერიოდში.

*GURAM KHMALADZE - chairman of EFG commission for communication*

## PROPOSALS FOR IMPRUVMENT COMMUNICATIONS SYSTEM

## *(annotation)*

The problems are worded in the article in brief, in kind of theses and reflect the short-term strategy of development of the branch that may be extended till 2005 and contains the main tendencies for the said period.



*ლეო ჩიქავა* – სეფ-ის სოციალურ-დემოგრაფიული საკითხების კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# დასაქმება და უმუშევრობა თბილისში

მოსახლეობის „სრული დასაქმება" შედარებითი ცნებაა და აბსოლიტური მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. გარკვეულ ფარგლებში უმუშევრობის ისეთი ფორმის არსებობა, როგორიცაა ფრიქციული და სტრუქტურული, ნებისმიერი ქვეყნისთვის კანონიერი და გარდაუვალია. მხედველობაში გვაქვს დროებითი უმუშევრობა, რომელიც დაკავშირებულია მომუშავეთა უკეთეს (უფრო მაღალანაზღაურებად, მსუბუქ, ადვილ, ჰიგიენურ და ა. შ.) სამუშაოზე გადასვლასთან, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან, სწავლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტების თავიანთი პროფილით დასაქმებასთან, აგრეთვე, მეცნიერულ–ტექნოლოგიური პროგრესით განპირობებულ წარმოების სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელიც საჭიროებს მომუშავეთა სპეციფიკურ (ჩვეულებრივ, უფრო კვალიფიციურ) კონტინგენტს და ყოფილ თანამშრომლებს დროებით უმუშევრად ტოვებს. ამგვარ (შრომისუნარიანთა დაახლოებით 3–დან 6%–მდე ოდენობით) უმუშევრობას ზომიერად თვლიან და საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევენ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში იგი ცნობილია უმუშევრობის ბუნებრივი დონის სახელწოდებით და გაიანგარიშება ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევართა ჯამის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან შეფარდებით (გამოხატული პროცენტებში).

უმუშევრობის ფაქტიური დონე შეიძლება იყოს ბუნებრივ დონეზე მაღალი ან დაბალი. მაღალი იქნება, თუ სამუშაოს მძებნელთა რიცხვი საგრძნობლად აღემატება არსებულ ვაკანსიებს, ანუ შრომის ბაზარი დაუბალანსებელია იმის გამო, რომ მიწოდება სჭარბობს მოთხოვნას, და პირიქით, დაბალი იქნება, თუ თავისუფალი სამუშაო ადგილების რაოდენობა აღემატება სამუშაოს მძებნელ მუშაკთა რაოდენობას, ანუ შრომის ბაზარი დაუბალანსებელია იმის გამო, რომ მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას. პრაქტიკაში ასეთი რამ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება (მაგ: ომის დროს, როდესაც შრომისუნარიან ძირითად მასას სამხედრო სამსახურში იწვევენ, ხოლო დასაქმებულებს, ხშირ შემთხვევაში, ორ–სამ ცვლაში უწევთ მუშაობა).

სახელმწიფო ორგანოების მხრივ ქმედით ღონისძიებათა სისტემის განხორციელებით, ერთგვარ რეგულირებას ექვემდებარება უმუშევრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ციკლური, სეზონური, რეგიონული, ფარული, დემოგრაფიული, ინსტიტუციონალური, ნებაყოფლობითი და შეჩერებული. მაგრამ იგი ადვილად და სწრაფად როდი მიიღწევა, მით უმეტეს ისეთ არაორდინალურ ვითარებაში, როგორიც შეიქმნა ადმინისტრაციულ–მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით დასმული საკითხი განვიხილოთ ქ. თბილისის მაგალითზე, სადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი ცხოვრობს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, რომელიც გაანგარიშებულია შინამეურნეობებზე დაკვირვებით მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით, 1997 წლის მეორე კვარტალში თბილისის მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ეკონომიკურად აქტიური იყო 400. აქედან მუშაობდა (ე. ი. იყო დასაქმებული) 327 (მათ შორის: დაქირავებული იყო 69,1%, თვითდასაქმებული – 25,7%, დამხმარე – 4,2% და სხვა – 1%). უმუშევარი იყო 73 (მათ შორის: რეგისტრირებული იყო 13,7%, არარეგისტრირებული – 82,2%, დროებით უმუშევარი – 4,1%).

1997 წლის მეორე კვარტალში (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით) უმუშევრობის დონე თბილისში (18,3%) 2,4 – ჯერ მაღალი იყო, ვიდრე ქვეყნის შესაბამისი საშუალო მაჩვენებელი (7,5% ).[1]

დედაქალაქში უმუშევრობის მკვეთრად მაღალი დონე აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ აქ წარმოების დარგებიდან ძირითადი მრეწველობაა, რომლის ობიექტთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩერებულია ან ფუნქციონირებს ნაწილობრივ. დასაქმებაზე ფრიად უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე სახელმწიფოს მხრივ კაპიტალური მშენებლობის თითქმის მთლიანად შეწყვეტამ, მაშინ, როდესაც სოფლად მუშახელის დასაქმებას ხელი შეუწყო აგრარული რეფორმის განხორციელებამ და კერძო საკუთრებაში მიწის ნაკვეთების გადაცემამ; აგრეთვე იგი მნიშვნელოვნად განპირობებულია იმითაც, რომ ამჟამად თბილისში ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაოს შოვნასა და დასაქმებაში სერიოზულ კონკურენციას უწევს სოფლის რაიონებიდან ჩამოსული იაფი

[1] იხ. საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, დასაქმება შემოსავლები (საქართველოს შინამეურნეობებზე დაკვირვების 1996-1997 წლების მონაცემების კრებული),თბ. 1998, გვ. 28.

მუშახელი (რომელსაც სამუშაოს შესრულებისათვის არავითარი ჩაწერის საბუთი არ მოეთხოვება), აგრეთვე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დროებით თბილისში ცხოვრობს.

მოტანილი მონაცემებიდან რამდენამდე განსხვავდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმით გაანგარიშებული მაჩვენებლები. მთავარი განსხვავება ისაა, რომ შერბილებული კრიტერიუმით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევართა ნაწილისადმი (სავსებით მართებულად) მიკუთნებულია ეგრეთ წოდებული „ხელჩაქნეული“ პირები, რომლებიც არ მუშაობენ, მზად არიან მუშაობისთვის და სურთ მუშაობა, თუმცა აღარ ეძებენ სამუშაოს, ვინაიდან არა აქვთ მოპოვების იმედი.

მოსახლეობის ამ ნაწილის გათვალისწინებით, უმუშევრობის დონე თბილისში 1997 წლის მეორე კვარტალში 25,1%-ს შეადგენდა, რაც 6,8%-ით აღემატება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმით გაანგარიშებულ მაჩვენებელს და შედარებით ახლოსაა რეალურ ვითარებასთან, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა ჭეშმარიტებისაგან.

ასეთი რადიკალური და მკაცრი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებანი:

1. შინამეურნეობებზე შერჩევითი დაკვირვების განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებული თანამედროვე მეთოდოლოგიით, დასაქმებულთა რიცხოვნებაში ჩათვლილია ის პირებიც, რომლებიც გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში მუშაობდნენ სულ ცოტა ერთი საათი მაინც შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა. შ.) მიღების მიზნით ან ეხმარებოდნენ უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს;

ჩვენი აზრით, ერთი კვირის მანძილზე არამც თუ ერთი საათის, არამედ ერთი დღის განმავლობაში მომუშავე პირიც ვერ ჩაითვლება დასაქმებულად თუნდაც იმიტომ, რომ მისი შრომის მიზერული საზღაური არ ეყოფა საცხოვრებელ ადგილამდე ტრანსპორტით მგზავრობასაც კი, რომ არაფერი ვთქვათ მის მრავალფეროვან სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე;

დღევანდელ ეტაპზე, ცხადია, ნაადრევია დასაქმებულის სტატუსის მინიჭებისთვის ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის ღირებულების ტოლფასი საზღაურის მიღების მოთხოვნის წაყენება (როგორც ამას გვთავაზობს ზოგიერთი კოლეგა), ვინაიდან ამ რიცხვში დასაქმებულ შრომისუნარიანთა ძალიან მცირე რაოდენობა თუ მოხვდება. მაგრამ მომუშავე მოქალაქემ კანონით დადგენილი თვიური მინიმალური ხელფასის ოდენობის საზღაური (შემოსავალი) ხომ უნდა მიიღოს, რათა დასაქმებულად ჩაითვალოს?!

აუცილებელია მუშაობის ხანგრძლივობის მინიმუმის განსაზღვრაც. აშშ-ის მაგალითისამებრ, მიზანშეწონილია იგი შემოიფარგლოს კვირაში არანაკლებ 15 საათით;

2. ამავე მეთოდოლოგიით, დასაქმებულად ითვლებიან ის პირებიც, რომლებიც ფორმალურად ითვლებიან მომუშავედ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ იმყოფებიან სამუშაოზე, ე. ი. ფაქტიურად არ საქმიანობენ.[1]

ამ ფორმის უმუშევრობა თბილისში დიდი მასშტაბითაა წარმოდგენილი. ამჟამად (რომ არაფერი ვთქვათ ოთხმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში არსებულ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაზე) საწარმოთა საგრძნობი ნაწილი არ ფუნქციონირებს, ან ფუნქციონირებს მხოლოდ ნაწილობრივ[2] და თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი გაშვებულია ხანგრძლივვადიან ან საერთოდ უვადო და უხელფასო შვებულებაში. იმის გამო, რომ შრომისუნარიანთა ეს მნიშვნელოვანი მასა ოფიციალურად არაა დათხოვნილი სამუშაოდან, ითვლება დასაქმებულად და ხელოვნურად ამცირებს უმუშევართა რიცხოვნობას;

3. თბილისში (ისე, როგორც ქვეყანაში საერთოდ) ბევრი სრული შრომისუნარიანი „მოღვაწეობს“ არალეგალურად, ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ სფეროში, სადაც იწარმოება ქვეყნის მთელი შიგა ეროვნული პროდუქტის 45%-ზე მეტი. ესაა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ოფიციალურად არ ითვლება ეკონომიკურად აქტიურად, რამდენადაც არავის არ სთავაზობს თავის სამუშაო ძალას და არ ეძებს სამუშაოს, ამიტომ არც დასაქმებულებში აღირიცხება და არც უმუშევრებში. დასაქმებულებში მათი გათვალისწინება (რაც თითქმის შეუძლებელია შენიღბულობის გამო) ძირეულად შეცვლიდა დასაქმებულთა და უმუშევართა შორის თანაფარდობას;

[1] ცხადია, მხედველობაში არ გვაქვს სამუშაოზე არყოფნა დროებითი შრომის უუნარობის, შვებულებაში ყოფნის, სასწავლებლად (კვალიფიკაციის ამაღლებლად) მივლინების, გაფიცვაში მონაწილეობის ან წარმოების ხანმოკლე ვადით შეჩერების გამო,

[2] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, აღრიცხული 3399 სამრეწველო საწარმოდან (რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი) 1997 წლის დასასრულისთვის არ მუშაობდა 1248 ანუ 36,7% მ.შ. 623 ანუ საერთო რიცხოვნობის 18,3%-ს საერთოდ არ უმუშავია წლის დასაწყისიდან.



4. მთლიანად საქართველოში და, უწინარეს ყოვლისა, თბილისში დაუსაქმებელთა შორის დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი აგრეთვე ეგრეთ წოდებული „ნებაყოფილობითი უმუშევრები“. ამ კატეგორიას მნიშვნელოვანწილად განეკუთვნებიან შრომისუნარიანი პირები, რომლებიც საარსებო საშუალებებს შოულობენ ქურდობით, ბანდიტობით, თაღლითობით, კორუფციით, ნარკობიზნესით, სპეკულაციით, შპიონაჟით, პროსტიტუციით და ა. შ.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით, საზოგადოების არც ეს ნაწილია გათვალისწინებული „ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში“, რაც ამახინჯებს რეალურ სურათს;

5. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით, დასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან თვითდასაქმებულებიც (მათზე მოდის ჩვენს ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო ოდენობის დაახლოებით 2/3), რაც პრინციპში სწორია, მაგრამ ცნება „თვითდასაქმებული“ შეიძლება არაერთგვაროვნად იქნეს გაგებული. ჩვენი აზრით, თვითდასაქმებულია ყველა ის პირი, რომელიც მუშაობს დაქირავების გარეშე (ინდივიდუალური მეწარმეობა, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, წვრილმასშტაბიანი მშენებლობა, ინტელექტუალური მომსახურება და ა. შ.), პირადი ინიციატივით, ე. ი. დამოუკიდებლად უზრუნველყოფს თავისთავს სამუშაოთი კვირაში 15 საათზე მეტი ხნის განმავლობაში და ამის კვალობაზე ღებულობს შემოსავალს არანაკლებ დადგენილი მინიმალური თვიური ხელფასისა. ამ პრინციპით, დიასახლისი (თუმცა შეიძლება ძალიან ინტენსიურად იყოს საოჯახო საქმეებით დატვირთული) ვერც დასაქმებულად და, ბუნებრივია, ვერც უმუშევრად ჩაითვლება.

დასაქმების შესახებ საქართველოს კანონით, დასაქმებულად ითვლება ერთი ჰექტარი ან მეტი მიწის ფართობის მესაკუთრე. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არაა ის, რომ მიწა საკუთრებაში ეძლევა ოჯახს, რომელშიც შრომის ასაკის სამუშაოს მაძებარი შრომისუნარიანი წევრი შეიძლება ორი, სამი და ზოგჯერ მეტიც იყოს. ერთი ჰექტარი მიწის ფართობის ფლობისას ყველა მათგანის დასაქმებულად აღიარება, როგორც ეს ამჟამად ხდება, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, თითეულ პირზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ ერთი ჰექტარი სახნავი მიწის ნაკვეთისა, რათა ჩაითვალოს დასაქმებულად.

ამრიგად, დასაქმებულად უნდა მივიჩნიოთ ყველა ასაკის პირები, რომლებიც ფაქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის შიდა ეროვნული პროდუქტის შექმნაში, მუშაობენ კვირაში საშუალოდ 15 საათზე მეტი ხნის განმავლობაში და ღებულობენ საზღაურს (შემოსავალს) არანაკლებ ქვეყანაში დადგენილი მინიმალური თვიური ხელფასისა;

6. დასაქმების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად „უმუშევრად ითვლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი მოქალაქე, რომელსაც არა აქვს სამუშაო და შესაბამისად-ანაზღაურება (შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით იმ კომპენსაციის გარდა, რომელიც მოქალაქეს უნარჩუნდება ორგანიზაციის ლიკვიდაციის, ან მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების გამო) და რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში შესაფერისი სამუშაოს მოსაძებნად, ეძებს სამუშაოს და მზად არის შეუდგეს მის შესრულებას.“

ჩვენი აზრით, ამ განსაზღვრებიდან ამოსაღებია (ამ ეტაპზე მაინც) ის ადგილი, სადაც აღნიშნულია: „...და რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში შესაფერისი სამუშაოს მოსაძებნად.“

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დასაქმების შესახებ კანონში ასეთი პუნქტი შეტანილია და სავსებით კანონზომიერათაც, რამდენადაც იქ სამუშაოს მაძებარი, როგორც წესი, რეგისტრირდება დასაქმების სამსახურში იმის რწმენით, რომ იგი მოუძებნის მას შესაფერის სამუშაოს, თანაც სამუშაოთი უზრუნველყოფამდე (კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში) აღმოუჩენს სოლიდურ მატერიალურ დახმარებას. ჩვენთან ამჟამად დასაქმების სამსახურს არც ერთი ძალუძს და არც მეორე (უმუშევრობისთვის დახმარება იმდენად მიზერულია, რომ მის გასაფორმებლად წასვლა-წამოსვლის ხარჯებსაც ვერ დაფარავს). ამიტომ უმუშევართა მხოლოდ მცირე ნაწილი (საქართველოს მაშტაბით, 1997წ. დასასრულისთვის სულ 146,5 ათ. კაცი) მიმართავს დასაქმების სამსახურს და მისი მონაცემებით სარგებლობა სწორ წარმოდგენას ვერ იძლევა ქვეყანაში უმუშევრობის მხრივ არსებული მდგომარეობის თაობაზე.[1]

რაც შეეხება იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია: „ეძებს სამუშაოს“ პრინციპში სწორია და უმუშევართა რიცხოვნობის გაანგარიშებისას, უწინარეს ყოვლისა, ამით უნდა ვისარგებლოთ. მაგრამ მეორე ვარიანტით-შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შერბილებული კრიტერიუმით გაანგარიშებისას (დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, როგორც ამას მართებულად მიმართავს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი) შეიძლება ეს ადგილი ამოვიღოთ, რაც საშუალებას იძლევა უმუშევრებში მოვაქციოთ ის პირებიც, რომლებიც არ მუშაობენ, მზად არიან მუშაობისათვის და სურთ მუშაობა, მაგრამ არ ეძებენ სამუშაოს იმის გამო, რომ გაუცრუვდათ მისი მოპოვების იმედი და ხელი აქვთ ჩაქნეული.

[1] არასრულყოფილი მეთოდიკით სარგებლობის გამო, ხელოვნურად მკვეთრად (ალბათ, 3-ჯერ მაინც) შემცირებულ გაანგარიშებათა მიხედვითაც კი 1997წ. დასასრულისთვის მარტო თბილისში იყო 143 ათასზე მეტი უმუშევარი.

ამ მომენტების გათვალისწინებით, უმუშევართა კატეგორიის განსაზღვრება შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: „უმუშევრად ითვლებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის ასაკის სრული შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომელთაც სურთ ჰქონდეთ სამუშაო, მზად არიან მის შესასრულებლად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობის რეალიზაციას, ასევე ის პირებიც, რომლებიც მუშაობენ კვირაში არაუმეტეს 15 საათისა და ღებულობენ საზღაურს (შემოსავალს) ქვეყანაში დადგენილ თვიურ ხელფასზე ნაკლები ოდენობით.“

უმუშევრობის დონის გასაანგარიშებლად, უმუშევართა რიცხოვნობასთან ერთად, უნდა ვიცოდეთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ოდენობა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის (მაგ: დღის, კვირის, წლის,) განმავლობაში სთავაზობს თავის სამუშაო ძალას ეკონომიკური დოვლათისა და მომსახურეობის წარმოებისათვის. ამ განსაზღვრაში, ვფიქრობთ, ზოგიერთი მომენტი დასაზუსტებელია. მაგალითად, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩანდეს, რომ ლაპარაკია შრომის ასაკის შრომისუნარიან მოსახლეობაზე და არა საერთოდ (მოზარდებისა და პენსიონერების ჩათვლით, თუმცა გარკვეული ზომით ესენიც სთავაზობენ თავიანთ სამუშაო ძალას). ამავე დროს, საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული კატეგორიის მხოლოდ ნაწილი სთავაზობს თავის სამუშაო ძალას საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებისათვის, ნაწილი კი დასაქმებულია და რეალურად ახორციელებს ამ ამოცანას.

ამ მომენტების გათვალისწინებით, „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: „ეკონომიკურად აქტიურად იწოდებიან შრომის ასაკის სრული შრომისუნარიანი პირები, რომლებიც მუშაობენ ან მზად არიან იმუშაონ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის შიგა ეროვნული პროდუქტის წარმოებაში.“

უმუშევართა რიცხოვნობის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო ოდენობასთან შეფარდებით ადგენენ უმუშევრობის ფაქტიურ დონეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ არასრულყოფილი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობის შედეგად რეალობისაგან საგრძნობლად დაშორებულია, როგორც დასაქმების, ისე უმუშევრობის მაჩვენებლები, 1997 წელს საქართველოში დასაქმებულობის დონე შეადგენდა 94,2%-ს, ხოლო უმუშევრობისა–5,8%–ს, რაც კომენტარებს არ საჭიროებს.

ყოველივე აღნიშნულით იმის თქმა გვინდა, რომ უმუშევრობის რეალური მდგომარეობის ასახვას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ორგანოებისთვის მისი ნორმალიზების მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით.[1]

***LEO CHIKAVA- chairman of EFG commission for social and demographic affairs, director of Demography and Sociological Study Institute of the Academy of Sciences of Georgia, Corresponding Member of the Academy of Sciences of Georgia.***

## EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN TBILISI

### *(annotation)*

The article considers the problem of balance between the natural and actual rates of employment in the country on the example of Tbilisi. The attention is attracted to the methods of establishment of the unemployment rate and the own view is presented.

[1] იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1997 წელს, თბ. 1998, გვ. 39.



*ავთანდილ სულაბერიძე* – სეფ–ის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული კვლევისა და სწავლების ცენტრის დირექტორი, ეკონ. მეც. კანდიდატი

# ქ. თბილისის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების პრობლემები

(ანალიზი, ტენდენციები, კონცეპტუალური მოსაზრებანი)

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ დღეისთვის კრიტიკულ ზღვარს გადაცილებული სოციალურ–დემოგრაფიული ვითარების განმაპირობებელი სიღატაკის არსებული დონე, ზოგიერთი სოციალურ–ეკონომიკური ფაქტორი და გასატარებელი სოციალურ–დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის ჩვენეული ხედვის კონცეპტუალური ძირითადი მიმართულებანი.

საქართველოში სოციალურ–დემოგრაფიული პროცესების ნეგატიური ტენდენციები ძირითადათ 70–იან წლებში აღინიშნა, 80–იან წლებში გამწვავდა, ხოლო 90–იან წლებში დეპრესიული ხასიათი მიიღო. ამ პროცესში ლომის წილი თბილისის მოსახლეობის სოციალურ–დემოგრაფიულ ქცევაზე მოდის, რამდენადაც თბილისელთა სოციალურ–დემოგრაფიული ქცევა მეტ–ნაკლებად ორიენტირი ხდება საქართველოს დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით სწრაფი ურბანიზაციის პირობებში.

საქართველოში 90–იანი წლების დასაწყისში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურმა, სოციალურ–ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა ვითარებამ ბევრად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი სოციალურ–დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერი (ევოლუციური) ფორმის დარღვევა, რის შედეგადაც ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარება კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცდა.

არათანამიმდევრულმა და მემარჯვენე ეკონომიკურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დაამძიმა სოციალურ–დემოგრაფიული სიტუაცია. ჯერ „შოკურმა თერაპიამ“, შემდეგ კი სავალუტო ფონდის მიერ თავს მოხვეულმა მონეტარისტურმა პოლიტიკამ ძირითადად განაპირობა ოჯახის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი, კატასტროფული დაცემა. საშუალო, ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტი საარსებო მინიმუმის ზღვარს საკმაოდ დაშორდა, რამაც განსაზღვრა არამარტო ტრადიციულად დაბალშემოსავლიანი ოჯახების (პენსიონრები და ვეტერანები, ინვალიდები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები), არამედ ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი და მყარი შემოსავლის მქონე ოჯახთა გადასვლა ღარიბ ოჯახთა კატეგორიაში. მოსახლეობის ტრადიციულად დაუცველ ჯგუფს შეემატნენ: იძულებით გადაადგილებული პირები, მეძუძური და ორსული ქალები, აგრეთვე „დასაქმებული ღარიბები“ – უმეტესად ინტელიგენცია (მეცნიერები, ინჟინრები, მასწავლებლები და სხვ.), რის შედეგაც წარმოიქმნა დღემდე ჩვენთვის უცნობი მოსახლეობის ახალი სოციალური ფენა – „ახალი ღარიბები“.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმმა 1998 წლის აპრილში 188,1 ლარი, ხოლო საშუალო მომხმარებლისთვის კი 94,1 ლარი შეადგინა. ამასთან თბილისის მაჩვენებელი საშუალო ეროვნულზე 4,3%–ით მეტია. ამ ფონზე ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა (რომელმაც უნდა უზრუნველყოს სხვა შემოსავლებთან ერთად ოჯახის ბიუჯეტის დეფიციტი) ოთხსულიანი ოჯახის ერთი დასაქმებულისთვის 42,7ლარი შეადგინა, მაშინ, როცა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულ მუშაკთა I კატეგორიის უდაბლესი ხელფასი (17 ლარი) მის 39,8%–ს შეადგენს[1].

შემოსავლების ასეთი დონე, რა თქმა უნდა, თავისთავად ვერ უზრუნველყოფს ოჯახის შინამეურნეობის საშუალო თვიურ ხარჯებს, რომელმაც საქართველოში 1997 წელს 219,9 ლარი, ხოლო თბილისში 223,1 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სურსათის ხარჯების წილი ოჯახის საერთო ხარჯებში საქართველოსთვის 67,2%–ს, ხოლო თბილისისთვის 66,2%–ს შეადგენს, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, ქალაქის ოჯახს 83%–ით მეტი დანახარჯი აქვს სურსათზე, ვიდრე სოფლისას, რომელიც თითქმის 4–ჯერ მეტს მოიხმარს საკუთარ ან უფასოდ მიღებულ პროდუქტს[2].

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის გაანგარიშებით 1997 წლის მოსახლეობის 57% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და ასეთ პირობებში მოსახლეობის 42%–მა პრაქტიკულად ფიზიკურად ვერ უნდა იარსებოს. ჩვენი გაანგარიშებით უმდიდრესი მოსახლეობის 20%–იანი კვინტალური ჯგუფის საერთო შემოსავლები 30–ჯერ აჭარბებენ უღარიბესი მოსახლეობის 20%–იანი კვინტალური ჯგუფის საერთო შემოსავლებს. მართალია, 2 წლის წინათ ეს მაჩვენებელი 56%–ს შეადგენდა და ოჯახების გარკვეული „ამოსუნთქვა“ აღინიშნება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ქვეყანაში საშუალო ფენის ფორმირებისთვის, რომელიც პრაქტიკულად ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

ქვეყანაში, ცხოვრების ასეთი დონის არსებობის პირობებში, ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების სწრაფად მოგვარებას კარგა ხანს არ უნდა ველოდოთ, რამდენადაც უკვე მნიშვნელოვანი დეფორმაცია განიცადა ოჯახის სოციალურ–ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა, სოციოკულტურულმა, სოციალურ–ფსიქოლოგიურმა და სხვა ფუნქციებმა. ცხოვრების ხარისხის უცებ დაცემა უარყოფითად აისახა

[1] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998წ. იანვარ-აპრილი სსდ-ის გამოცემა. გვ. 28-29.

[2] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998წ. იანვარ-აპრილი სსდ-ის გამოცემა. გვ. 30-31.

სახლთმეურნეობის ორგანიზაციაზე, მოხმარების სტრუქტურაზე, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობაზე, მათ სულიერ, საგანმანათლებლო და კულტურულ მოთხოვნილებებზე. სამწუხაროდ აღინიშნება ოჯახის დეგრადაცია, მისი როლის დაცემის ნეგატიური ტენდენცია ბავშვთა აღზრდასა და განვითარებაში. ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, კრიზისულ მდგომარეობას აღრმავებს ისეთი სოციალური ანომალიები, როგორიცაა: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, მათხოვრობა, ოჯახის ზრუნვას მოკლებული ბავშვთა მაწანწალობა და ა. შ.

ამ მხრივ საინტერესოა 1996 წელს ორგანიზაციის „ბავშვი და გარემო" თბილისში ჩატარებული გამოკვლევა ე. წ. „ქუჩის ბავშვებში" (მსოფლიოში საყოველთაოდ მიღებული ცნება, რომელშიც გაერთიანებულია როგორც მათხოვარი, ისე მომუშავე ბავშვები). გამოკითხულ მომუშავე ბავშვთა საშუალო ასაკი 13 წელი, ხოლო მათხოვართა და მაწანწალა ბავშვთა ასაკი 10 წელი იყო. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულ ბავშვთაგან 39% შეადგინა არასაიმედო ოჯახების ბავშვებმა, რომლებიც არ მიეკუთნებიან ქუჩის ბავშვებს, მაგრამ არსებობის უმძიმესი პირობების გამო შეიძლება აღმოჩნდნენ ქუჩაში. ერთობ დამაფიქრებელია ის, რომ 10 წლამდე ბავშვებს ძირითადად მშობლები უბიძგებენ მათხოვრობისაკენ და ხშირად თვით მშობლებიც მათთან ერთად მათხოვრობენ. საგანგაშოა ის, რომ მათხოვარ და მაწანწალა ბავშვთა 18%-ზე მეტი სახლში არ ათევს ღამეს, ხოლო 11%-მდე ოჯახთან ერთად არ ცხოვრობს. მათგან 23%-ზე მეტმა არ იცის წერა-კითხვა და თითქმის ამდენივეს (21%) არ სურს სწავლა. ბავშვთა 78%-ის ძირითადი შემოსავალი მათხოვრობაა, ხოლო 12%-ს არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი. მათგან, ვისაც შემოსავალი გააჩნია, 33%-ს ოჯახში მიაქვს, 27%-ს კი ნაწილი სახლში მიაქვს, ხოლო ნაწილს თვითონ ხარჯავს. ორი უკანასკნელი მაჩვენებელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თბილისში ოჯახთა გარკვეული ნაწილი ბავშვთა მათხოვრობით ირჩენს თავს, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დეპრესიაზე მეტყველებს.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მათხოვარ ბავშვთა 18% ტოქსიკომანია, ხოლო 0,4% უკვე ნარკომანია, 10%-მდე იღებს ალკოჰოლს და 22% ეწევა თამბაქოს. მათხოვარ ბავშვთა 35% ნამყოფია პოლიციაში. ბავშვების 40% ჯამრთელობას უჩივის და 11%-მდე ვიღაცის მიერ ნაცემიც არის.

ზემოთ-მოტანილი გამოკვლევა ჩვენი მომავალი საზოგადოების გარკვეულ ინდიკატორადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ეს სწორედ ჩვენს მიერ მთელი ეპოქის სწრაფად გავლისა და საბაზრო ეკონომიკაზე ნახტომისებური (რევოლუციური) გადასვლის სურვილმა განაპირობა. მოუფიქრებელი და სხვის მიერ შემოთავაზებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელით თავისთავად მიუღებელი და შეუთავსებელი აღმოჩნდა მდიდარი ტრადიციებისა და მაღალი ინტელექტის მქონე ერისთვის, მით უფრო, როდესაც შემოთავაზებული მოდელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკურ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. უწინარესად ეს მოსახლეობას და ოჯახს დააწვა, რითაც ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიულ განვითარებას საფრთხე შეექმნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მრავალ არსებულ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია დედაქალაქის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების საკითხს. მნიშვნელოვნად შეიცვალა თბილისის დემოგრაფიული სურათი. 1988-1997 წლებში შობადობა, 1000 კაცზე გაანგარიშებით, 14,7 პრომილედან 9,5 პრომილემდე დაეცა, სიკვდილიანობის ზრდის პირობებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 6,7 პრომილედან 1,3 პრომილემდე, ანუ 5-ჯერ შემცირდა. მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მნიშვნელოვანი დარღვევა განაპირობა ქორწინებათა შემცირებამ და განქორწინებათა ზრდამ.

განსაკუთრებით იკლო ხელმეორედ ქორწინებებმა. დამაფიქრებელია ქორწინებისგარეშე შობადობის ზრდა. თუ 1989 წელს საქართველოში არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთა ხვედრითი წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 17,7%-ს შეადგენდა, 1997 წელს იგი 33,4%-მდე გაიზარდა. ე.ი. დაბადებულთა 1/3 არარეგისტრირებულ ქორწინებაზე მოდის, რაც სერიოზულ დაფიქრებას და პრობლემის გადაჭრისათვის მისი მიზეზების მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. მით უფრო, რომ ერთობ სწრაფად გაიზარდა 20 წლამდე გოგონათა შობადობა და შემცირდა 25 წლის ასაკის ზემოთ მყოფ ქალთა ქორწინებები. აღსანიშნავია, რომ კლებულობს შერეული ქორწინებების (ორი ეროვნების) ხვედრითი წილი ქორწინებათა საერთო რაოდენობაში, თუმცა, როგორც გამოკვლევები ცხადყოფენ, პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა ზოგადად ვერ დაარღვია პიროვნებათაშორისი ურთიერთობები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთა შორის და თბილისში შენარჩუნებულია ეროვნებათაშორისი კეთილგანწყობილი გარემო.

ქ. თბილისის მოსახლეობის სიკვდილიანობის სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაიზარდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ვაჟთა შორის. ერთობ საგანგაშოა ჩვილთა (1 წლამდე ასაკის ბავშვთა) სიკვდილიანობის მაღალი დონე – 27,2%, რომლის 60% ნეონატალური პერიოდზე მოდის. ასევე მაღალია მკვდრადშობილთა რაოდენობა (20,7%), რაც დაკავშირებულია თანდაყოლილ ანომალიებთან. შემაშფოთებელია მშობიარე დედათა სიკვდილიანობის ზრდა.

ქ. თბილისის მოსახლეობის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორად ისევ მიგრაცია რჩება. გარდა იმისა, რომ დედაქალაქში თავი მოიყარა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობამ, რესპუბლიკის რაიონული ცენტრებიდან და სოფლებიდან ისევ გაიზარდა მიგრაცია თბილისში. თბილისის მოსახლეობის მიგრაციული მატების 52,4% სწორედ სოფლის მოსახლეობაზე მოდის. შენელდა პატარა და საშუალო ქალაქების ზრდა, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის დეგრადირებული განსახლების



ფონზე ერთობ აქტუალურია. პატარა და საშუალო ქალაქებში თბილისიდან სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის დიდ საწარმოს გადატანა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს პრობლემის გადაწყვეტას.

არაორგანიზებულმა მიგრაციამ გარკვეულწილად გააძლიერა სოციალურ ანომალიათა მძიმე შედეგები, რაც აისახა პროსტიტუციის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა და ცხოვრების წესის სხვა მახინჯ ფორმებში.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, სამწუხაროდ, მიმდინარეობს ოჯახის დეგრადაცია. შეჩერდა მისი ნუკლიარიზაცია და მრავლდება მრავალთაობიანი რთული ოჯახები, სადაც სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის შედეგად გახშირდა შიდაოჯახური კონფლიქტები. გაღრმავდა კონფლიქტი ოჯახსა და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო ვეღარ ასრულებს თავის ვალდებულებებს ოჯახის წინაშე. ამის შედეგად ოჯახი უკვე დაბალკონკურენტუნარიან სოციალურ-დემოგრაფიულ უჯრედად გვევლინება და, თავის მხრივ, ოჯახშიც დაირღვა სახელმწიფოსადმი ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა. აუცილებელია ოჯახში ტრადიციულად არსებული სამი ძირითადი ფუნქციის აღდგენა:

1. აღწარმოებითი, ანუ თაობათა განახლების;
2. ახალი თაობის აღზრდისა და სოციალიზაციის;
3. ერთობლივი პროდუქტის წარმოებაში აქტიური მონაწილეობა, ანუ ეკონომიკური ფუნქცია.

უაღრესად რთულ პირობებში აღმოჩნდა ქალი როგორც ოჯახის დედაბურჯი. თუ adრე ქალი პრესტიჟისათვის მუშაობდა და სამუშაოს ადვილად უთავსებდა თაობის აღზრდას, დღეს იგი ოჯახის გამოსაკვებად უკვე იძულებით შრომას ეწევა და რეალურად უჭირს ორი დიდი ფუნქციის-დედობისა და საზოგადოებრივი (პროფესიული) საქმიანობის შეთავსება. დედათა და ჩვილთა სიკვდილიანობა საქართველოში სამჯერ და მეტად აჭარბებს საერთაშორისო მაჩვენებლებს.

დეგრადაციას განიცდის ბავშვთა და ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა, ბავშვიან ოჯახებზე უკვე განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის არარსებობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. სწორედ ამ ოჯახებისადმი თანადგომა და ხელშეწყობაა დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი პირობა. ამ მიზნით აუცილებელია მოხდეს არსებული სიტუაციის შეფასება და მის საფუძველზე ახალგაზრდა ოჯახების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება. აღნიშნულის განხორციელებისათვის საჭიროა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა.

ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის „მდგრადი და უსაფრთხო ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია-პროგრამის" შემუშავებას. გაერო-ს რეკომენდაციით „ოჯახის განმტკიცებისაკენ მიმართული პოლიტიკა და შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქცეს ეროვნულ მთავრობათა და მთავრობათაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის პრიორიტეტულ საქმიანობად".

აქედან გამომდინარე, კონცეფცია-პროგრამის გენერალური მიზანია, სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებით, უწინარესად სიღატაკის აღმოფხვრით, სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის (ოჯახის) საბაზრო ურთიერთობების შესაბამის აქტიურ სოციალურ-დემოგრაფიულ ქცევას.

აუცილებელია, კონცეფციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი ემყარებოდეს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, რომლის შემუშავება ერთობ საშურია; ქვეყნის განვითარების ისტორია და დღევანდელობა ადასტურებს, რომ არ შეიძლება პრობლემისადმი ერთმნიშვნელოვანი მოდერნისტული მიდგომა (შოკური თერაპია, მონეტარიზმი და ა.შ.). უკვე დროა სტრატეგიულ განვითარებაში ადგილი დაეთმოს ქვეყნის ტრადიციებსაც. ამგვარი პრაქტიკა მრავალ ქვეყანაში არსებობს.

ასეთი კონცეფცია დამუშავდა საქართველოს ეკონომიკური ფორუმში და ამჟამად ექსპერტიზას გადის ცნობილ მეცნიერთა მეშვეობით. მის საფუძველზე მუშავდება კომპლექსური პროგრამა როგორც ქვეყნის, ასევე თბილისის მასშტაბითაც.

გენერალური მიზნიდან გამომდინარე, კონცეფცია-პროგრამა ევოლუციურ განვითარებას ეფუძნება და სამ ეტაპს მოიცავს:

ა) სარეაბილიტაციო (1999-2002წწ.);

ბ) სტაბილიზაციის პერიოდი (2003-2005წწ.);

გ) ევოლუციური კანონზომიერების უზრუნველყოფა.

პირველი ორი ეტაპი ემთხვევა გაეროს მიერ გამოცხადებულ მსოფლიოში სიღატაკის ლიკვიდაციის ათწლიან პერიოდს (1996-2006წწ.) მესამე ეტაპიდან კი, ალბათ, დაიწყება აღწარმოების მეორე ფაზა, რომლის დროსაც მოხდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მეტ-ნაკლები სტაბილური განვითარების აუცილებელი ევოლუციური განვითარების უზრუნველყოფა.

ამდენად, კონცეფცია-პროგრამის ძირითადი პრიორიტეტია სიღატაკის დაძლევა, რის გარეშეც აზრი არ ექნება არავითარ სოციალურ-დემოგრაფიული პროგრამების შემუშავებას, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ რეალიზაციაზე.

კონცეფციის ძირითადი ამოცანაა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის შესაბამისად, განისაზღვროს ქვეყნის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების პრიორიტეტები და საოჯახო პოლიტიკის ეროვნული პროგრამის ძირითადი მიმართულებები; ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარე შექმნას სოციალური სახელმწიფოს ფორმირების პირობები.

საოჯახო პოლიტიკის სტრატეგია ძირითადად უნდა ემყარებოდეს კონსტიტუციური ნორმებიდან გამომდინარე ოჯახის თავისუფლებას, რომლის რეალიზაციის ძირითადი მიზანია ოჯახის, როგორც მცირე სოციალური უჯრედის, განმტკიცება, რაც გულისხმობს ახალი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას ოჯახის მიმართ. მოკლედ მისი ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად: შემოსავლები–გადასახადები–კრედიტები. ეს ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ორიენტაციის შეცვლას ოჯახის დახმარებისა და შემწეობების მიმართ. მას უნდა ჰქონდეს საბაზრო ხასიათი. სტრატეგია უნდა წარვმართოთ არა ოჯახის სოციალურ დაცვაზე, არამედ მის განვითარებაზე და შესაბამისად ტერმინი ოჯახის „სოციალურ დაცვა" ან „სოციალური თვითდაცვა" უახლოეს პერიოდში. უნდა შეიცვალოს „სოციალური უზრუნველყოფით".

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახს შემოსავლების ფორმირებაში და წაახალისოს მისი ეკონომიკური აქტივობის კანონით დაშვებული ნებისმიერი ფორმა. ოჯახმა თავისი ბიზნესით უნდა უზრუნველყოს მისი თითოეული წევრი არა თუ საარსებო, არამედ სოციალური მინიმუმით, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს მის ყოველმხრივ სოციალურ და დემოგრაფიულ განვითარებას. ასეთ შემთხვევაში ოჯახში გაჩენილი ახალი წევრი, ახალშობილის სახით, აღარ მოგვევლინება სიღარიბის დემოგრაფიულ ფაქტორად.

ოჯახის საგადასახადო პოლიტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეღავათები იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტიპის ოჯახებია ქვეყნისათვის მისაღები და რა წარმოადგენს საოჯახო პოლიტიკის მიზანს დროის შესაბამისად.

დღეს არსებული კრედიტების ნაცვლად, რომლებიც ოჯახს სახელმწიფოს მიმართ კაბალურ პირობებში აყენებს, უნდა გაიცეს სახელმწიფოს მაკროდემოგრაფიული პოლიტიკიდან გამომდინარე მიზანმიმართული კრედიტები. ამასთან, კრედიტი უნდა ატარებდეს წამახალისებელ ხასიათს და ხელს უწყობდეს სასურველი ტიპის ოჯახის ფორმირებას.

საოჯახო პოლიტიკის ასეთი ეკონომიკური სტრატეგია განსაზღვრავს ოჯახის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რაც მომავალი საქართველოსთვის აუცილებელია. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა თავის მხრივ ბევრად განაპირობებს საოჯახო პოლიტიკის სხვა მიმართულებებს.

ამდენად, საოჯახო პოლიტიკის სახელმწიფო პროგრამის ძირითადი სტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად დებულებას: ოჯახის ეკონომიკური დამოუკიდებლობა სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და სუვერენობის გარანტიაა. ამიტომ საოჯახო პოლიტიკა – ესაა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი სხვადასხვა სახის პოლიტიკის კომპლექსი, სადაც ინტეგრირებულია სახელმწიფოს სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნები ოჯახის მიმართ. ამასთან, სახელმწიფო გვევლინება ოჯახის თანამდგომად და არ ცვლის ოჯახის ფუნქციებს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია-პროგრამები, რომლებშიც არ იქნება გათვალისწინებული რეგიონალური თავისებურებანი, განწირული არიან. ამიტომ, გადაუდებლად მიგვაჩნია, ერთიანი კომპლექსური პროგრამის გვერდით, რეგიონალური, აგრეთვე დიდი ქალაქების, განსაკუთრებით, ქ. თბილისის კონცეფცია-პროგრამების ცალკე შემუშავება.

ქ. თბილისის კონცეფცია-პროგრამის ყურადღების ცენტრში ოჯახი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ოჯახი უნდა იყოს, რათა მოხდეს მისი ძირითადი ფუნქციების რეაბილიტაცია. მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი აქცენტი ოჯახის ეკონომიკაზე უნდა იყოს გადატანილი. ოჯახის ბიზნესის განვითარებით ქ. თბილისში ბევრად უფრო ადვილად გადაიჭრება დასაქმების პრობლემა. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ინვესტიციების წარმართვა ოჯახურ ბიზნესზე უფრო ეფექტიანია და ბევრად უფრო მცირე დრო სჭირდება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე გაწეულ ინვესტიციათა უკუგებას.

აქტიური საოჯახო პოლიტიკის რეალიზაცია ითვალისწინებს ოჯახისათვის სოციალური, საყოფაცხოვრებო და მომსახურეობის სფეროს გაფართოებას. ეს უნდა მოხდეს კომუნალური, საგანმანათლებო, ჯანდაცვის, საკონსულტაციო-იურიდიული, ფსიქოლოგიური და სხვა სახის სამსახურების შექმნის ფორმით.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები უნდა გატარდეს როგორც მიკრო (ოჯახის) დონეზე, ასევე მეზო დონეზე. კერძოდ, ყურადსაღებია ბავშვთა, ქალთა, ინვალიდთა, ვეტერანთა გადასაჭრელი პრობლემები, რაშიც, სახელმწიფო ორგანიზაციების გვერდით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ქ. თბილისის მასშტაბით მაკრო დონეზე გასატარებელ სოციალურ-დემოგრაფიულ ღონისძიებათა სისტემაში ყურადღება უნდა დაეთმოს დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორებს, რომელთაგან გამოვყოფთ შემდეგს:

- სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, უწინარესად განათლებაზე და ჯანდაცვაზე ნეგატიურად მოქმედი სოციალურ-ეკონომიკურ სტაგნაცია;
- ოჯახების რეალური შემოსავლების სიმწირე და ცხოვრების დონის გაუარესება:
- საარსებო მინიმუმის და რეალური მინიმალური ხელფასის არაადეკვატურობა. საშუალო ხელფასის საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალი დონე;
- უხარისხო პროდუქცია, განსაკუთრებით კვების, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს არამარტო მოსახლეობის ჯამრთელობაზე, არამედ უშვილობის ზრდაზე;
- ეკოლოგიური პრობლემები;



- სამართლებრივი ბაზის უკმარისობა;
- არსებული სატარიფო განაკვეთების შეუსაბამობა სამუშაო ძალის რეალურ საბაზრო ფასთან;
- ცხოვრების არასწორი წესის პროპაგანდა;
- სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუტის არარსებობა მერიაში და ა.შ.

ქ. თბილისში სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებად უნდა მივიჩნიოთ:

1. შობადობის ოპტიმიზაცია და ოჯახის განმტკიცება;
2. მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და სიკვდილიანობის შემცირება, განსაკუთრებით შრომისუნარიან მამაკაცთა და ჩვილთა შორის;
3. მიგრაციის რაციონალიზაცია და დეურბანიზაცია.

გარდა ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფისა, ამის რეალიზაციის მექანიზმებად მიგვაჩნია:

1. სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასება და ტენდენციათა კორექტივების მიზნით ღონისძიებების შემუშავება;
2. სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის სტრატეგიული ორგანოს ფორმირება;
3. საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
4. ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული პროგრამების შემუშავება, დაფინანსების წყაროების შექმნა და რეალიზაცია;
5. სათანადო საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა.

საჭიროდ მიგვაჩნია ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული პროგრამების კონკრეტულად წარმოდგენა, ესენია:

1. მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის მაქსიმალური რეალიზაცია;
2. მოსახლეობის თვითმოვლითი ქცევის (ჯანმრთელობის საკუთრივ მოვლა, პიროვნების სან-ჰიგიენური და თვითმკურნალობის განათლების სრულყოფა);
3. ქალთა დასაქმება და ოჯახი;
4. ხანდაზმული ადამიანები;
5. მიგრაცია და დეურბანიზაცია;
6. ოჯახის ეკონომიკა და დასაქმება;
7. მეცნიერული კვლევა;
8. აგიტაცია-პროპაგანდა;
9. სოციალური ანომალიები (ქუჩის ბავშვების პრობლემა, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, ნარკომანია);
10. ბავშვთა აღზრდისათვის ოჯახური გარემოს შექმნა და ა.შ.

მიგვაჩნია. რომ ქალაქის მერიას ამ პროგრამებისთვის უნდა გააჩნდეს საკუთარი ფონდი, რომლის ფორმირება შესაძლებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და სხვა წყაროებიდან. აღნიშნული ფონდი შეიძლება გამოყენებული იქნეს რიგი ისეთი სასწრაფო და გადაუდებელი სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათის პრობლემების გადაჭრისათვის, როგორიცაა ქუჩის ბავშვები, პენსიონერთა და მარტოხელათა მკურნალობა და სხვ.

ჩვენს მიერ წარმოდგენილია ქ. თბილისის სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია – პროგრამის ძირითადი პრინციპები. კონცეფცია – პროგრამის საბოლოო ვარიანტის შემუშავება მეტად სერიოზული და საშური საქმეა. თუ მკითხველები და სპეციალისტები ამ საკითხების შესახებ თავის შეხედულებებს გაგვიზიარებენ, ეს საერთო საქმეს მხოლოდ წაადგება.

*AVTANDIL SULABERIDZE - director of EFG center for strategic study of economic development and training, candidate of economics*

# PROBLEMS OF SOCIAL AND ECONOMIC DEVELOPMENT OF TBILISI

## *(annotation)*

The article considers the problems of financing of intraproduction income and relevant social, economic and demographic factors. The particular attention is paid to the problem of weakening of the family and to the problem of arising of new low-income strata.



*ბიძინა ლობჟანიძე* – სეფ-ის მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

# წინადადებები განათლების სისტემის სრულყოფისათვის

ხელისუფლება უნდა გამოხატავდეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნდეს ისეთი საგანმანათლებო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებას.

ჩვენი პროგრამა განათლების სფეროში ითვალისწინებს ნებისმიერი პიროვნების მიერ განათლების მიღების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას. სწორედ განათლების მიღებამ უნდა მისცეს შესაძლებლობა საზოგადოების ყველა წევრს, თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში?

მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 19 სექტემბერს №572 დადგენილებით დაამტკიცა „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა", ხოლო 1997 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „განათლების შესახებ". კანონის დასაწყისშივე აღნიშნულია-„სახელმწიფო აცხადებს განათლების სფეროს პრიორიტეტულობას და ამის საფუძველზე წარმართავს სახელმწიფო საგანმანათლებო პოლიტიკას". სამწუხაროდ, კანონში აღნიშნული განათლების „პრიორიტეტულობა" დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. მაგ: განათლების კანონის 39-ე მუხლის I პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „განათლების სისტემის საქმიანობის დასაფინანსებლად, განათლების პრიორიტულობის გათვალისწინებით, ყოველწლიურად გამოიყოფა სახსრები ბიუჯეტიდან", ამავე მუხლის მე-4 პარაგრაფი კი ასეთი შინაარსისაა: „პედაგოგის მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს საქართველოს საბიუჯეტო დაწესებულებათა მუშაკის საშუალო ხელფასზე ნაკლები".

დღეისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 446 ერთეულით შემცირდა, ხოლო სკოლამდელი დაწესებულებები-1255-ით; დღეისათვის არსებული 3175 სკოლიდან 587-ის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ნაწილი სკოლებისა კი ვაგონებშია თავშეფარებული. შესაბამისად იკლო მოსწავლეთა რაოდენობამაც: ასე, მაგალითად თუ 1990/91 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა იყო 878.196, 1997/98 სასწავლო წელს მათმა რაოდენობამ 721.643 შეადგინა. 1990/91 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა 135.019 იყო, ხოლო 1995/96 სასწავლო წლისათვის (როდესაც სკოლის მესამე საფეხურზე სწავლის გადასახადი იქნა შემოღებული) იგი 77.831-ს შეადგენდა და 57.188 ახალგაზრდით შემცირდა, ხოლო 1997/98 სასწავლო წლისათვის კიდევ უფრო ნაკლები-74.198 კურსდამთავრებული იყო. ძალზედ ცუდ მდგომარეობაშია სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ როგორ ფინანსდება კანონის მიხედვით სასწავლო დაწესებულებები, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1998 წლის ბიუჯეტიდან საერთოდ ამოღებული იქნა პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლების დაფინანსება. რაც შეეხება მასწავლებელთა ხელფასებს, იგი დღემდე მთელ რიგ რეგიონებში 5-6 თვეა არ მიუღიათ. ასევე კონსტიტუციის 35-ე მუხლის კანონსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩაითვალოს საბავშვო ბაღებში თანამშრომელთა ნაწილის გაუმართლებელი განთავისუფლება; საგულისხმოა ისიც, რომ რეფორმით გათვალისწინებული რიგი საკითხებისა არ სრულდება.

დამაფიქრებელია განათლების კერძო სექტორის ქსელის ზრდა (რაც რეფორმითაა გათვალისწინებული), რადგან მას სერიოზული ხარვეზები აქვს და ხელს ვერ შეუწყობს დამოუკიდებელი, არასახელმწიფოებრივი განათლების სექტორის პრესტიჟის განმტკიცებას. აღნიშნულ სასწავლებლებში ძირითადად მაღალკვალიფიციური პედაგოგები მუშაობენ, მაგრამ შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ ამ სასწავლებლების უდიდეს ნაწილს (განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებს), სავსებით შეუფერებელი ბაზების გამო, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვის ელემენტარული პირობებიც არ გააჩნიათ.

განათლების სისტემაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ჩვენი აზრით, სასწრაფოდ უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფუძვლიანად უნდა გადაისინჯოს კანონი განათლების შესახებ, თუნდაც მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კანონის ზოგიერთი მუხლი აშკარად ურთიერთგამომრიცხველია. რეალური საფუძველი უნდა მიეცეს განათლების კანონის 39-ე მუხლის პირველ, მეოთხე, მე-40 მუხლის პირველ პარაგრაფს, კონსტიტუციის 35-ე მუხლს. სახელმწიფომ უნდა იკისროს საყოველთაო-სავალდებულო ცხრაწლიანი უფასო განათლების უზრუნველყოფა;
- სკოლის მესამე საფეხურზე სწავლების ქირისაგან განთავისუფლება მოხდეს მოსწავლის ოჯახის შემოსავლების მიხედვით;
- მკაცრი კონტროლი დაწესდეს საგანმანათლებო დაწესებულებებში არალეგალურ გადასახადებზე, შეწყდეს მათი ათასნაირი ფონდების სახელით შენიღბვა;

- საშუალო სპეციალური და დაწყებითი პროფესიული განათლების პროფილები განისაზღვროს ეკონომიკის განვითარების მიმართულებათა შესაბამისად, ჩატარდეს ფასიანი განათლების დაწესებულებათა ობიექტური ატესტაცია და აკრედიტაცია;
- განათლების რეფორმის განხორციელების პროგრამაში სასწრაფოდ შევიდეს სოფლის სკოლების გადარჩენის გადაუდებელი ღონისძიებები;
- საფუძვლიანად გადაისინჯოს ე. წ. გიმნაზიების, ლიცეუმების, კოლეჯების სტანდარტები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა პროფილური განათლება;
- განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ უნდა მოექცეს საქართველოს არაქართული წარმოშობის ახალგაზრდობის განათლებისა და მათი სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი მენტალიტეტით აღზრდის საქმე;
- შეიქმნას ქმედითი სისტემა საქართველოს სკოლებისათვის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული სახელმძღვანელოების შესაქმნელად, ბოლო მოეღოს განუკითხაობას ამ საქმეში;
- შეიქმნას სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ე. წ. ხუთწლიანი ჯგუფები, სადაც მოხდება ბავშვების სასკოლო გარემოსთან ადაპტირება. ეს განსაკუთრებით საჭიროა არაქართული წარმოშობის იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ქართულ ენაზე აპირებენ სწავლას. ეს პრაქტიკა დიდი ხანია არსებობს ინგლისში, საფრანგეთში, ისრაელსა და სხვა მოწინავე ქვეყნებში. ამ ჯგუფებში (ე. წ. ადაპტირების კლასებში) მთელი საგანმანათლებო პროცესი დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ დიდაქტიკურ თამაშებზე;
- უნდა შეიქმნას მშობელთა პედაგოგიური განათლების სისტემა.

განათლება თითოეული ადამიანის ცოდნის მიღებისა და სრულყოფის საშუალებაა, რომელიც ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს. განათლება უნდა გავითავისოთ მისი ახალი თვისობრიობით, ახალ კონტექსტში. სწრაფად ცვალებად სამყაროში სწორედ განათლებამ უნდა მისცეს საშუალება თითოეულ ადამიანს, ფეხი აუწყოს და არა ჩამორჩეს ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო განვითარების ამოცანების გადაჭრა შეუძლებელი გახდება, თუ ვერ მოვახერხეთ მაღალეფექტური, ეროვნულ მენტალიტეტს მისადაგებული განათლების სისტემის შექმნა. ახალგაზრდები უნდა აღიზარდონ დამოუკიდებელ, კულტურულ მოქალაქეებად, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

განათლების სისტემამ უნდა შეძლოს ინტელექტუალური ფაქტორის უაღრესი გააქტიურება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ეფექტური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რათა აღდგეს სრულფასოვანი სწავლების პროცესი ჩვენ სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლესებში. ამ სფეროში შექმნილი ვითარება დიდი ხანია, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

სასწავლებლები მაღალკვალიფიციური და მაღალზნეობრივი კადრებით უნდა კომპლექტდებოდეს და შესაბამისად, მათი შრომის ანაზღაურება არაფისზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთანავე, ჩვენ უნდა შევძლოთ მასწავლებლის პროფესიის უსამართლოდ დაკნინებული ავტორიტეტის აღდგენა და მისი პრესტიჟულობის ამაღლება.

სრულყოფილი განათლების მიღება არ უნდა წარმოადგენდეს ვისიმე პრივილეგიას. ყოვლად მიუღებელია ჩვენს ქვეყანაში უსახსრობის გამო ვინმე გაუნათლებელი რჩებოდეს. ჩვენ ვთვლით, რომ ამ საქმეში მუნიციპალიტეტებმა უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა. საშუალო განათლება 9 კლასის ჩათვლით სახელმწიფოს მიერ უნდა ფინანსდებოდეს და, საერთოდ, სანამ მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა არ მიიღწევა, გაუმართლებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს მეურვეობის შეწყვეტა განათლების სფეროზე.

განათლება და პროფესიული გადამზადება სოციალური ინტეგრაციისა და სახელმწიფოს განვითარების აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. განათლებაზე და გადამზადებაზე დახარჯული ფული მომავლის ინვესტიციაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორი მსოფლიო ომისაგან მიწასთან გასწორებულმა ევროპამ მაღალეფექტური ეკონომიკის შექმნა ადამიანურ კაპიტალში–განათლებაში მანამდე არნახული რაოდენობის სახსრების ჩადებით შესძლო. ჩვენი გზაც სწორედ ამას გულისხმობს.

*GEORGE LORTKIPANIDZE - vice-chairman of EFG commission for science and education*

## PROPOSALS FOR IMPROVEMENT OF EDUCATIONAL SYSTEM

### *(annotation)*

The article considers those factors including the lack of legislative base which prevent the normal functioning of the educational system; proposes the ways-out.



*თეიმურაზ შენგელია* – სეფ–ის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

# წინადადებები ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისათვის

უკვე სამი წელი გავიდა ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმის დაწყებიდან. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, რეფორმამ ვერ შესძლო ჯამრთელობის დაცვის მოთხოვნების მინიმალური დაკმაყოფილებაც კი.

დღეისათვის საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის, წელიწადში გათვალისწინებულია 10 ამერიკული დოლარი, მაშინ, როდესაც ეს ციფრი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 3 000 დოლარს აღწევს, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 100–დან 200 დოლარამდე მერყეობს. დაცარიელდა ან გაიყიდა და გაიძარცვა პოლიკლინიკა–საავადმყოფოები, სხვა სამედიცინო დაწესებულებები. კატასტროფულად იმატა კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გარეშე დარჩენილთა სიკვდილიანობამ, სოციალურ სნეულებათა (ტუბერკულოზი), განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებათა რაოდენობამ, ნარკომანიამ და სხვ.

ყოვლად დაუშვებელია, რომ ქვეყანაში საწრაფო გადაუდებელი დახმარება ფასიანი იყოს. დღეს ადამიანი ცუდად რომ ხდება, პირველ რიგში, მას იპყრობს შიში: აქვს კი სასწრაფო დახმარების გამოძახების საშუალება? უფრო მეტიც: ეს შიში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მუდმივი თანამგზავრია – არ არსებობს არც ერთი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც რეალურად უფასო დახმარებას აღმოუჩენს ადამიანს.

ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა შექმნილი, შემცირებულია შობადობა. „მშობიარობა უფასოა!" – აცხადებს ხელისუფლება. ეს ასეა, მაგრამ სამაგიეროდ მშობიარობისწინა პერიოდია ფასიანი! ქალთა კონსულტაციაში 3–4 ვიზიტია უფასო, დანარჩენი კი ფასიანია; ფასიანია გამოკვლევებიც (ანალიზები, ექოსკოპია), ამიტომ პაციენტები ხშირად ვერ მიმართავენ ექიმს. ამას კი მოჰყვება უმძიმესი პათოლოგიების ჩამოყალიბება. თუკი წინათ პათოლოგიური მშობიარობის რაოდენობა შეადგენდა საშუალოდ 20–30 %–ს, დღეს ამ ციფრმა მკვეთრად იმატა.

რეფორმას სიკეთე, ჯერჯერობით, არც ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულთათვის მოუტანია. მკვეთრად გაუარესდა მათი მატერიალური თუ სოციალური მდგომარეობა, რის გამოც ბევრი მათგანი, საუკეთესო სპეციალისტებიც კი, იძულებულნი არიან სხვა საქმიანობას მოჰკიდონ ხელი. რეფორმის უზრუნველყოფისათვის, მისი დაწყებისთანავე, შეიქმნა ჯანდაცვის ფონდი, რომელშიც, დაახლოებით, 4–6 მლნ. ლარმა მოიყარა თავი. ეს სამედიცინო პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფის გარანტია უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ფონდი რამოდენიმე თვეში გაკოტრდა და არავინ იცის სად წავიდა ეს თანხები. ამის შემდეგ შეიქმნა სადაზღვევო კომპანია – აგერ უკვე ექვსი თვეა ეს კომპანია ხელფასებს ვერ გასცემს. ამ სიტუაციაში, ხელისუფლებამ გამონახა გამოსავალი – სამედიცინო პერსონალის რიცხვის შემცირება, რის საბაბადაც სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალის სერთიფიცირება და ლიცენზირება იქნა მოშველიებული.

კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი სამედიცინო განათლების სფეროში; დღეს საქართველოში ფუნქციონირებს 58 კომერციული სამედიცინო ინსტიტუტი, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნიათ შესაბამისი სასწავლო ბაზა. ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაწყდება მათ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საკითხები. ეს კი, სულ ცოტა ხანში, სოციალური დესტაბილიზაციის ერთ–ერთ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

ზემოჩამოთვლილი და სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრის მიზნით საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის სფეროს რეორგანიზაცია და მისი მართვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ჯამრთელობის დაცვის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი სამართლებლივი და ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით:

- უზრუნველყოს განსაკუთრებით საშიში ინფექციების შემოტანის, აღმოცენებისა და გავრცელების ალკვეთა, ინფექციური დაავადებების შემცირება;
- უზრუნველყოს სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- განახორციელოს სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უფასო და დაბალფასიანი სამედიცინო მომსახურეობის მიწოდება;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მეან–გინეკოლოგიას, რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას;
- შექმნას მძლავრი კერძო სადაზღვევო ბაზარი, მასზე სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შენარჩუნებით;

- აიღოს ვალდებულება ისეთი დარგების სრულად დაფინანსებაზე, როგორიცაა ფსიქიატრია, ფთიზიატრია, ონკოლოგია, კარდიოქირურგია;
- განავითაროს ფარმაკოლოგიური წარმოება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას მაღალი ხარისხის, შედარებით იაფი პირველადი მოხმარების სამედიცინო პრეპარატებით;
- მოაწესრიგოს სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და პრეპარატების იმპორტის სისტემა;
- ხელი შეუწყოს სამედიცინო ინდუსტრიის განვითარებას;
- სამედიცინო დანიშნულების პრაქტიკულად ყველა დაწესებულება, განსაკუთრებით პოლიკლინიკები, უნდა აღიჭურვოს სამედიცინო კლინიკური დიაგნოსტირების თანამედროვე აპარატურით;
- უნდა დააფუძნოს ექიმთა დახმარებისა და პროფილის შეცვლის ხელშემწყობი სააგენტო;
- იზრუნოს სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელოვან განვითარებაზე.

გადაუდებლად მიგვაჩნია უფასო პირველადი სასწრაფო დახმარების სამსახურების შექმნა. ეს, უპირველესად, მუნიციპალური ორგანოების საზრუნავად უნდა იქცეს. მათვე უნდა შექმნან უფასო მუნიციპალური საავადმყოფოები.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი – დღეისათვის არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავდა ინვალიდი ბავშვებისათვის უფასო და დაბალფასიან სამედიცინო მომსახურეობას. სამკურნალო პროცედურებისა და საშუალებების მაღალი ფასი, მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა, უმწეო მდგომარეობაში აგდებს ისედაც მძიმე სიტუაციაში მყოფ ინვალიდ ბავშვებსა და მათ მშობლებს, მათი შველა კი ქვეყნის ვალია.

იმისათვის, რომ დღეს მინიმალურად მაინც ვუზრუნველვყოთ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები, საჭიროა სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროში ერთ სულ მოსახლეზე გაღებული ხარჯები მინიმუმ 30–40 ამერიკულ დოლარამდე გაიზარდოს. ამასთანავე, უნდა ვიფიქროთ სოციალურად დაუცველი ფენების, მათ შორის პენსიონერებისა და ომის ინვალიდებისათვის მიწოდებული უფასო და სიმბოლურფასიანი მომსახურების პაკეტის გაფართოვებაზე.

მართალია, დღეს სახელმწიფო ახორციელებს ზემოჩამოთვლილი პროგრამების ნაწილს, მაგრამ ეს ძალზედ ცოტაა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯანმრთელი მოსახლეობა ქვეყნის სიძლიერისა და ეკონომიკური განვითარების წინაპირო

*TEIMURAZ SHENGELIA- deputy of chairman of EFG commission for health care*

## PROPOSALS FOR IMPRUVMENT HEALTH CARE SYSTEM
### *(annotation)*

This article considers difficult situations of health care system and reasons of it`s origin; The attention is attracted to the concrete proposals to the impruvment of health care system.



*კონსტანტინე ამირეჯიბი* -სეფ-ის არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, სტუ-ს დიზაინის კათედრის გამგე. არქ. კანდიდატი

# თბილისის განვითარების ახალი ქალაქგეგმარებითი პრინციპები

თბილისი ამჟამად განვითარების განსაკუთრებულ ეტაპზე იმყოფება. ამ ეტაპის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ დასრულდა საბჭოთა პერიოდი ქალაქის განვითარებაში და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სოციალურ–ეკონომიკური ურთიერთობები, მართვის მეთოდები, პროექტირებისა და მშენებლობის პრინციპები. ყველაფერი ეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა; დარჩა მხოლოდ (როგორც მატერიალური მემკვიდრეობა) უზარმაზარი საცხოვრებელი მასივები, მოუვლელი ისტორიული განაშენიანება და უმოქმედო სამშენებლო ინდუსტრია. ქალაქი იწყებს ახალ ეტაპს თავის განვითარებაში: მან უნდა მოახერხოს შევიდეს საბაზრო ეკონომიკის სამყაროში იმ უდიდესი პრობლემებით, რომლითაც მან დაასრულა საბჭოთა ეპოქა და რაც შეიძლება მინიმალური დანაკარგებით მოახდინოს ჩამოყალიბებული მახინჯი საქალაქო ქსოვილის ადაპტაცია ახალი პირობებისათვის.

იმისთვის, რომ მეტნაკლებად ზუსტი პროგნოზი გავაკეთოთ თბილისის განვითარების შესახებ უახლოეს 20–30 წელიწადში, აუცილებელია გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს იმ ზოგად ტენდენციაზე, რომლებსაც ემორჩილება ქალაქი განვითარების პროცესში. თუ გადავხედავთ თბილისის ისტორიას უკანასკნელი 200 წლის მონაკვეთზე, ჩვენ უთუოდ გამოვავლენთ გარკვეულ კანონზომიერებას მის განვითარებაში. ასეთი რეტროსპექტული ანალიზი, შესაძლებელია, უფრო დამაჯერებელს გახდის პროგნოზირების პროცედურას და დაგვეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

თბილისის არქიტექტურულ–გეგმარებითი სტრუქტურა ვითარდებოდა არათანაბრად. მისი ზრდის და განვითარების ხასიათი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზოგადისტორიულ პრინციპებთან და სოციალურ–ეკონომიკურ ძვრებთან იმჟამინდელ საზოგადოებაში. ასე, მაგალითად, ძლიერი სიცოცხლით სავსე ქალაქი პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა XVIII საუკუნის ბოლოს აღა–მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად. აქედან დაწყებული ქალაქის სტრუქტურა თითქმის ასი წლის განმავლობაში ვითარდებოდა დაბალი ტემპებით, თანამიმდევრულად, ნელ–ნელა ითვისებდა ტერიტორიებს მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. მეოცე საუკუნის დასაწყისში აღინიშნება ქალაქის ზრდის ტემპების აჩქარება და მერე მკვეთრი ვარდნა, რომელიც რევოლუციითა და სამოქალაქო ომით იყო გამოწვეული. 30–იან წლებში კვლავ აღინიშნება საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება და კვლავ ტემპების ვარდნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. დაწყებული 50–იანი წლებიდან, საქალაქო ცხოვრება კვლავ გააქტიურდა, 60–70–იან წლებში ქალაქის ზრდის ტემპმა თავის პიკს მიაღწია. 80–იან წლებში დაიწყო საბჭოთა სისტემის კრიზისი, საქალაქო ცხოვრება და სამშენებლო აქტიურობა მკვეთრად შემცირდა. 90–იან წლებში მოხდა რადიკალური სოციალურ–ეკონომიკური ძვრები, რის შედეგად ქალაქმა განიცადა „კოლაპსი“ და ამჟამად იმყოფება ღრმა კრიზისში საქალაქო ცხოვრების ყველა მაჩვენებლით. თვალნათლივ სჩანს თბილისის განვითარების ძირითადი თავისებურება: უაღრესად დაბალი ზრდის ტემპები XIX საუკუნეში და არაბუნებრივად სწრაფი ტემპები XX საუკუნეში. იმედი უნდა ვიქონიოდ, რომ XXI საუკუნეში ეს მაჩვენებლები უფრო ჰარმონიული იქნება.

იკვეთება გარკვეული კანონზომიერება: ქალაქის განვითარება, რომელიც ატარებს ზოგადად ევოლუციურ ხასიათს, დროის გარკვეულ მონაკვეთში წყდება რაღაც რევოლუციური მოვლენის გამო, რის შემდეგაც იწყება ხარისხობრივად ახალი ეტაპი ქალაქის განვითარებაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ – ინვოლუცია და შემდგომ გრძელდება ქალაქის განვითარების გადასვლა ისევ ევოლუციის ფაზაში. ამდაგვარი მეტამორფოზები ჩვენმა ქალაქმა სამჯერ განიცადა უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში.

ამჟამად თბილისი ინვოლუციის ფაზაში იმყოფება. ინვოლუცია გულისხმობს საქალაქო ცხოვრების უკუქცევას, შეკუმშვას, რიგი ფუნქციების უკუგანვითარებას, შემცირებას, საქალაქო ინფრასტრუქტურის ელემენტების დეგრადაციასა და მოშლას. ეს ფაზა ხანგრძლივი კრიზისის ხასიათს ატარებს და ძირითადად გამოწვეულია 90–იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებით. დღევანდელი სინამდვილის აქტუალური ამოცანა სწორედ იმაშია, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავძლიოთ ეს ინვოლუციური კრიზისი და გადავიყვანოთ ქალაქი ევოლუციური პროგრესის ფაზაში.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენ განვიხილეთ თბილისის განვითარების სამი შესაძლებელი გზა და ჩავატარეთ მათი შედარებითი ანალიზი:

1. ქალაქის ინერციული, უმართავი განვითარება (რასაც ადგილი აქვს დღევანდელ სინამდვილეში);
2. განვითარების სტაბილიზაცია და ქალაქის არსებული სიდიდისა და ურბანიზაციის დონის შენარჩუნება;
3. განვითარების სტაბილიზაცია და შემდგომ ქალაქის დეზურბანიზაციის პოლიტიკის განხორციელება.

პირველი ალტერნატივა აბსოლუტურად მიუღებელია, რადგანაც იგი გულისხმობს არსებული პრობლემების გაღრმავებას, ქალაქში სოციალური დაძაბულობის ზრდას და შესაძლებელია, მორიგ სოციალურ აფეთქებას.

მეორე ალტერნატივა ითვალისწინებს ქალაქის არსებული მასშტაბების შენარჩუნებას და გეგმით მართვას, რაც ჩვენი აზრით არარეალურია, რადგანაც არც დღეს და არც უახლოეს მომავალში არც ქალაქს და არც სახელმწიფოს არ ექნება ისეთი ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს მილიონნახევრიანი ქალაქის მოსახლეობისათვის ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი საცხოვრებელი ფონდის შენახვას და განახლებას.

ერთადერთ რეალურ ალტერნატივას თბილისისათვის წარმოადგენს მისი გეგმური დეზურბანიზაცია; მოსახლეობის შემცირება ოპტიმალურ რაოდენობამდე, ავარიული და უხარისხო შენობების დემონტაჟი და ამ გზით ქალაქში ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

თბილისის განვითარების ყველაზე წარმატებულ, აქტიურ პერიოდში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატებოდა 450 ათასს კაცს. თუ ამ რიცხვს ჩვენ მივიღებთ როგორც დასაქმებულთა შესაძლებელ ზედა ზღვარს, მაშინ ევროპის განვითარებული ქვეყნების დედაქალაქების ანალოგიურად (სადაც დასაქმებულთა პროცენტი არ აღემატება 45–50%–ს), მივიღებთ თბილისის მოსახლეობის ზედა ზღვარს – იგი შეადგენს 900 ათას მოსახლეს. გამომდინარე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობიდან (დაახლოებით ოთხი მილიონი კაცი) შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დედაქალაქის ოპტიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 800 ათას მოსახლეს, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 20%–ს, ეს მაჩვენებელი აგრეთვე პასუხობს ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ამგვარად, შეიძლება დავადგინოთ დეზურბანიზაციის მასშტაბები: 25–30 წლის განვითარების მანძილზე თბილისის მოსახლეობა უნდა შემცირდეს 500 ათასი კაცით, შესაბამისად დაკავებული ტერიტორია 35 ათასი ჰექტარიდან შესაძლებელია შემცირდეს 25 ათას ჰა–მდე. დეზურბანიზაციის პროგრამის განხორციელება შესაძლებელია და ყველაზე ხელსაყრელია სწორედ ახლა, როდესაც ქალაქი იმყოფება ინვოლუციის ფაზაში და მისი ორგანიზმი მაქსიმალურად მართვადია. აქტიურ ევოლუციის ფაზაში ქალაქის განვითარების ინერცია იმდენად ძლიერია, რომ მისი მართვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

თბილისის დეზურბანიზაციის განხორციელება უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებების დაცვას, გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. აქ შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება, კერძოდ: მიღებული უნდა იყოს სპეციალური სახელმწიფო პროგრამა ან კანონთა პაკეტი, რომლის გათვალისწინებით ადამიანისთვის პროვინციაში ან მცირე ქალაქებში გადასახლება, იქ სამეწარმეო საქმიანობის გაშლა გაცილებით უფრო მომგებიანი უნდა იყოს, ვიდრე თბილისში დარჩენა. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია დაიწყოს მოქალაქეთა ფართო იმიგრაცია პროვინციაში.

თბილისის გენერალური გეგმის კონცეფციის მიხედვით, რომელიც გაითვალისწინებს დეზურბანიზაციის განხორციელებას, უნდა გამოიყოს სამი ძირითადი ზონა: ისტორიული დაცვითი ზონა, სარეკონსტრუქციო ზონა და დეკონსტრუქციის ზონა. ეს უკანასკნელი მოიცავს ძირითადი საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელ მასივებს, რომელთა დემონტაჟი მოხდება თბილისის დეზურბანიზაციის შედეგად. გენგეგმა უნდა დაეყრდნოს არა კონკრეტულ გეგმარებით გადაწყვეტილებებს, არამედ თვითეული ზონისათვის დამუშავებულ განაშენიანების წესებს.

თბილისის დეზურბანიზაციის შედეგად მიღწეული იქნება შემდეგი მიზნები: დაძლეული იქნება საბჭოთა პერიოდში დაშვებული ქალაქის ჰიპერტროფია, შესუსტდება შიდა საქალაქო სოციალური დაძაბულობა, მოიხსნება მოთხოვნილება საცხოვრებელ ფართზე, უპრობლემოდ მოხდება ავარიული ფონდის დემონტაჟი, გაჩნდება ქალაქმშენებლობითი რეზერვები ფართო სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის, მოევლება ქალაქის ისტორიულ ნაწილს, ქალაქიდან გასული მოსახლეობა მძლავრ სტიმულს მისცემს პროვინციის განვითარებას, დადებით გავლენას იქონიებს განათლების სტრუქტურაზე სრულიად საქართველოს მასშტაბით.

თბილისის დეზურბანიზაციის განხორციელება შეუძლებელია ახალი პოლიტიკური კურსისა და თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების დანერგვის გარეშე.



***KONSTANTINE AMIREJIBI - chairman of EFG commission for architecture and protection of monuments, head of design department of GTU, candidate of architecture.***

# NEW CITY-PLANNING PRINCIPLES OF TBILISI DEVELOPMENT

## *(annotation)*

The article gives the retrospective analysis of Tbilisi development. The revolutionary events of the last decades resulted in the collapse of urban life and its functional involution are considered.
The author proposes the concept of desurbanization the implementation of which will depend on the new economic policy and principally new methods of management

*ლადო ვარდოსანიძე* – სეფ-ის ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე, სტუ-ს ურბანისტიკის კათედრის გამგე, ურბანისტთა საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი

# თბილისის განვითარების სამართლებრივი, ინსტიტუციური და სივრცით-გეგმარებითი პირობები

პროფესიული და მოქალაქეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყურადღება მივაპყროთ იმ სამართლებრივ, ინსტიტუციურ, მმართველობით კონტექსტს, რომელიც დღეს, გარდამავალ პერიოდში, განსაზღვრავს საქართველოს დასახლებების, უწინარესად კი დედაქალაქის, განვითარების პირობებს.

თავიდანვე განსაცხადებელია ის რამდენიმე მაქსიმა, რომელიც შეადგენს ურბანისტიკის, როგორც დასახლებათა და მათი სისტემების კვლევის, პროექტირებისა და მართვის კომპლექსური სფეროს არსს:

- ურბანისტიკა ყოველთვის იყო და რჩება პოლიტიკის, მეტიც - იდეოლოგიის ბერკეტად;
- საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა ფორმას, მოვლენასა თუ პროცესს ტერიტორიული კომპონენტი გააჩნია;
- ურბანისტიკა, ტერიტორიული დაგეგმარების ფორმით, აწონასწორებს, ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა აწონასწორებდეს დარგობრივი დაგეგმვის ორგანულ ხარვეზებს;
- ტერიტორიული დაგეგმარება ყოველთვის გასააზრებელია მაქსიმალურ დიაპაზონში, მთელი სისტემის ფარგლებში, ,,ზიარი ჭურჭლის" პრინციპის გათვალისწინებით; ამასთან, დედუქციური მეთოდით — ,,ზემოდან ქვემოთ";
- ქალაქგეგმარება პროგნოსტული ხასიათის დარგია; შესაბამისად, მას შედეგი მოაქვს არა მყისვე, არამედ პერსპექტივაში, თანაც ხშირად არა უშუალო, არამედ გაშუალებული სახით;
- ქალაქგეგმარების არსენალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს ამა თუ იმ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, ქმედებათა რეგულირება, შეზღუდვა ან სულაც აკრძალვა, რაც იწვევს მის დაპირისპირებას ერთის მხრივ, მედროვე ნომენკლატურასთან და, მეორეს მხრივ, კანონდაუმორჩილებელ მოსახლეობასთან;
- ახლა, როდესაც ტრადიციული გაგებით არქიტექტურული საქმიანობა სრულიად ბუნებრივად იცილებს სახელმწიფო მარწუხებს, ურბანისტიკა, ქალაქგეგმარება უნდა მოექცეს პრიორიტეტულ მიმართულებათა ნუსხაში; იგი ყოველთვის დარჩება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის და, აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო დარგად.

ამგვარი ექსპოზიციის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ კონკრეტიკაზე.

ბოლო წლებში პროფესიულ წრეებში ვნებათა ღელვას იწვევდა თბილისის ახალი გენერალური გეგმის, თუ მისი მოდერნიზებული ფორმის ბედი. მრავალი წელი დაგვეკარგა იმ გაუთავებელ დავებში, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ქალაქის ინტერესების დაცვასთან. ხვალ არავინ მოიკითხავს ამ დავის საგანს, სიუჟეტსა და მოქმედ პირებს - უბრალოდ, დედაქალაქი აღმოჩნდება დროის შესაფერისი სახელმძღვანელო დოკუმენტის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით, ხაზს გავუსვამთ ერთ მეტად არსებით ვითარებას. დღეს გავრცელებულია აზრი, თითქოს თბილისს აღარ გააჩნია რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა; თითქოს ჩვენში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა თავისთავად გამოიწვია მისი გაბათილება. მცდარი და მავნე პოზიციაა! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას მმართველი წრეები იზიარებენ. საზოგადოდ ცნობილია, რომ ის იურიდიული ნორმა, რომელიც არ არის გაუქმებული, მოქმედებს «დე იურე» და უნდა მოქმედებდეს «დე ფაქტო». ეს ნორმა სრულად ეხება ქალაქის გენგეგმასაც, რომელსაც ავადსახსენებელი საბჭოეთის დროს კანონის ძალა ჰქონდა და რომელსაც ჩვენ სიამაყით «ქალაქის კონსტიტუციას» ვუწოდებდით.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ სულ სხვა ამბავია, თუ როგორია თბილისის გენგეგმა, რომ იგი კარგა ხნის წინ კორექტირებას საჭიროებდა, და რომ მის საფუძველზე შესამუშავებელი იყო უფრო მოქნილი, ოპერატიული დოკუმენტი, ახალი რეალიების ამსახველი და საჯაროობის თვალსაზრისით «გამჭვირვალე». ვიმეორებთ, ეს სულ სხვა ამბავია, და თბილისისათვის ტრაგიკულია, რომ ამგვარი დოკუმენტის შექმნა თავის ღვიძლ საქმედ არ მიიჩნია არც ერთმა ფუნქციონერმა. სხვაგვარად როგორ გავიგოთ ის გარემოება, რომ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე ბრძანებულება, არსებობს რამდენიმე ქალაქგეგმარებითი კომისია - და ყველაფერი ეს ქაღალდზე რჩება!

ეს რაც შეეხება ორგანიზაციულ მხარეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია პრობლემების შინაარსობრივი ასპექტი. დღეს, როდესაც თბილისის ახალი გენგეგმისათვის გარკვეული თანხა გამოიყო, მეტად არსებითია მივხედოთ ქალაქგეგმარების მეთოდოლოგიას. ჩვენს შემთხვევაში იბადება კითხვა: რის გააზრება-დაპროექტებას ვაპირებთ - საკუთრივ თბილისისა, მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თუ უკვე რეალობად ქცეული თბილისის აგლომერაციისა - მცხეთის, თბილისის, რუსთავისა და გარდაბნის?



ეს არ არის უბრალო საკითხი, იგი სცდება ურბანისტიკის კომპეტენციის ფარგლებს და ებჯინება ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის მიჩუმათებულ პრობლემას.

ცნობილია, რომ ამგვარი მოწყობა ყოვნდება საქართველოს კონსტიტუციის 2.3 მუხლის ძალით, სადაც წერია, რომ ,,საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტოტიაზე საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ".

ვერ ვიტყვით, თუ რა მოგვცა კონსტიტუციის ამ მუხლმა აფხაზ და ოს სეპარატისტებთან პოლიტიკური მანევრების თვალსაზრისით; იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ ეს ნორმა გახდა ჩვენი კანონმდებლობის ნაკლულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ერთგვარი აქილევსის ქუსლი.

მომდევნო ,,თეთრ ლაქად", რომელიც ვერ ეტევა ელემენტარული ლოგიკის ჩარჩოებში, არის საქართველოში მიწის, ან მიწის ფონდის შესახებ კანონის უქონლობა. შესაბამის პრობლემატიკას პარლამენტში დაეპატრონა აგრარულ საკითხთა კომიტეტი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიას "ნიადაგად" აღიქვამს, ურბანულ ტერიტორიებს კი - "არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად". ამ განწყობით რუსთაველის თუ დავით აღმაშენებლის პროსპექტი "არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას" წარმოადგენს. . .

მიწის რეფორმა ჩვენში სამართლებრივი უზრუნველყოფით უნდა დაწყებულიყო - როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა კატეგორიის მიწებისაგან შედგება საქართველოს ტერიტორია - საქალაქო, სამრეწველო, სარეკრეაციო, სასაზღვრო, სარეზერვო, წყლისა თუ ტყის ფონდი, დაცული ტერიტორიები, ზღვის შელფი და ა.შ. ყოველივე მათგანს უნდა მიეჩინოს მისთვის შესაფერისი სამართლებრივი რეჟიმი, ერთი კატეგორიის მეორეში გადაყვანის კანონით განსაზღვრული პროცედურა, საკუთრების შესაძლო ან დასაშვები ფორმები და ა.შ. ყოველივე ეს არ არის გაკეთებული, რაც საერთოდ ქვეყნის და განსაკუთრებით კი ქალაქების განვითარების დღეს უკვე პრაქტიკულად ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა.

მიწის შესახებ კანონის შემუშავებას უნდა მოჰყოლოდა კანონი ურბანისტიკის, ან, თუ გნებავთ, ქალაქგეგმარების, ან ტერიტორიის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა ქალაქთმშენებლობითი საქმიანობის ობიექტებსა და სუბიექტებს, ფორმებსა და სტადიებს და ა.შ.; მოკლედ რომ ვთქვათ, ჩამოაყალიბებდა ურბანისტული განვითარების მყარ სამართლებრივ პირობებს და მხოლოდ ამის შემდეგ სრულფასოვნად ამუშავდებოდა «კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ», რომელიც ახლახან მიიღო საქართველოს პარლამენტმა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას - ,,კანონპროექტი ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" ჯერ კიდევ 1993 წელს შემუშავდა იმდროინდელი არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტში და ახლა მასზე მუშაობა განახლდა.

უნდა ითქვას, რომ მიწასთან დაკავშირებული საკითხებით მანიპულირებას ვერ მიეცა, ან არ მიეცა სრულფასოვანი, გააზრებული, მიზანდასახული <u>მიწის რეფორმის სახე</u>. ამას მეტყველებს ამ სფეროში საკანონმდებლო საქმიანობის ხასიათი. მოვიტანთ მხოლოდ ერთ არგუმენტს, რომელიც ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტოს - **USAID**-ს მიერ საქართველოში მიწის პრივატიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ჩატარებული შესაბამისი ნორმატიული აქტების ექსპერტიზას[1].

ექსპერტიზა მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული; ჩვენთვის პრინციპულია ის, რომ გამოვლინდა შეუსაბამობის მთელი სისტემა, რომელიც პროფესიულ ენაზე სამართლებრივი კოლიზია ეწოდება. რაც მთავარია, ხაზგასმულია, რომ საქართველოში არ გვაქვს აღმასრულებელი ხელისუფლების ის ერთი, პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც ქვეყანამ უნდა ანდოს მიწის, ტერიტორიის რეფორმა. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი - აი ის უწყებები, რომლებსაც დღეს, ამა თუ იმ ფარგლებში, ეკითხება მიწის რეფორმის პრობლემატიკა.

ამ პირობებში ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ფორმალური უფლებამოსილებით აღჭურვილობის მიუხედავად, ვერ მართავს პროცესს. ამის შედეგად იგი სულ უფრო დაბლა ეშვება დარგობრივი სამინისტროების რეიტინგში; თუმცა ეს ცალკე მსჯელობის საგანია, განსაკუთრებით ისეთი მსხვილი, ტერიტორიაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ჯერაც გაუაზრებელ პროექტების ფონზე, როგორიცაა **TRACECA**, ნავთობსადენი, ავტობანი "კასპიის ზღვა - შავი ზღვა", ჩეჩნეთიდან საზღვარსმომდგარი გზა თუ სხვა ამგვარი.

ის, რაც დღეს ხდება მიწაზე საკუთრებასთან დაკავშირებით, იგივე ბოლშევიკური დეკრეტია მიწის შესახებ, მხოლოდ სარკისებრი გამოსახულებით.

ამ რევოლუციისათვის უნდა დაგვეპირისპირებინა ქართულ რეალობებზე, ერთიან კონცეფციაზე, ეკონომიკურ გათვლაზე დამყარებული ევოლუცია, ანუ მიწის სრულფასოვანი რეფორმა. ქალაქებში მიწის, ტერიტორიისათვის ფარული ბრძოლა ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა ჩვენ კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავს პროფესიულ ტერმინოლოგიას ამოფარებული ისეთი აქტები, როგორიცაა "ტერიტორიის დამაგრება", "დროებით იჯარით გადაცემა" და ა.შ. და თუ სოფლად მიწაზე საკუთრება ასე თუ ისე დალაგდება, ქალაქში მიწის ბაზრის თვითრეგულირების იმედად ვერ ვიქნებით. აქ სახელმწიფოს მხრიდან პროცესების მართვა გაცილებით უფრო მკაცრი უნდა იყოს. ამიტომაა, რომ არქიტექტორი-ქალაქთმშენებელი, სხვა კოლეგა-არქიტექტორებისგან

---

1 USAID - საქალაქო-საწარმოო დანიშნულების მიწის პრივატიზაცია საქართველოში. მომზადებულია Booz-Allen & Hamilton Inc-ის მიერ. მომსახურების საერთაშორისო სააგენტოს მიერ. საქართველოს ტერიტორიაზე საქალაქო-საწარმოო მიწის ბაზრის განვითარების სფეროში არსებული იურიდიული და ნორმატიული ხასიათის ხარვეზების შეფასება (ხელნაწერი). თბილისი, 1997.

განსხვავებით, ამოდის საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატიდან, ამიტომაა, რომ ურბანისტი თავისი პროფესიული ბუნებით არ შეიძლება არ იყოს, გარკვეულწილად, მემარცხენე პოლიტიკური ფასეულობების გამზიარებელი.

თავად განსაჯეთ: განა შეიძლებოდა წარმოებებისა და მათი ტერიტორიების პრივატიზება თბილისის გენერალური გეგმის იმ სალი პოზიციის გაუთვალისწინებლად, რომელსაც ქალაქიდან გაჰყავდა მავნე წარმოებები? განა შეიძლება საწარმო ტერიტორიების პრივატიზება მათი პასპორტიზაციის, მათი გენერალური გეგმების კორექტირების და ბოლოს, მათი ბიზნეს-გეგმებისა თუ სიცოცხლისუნარიანობის შესწავლის გარეშე? ყველა შემთხვევაში, კანონის საფუძველზე, უნდა შედგეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მეწარმეთა თუ ქალაქის მიწის პოტენციურ მესაკუთრეთა ინტერესებთან ერთად გაითვალისწინებდა თბილისის მოსახლეობის დანარჩენი, უდიდესი ნაწილის ინტერესებსაც.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი წინადადება ასეთია: პირველ ეტაპზე მოხდეს სახელმწიფო მიწების მუნიციპალიზაცია; ამის შემდეგ, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დაიწყოს საქალაქო ტერიტორიის გარკვეული ზონების პრივატიზება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში სხვადასხვა ფერის ხელისუფლების მიერ გადადგმულია რამდენიმე გაუთვლელი ნაბიჯი, რომელმაც უკიდურესად დაამძიმა ჩვენი ქალაქების, კონკრეტულად კი თბილისის მდგომარეობა. კომუნისტების დროინდელ, სახლებზე მიდგმულ ლოჯიებსა თუ მათს ჩონჩხებს მოჰყვა, უკვე აჟამინდელი ხელისუფლების ხელში, ბინების წინდაუხედავი პრივატიზება. ჩვენმა, ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებსა და კერძო მესაკუთრის ღირსებას მოწყურებულმა მოსახლეობამ ერთი და მეორე პოპულისტური სატყუარა სიამოვნებით ჩაყლაპა. სხვაგან სწავლობენ ამა თუ იმ სახლის, ბინის ტექნიკურ მდგომარეობას, ადგენენ ორმხრივ აქტებს, ქმნიან ამ ფონდის მართვის სახელმწიფო თუ მუნიციპალურ აგენტებს, ე.ი., ელემენტარულად, პატიოსნად უდგებიან პრობლემას. ჩვენში სახელმწიფომ ძალიან ადვილად დაიბანა ხელი. სხვათა შორის, მოწინავე ქვეყნებში, ყოველ შემთხვევაში, კონტინენტურ ევროპაში, ბინების პრივატიზება არ არის თვითმიზანი. მაგალითად, გერმანიის ქ. ჰამბურგში მრავალსართულიან სახლებში მხოლოდ 5% ბინებისა არის მობინადრეთა საკუთრება; კოტეჯებისთვის ეს რიცხვი 15%-ს აღწევს. დანარჩენს ქირაობენ, რაშიც სახელმწიფო ხელს უწყობს მოსახლეობას სხვადასხვაგვარი ფონდების, სახელმწიფო თუ მუნიციპალური პროგრამების, სუბსიდიების მეშვეობით და ა.შ.

ჩვენში ბინების ტოტალური პრივატიზების პირობებში, საშურია თუნდაც ორ პრობლემაზე საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ყურადღების მიპყრობა. რა ვუყოთ, რით ვუშველოთ ცუდ, ან სულაც ავარიულ მდგომარეობაში მყოფ საბინაო ფონდს და როგორ შევიდეთ სარეკონსტრუქციო ზონებში, განსაკუთრებით თბილისის ისტორიული დაცვის ზონაში?

პირველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არამარტო ტრადიციული გაგებით ხუხულები, "ბოდონვილები" და ა.შ., არამედ პირველი თაობის მასობრივი საცხოვრებელი - ე.წ. "ხრუშჩობები", რომელთაც ფიზიკური ცვეთის ნორმატიული ვადა სულ მალე გაუვა.

მეორე შემთხვევაში, ქალაქის ისტორიული ზონის რეკონსტრუქციის ყველა მცდელობა წააწყდება კერძო საკუთრების ინტერესებს. ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოა ისტორიული პარალელი, რომელიც ჩანს ალექსანდრე გრიბოედოვის 1827 წლით დათარიღებულ მოსაზრებებში. მოვიტანთ მოკლე ციტატას: «К перестройке сей части города (იგულისხმება კალას უბანი - ვ.ვ.) труднее было приступить: каждый аршин земли дорого ценится, и поэтому когда хотели привести в исполнение новые планы, на всяком шагу нарушали права владельцев и тем возбудили справедливый ропот[1]».

დღეს ბინის მესაკუთრეთა ნებას ველარავინ გადააბიჯებს, თუნდაც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. მართალია, ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობა ცნობს საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატს, მაგრამ პრაქტიკაში მისი განხორციელება მეტისმეტად ძნელდება. ეს მით უფრო გაუძნელდება მიწის ცივილიზებული ბაზრის არმქონე ქვეყანას. გამოდის, რომ ჩვენ თვითონ შევიქმენით დამატებითი სირთულეები, რომელიც ხვალ-ზეგ იჩენს თავს.

აქ არ არის ლაპარაკი სარეკონსტრუქციო ცენტრალური უბნებიდან მოსახლეობის იძულებით გადასახლებაზე თბილისის გარეუბნებში. რეკონსტრუქციის წინადადებები უნდა ითვალისწინებდეს მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებს; სამაგიეროდ, ქალაქის ხელისუფლება არ უნდა ხვდებოდეს მათს გადაულახავ წინააღმდეგობას.

ასეა თუ ისე, დღეს ისტორიულ უბნებში რეკონსტრუქციის ჩატარება საბჭოური მეთოდებით შეუძლებელია. შესამუშავებელია ახალი მიდგომა, ახლებური მეთოდიკა. სწორედ ამგვარ მცდელობას წარმოადგენს სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის, ურბანისტთა საქართველოს საზოგადოებისა და გერმანიის ქალაქგეგმარებისა და ტერიტორიული მოწყობის აკადემიის (**Deutsche Akademie fur Stadtebau und Landesplanung - DASL**) მიერ ერთობლივად შემუშავებული სტუდენტური პროექტი, რომელიც განხორციელდა თბილისში, ავლაბრის უბანში.

ქალაქის განვითარების ახლებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ძიება დღეს გადაუდებელ აუცილებლობად იქცა. საქმე ისაა, თუ რამდენად ეფექტურია ეს ფორმები, რამდენადაა გათვალისწინებული ქალაქისა და ქალაქლების ინტერესი. ამ თვალსაზრისით სულ ახლახან თბილისი გახდა ფირმა "უტას" მსხვილმასშტაბიანი ინიციატივის მოწმე, რომელმაც, რუსთაველის პროსპექტის რადიკალური სახეცვლილების პროექტი შემოგვთავაზა.

[1] Грибоедов А.С.Записка о лучих способах вновь отстроить город Тифлис. Сочинения. М. Гослитиздат, 1956, сс 492-494.



ამგვარი ინიციატივა თავისთავად მისასალმებელია. მაგრამ, პროფესიული აპრობაციის გარეშე იგი მორიგ პანამას ემსგავსება. ეს კარგად გამოვლინდა ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობითი საბჭოს სხდომაზე. განხილვის შედეგად "უტას" წინადადებას ჩამოსცილდა დილეტანტური, პროჟექტორული გარსი. დარჩა ის, რაც თბილისს მართლაც ესაჭიროება - ავტოსადგომები, პირველი სართულებისა და სარდაფების ადაპტაცია, გაჯანსაღება და ეფექტური გამოყენება; რუსთაველის პერპენდიკულარული ქუჩა-შუკებში "შესვლა" და ა.შ.

რადიკალურად გარდასაქმნელია ისეთი უწყებების ურთიერთმიმართება, როგორიცაა ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიულ განვითარების დეპარტამენტი, ქ. თბილისის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტი (ორივე მერიის სამსახურებია) და ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტი (საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქვეგანაყოფი). ამ ურთიერთობებში დღეს ქაოსი, გაურკვევლობა, ორაზროვნებაა გაბატონებული, რაც იდეალურ პირობებს უქმნის კორუფციასა და მექრთამეობას. ჰკითხეთ ნებისმიერ მენაშენეს, არქიტექტორს, მშენებელს, რამდენ ინსტანციებში და როგორი „დანაკარგებით" უწევს მას „წრეების დარტყმა"!?

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრიობამ, თბილისელებმა უნდა იცოდნენ დღეს, თუ როგორ იმართება თბილისის მიწა, რა ემართება თბილისის ტერიტორიას; რა მორალური კაპიტალით მოდის ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.

1997 წელს, ფონდების - "ღია საზოგადოება-საქართველო" და "ევრაზიის"-ს გრანტებით ურბანისტთა საზოგადოებამ დაამუშავა საქართველოს და, კერძოდ, თბილისის პირობებში ურბანისტული განვითარებისადმი სისტემური მიდგომა[1]. ამ პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა თბილისის სხვადასხვა უბნის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა. დასაფიქრებელია რესპონდენტთა პასუხების განაწილება ზემოთ მოტანილი სამი საფეხურისა თუ დონის შესაბამისად. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ:

– უბანში ან მიკრორაიონში - 25,0%;
– ადმინისტრაციულ რაიონში - 6,1%;
– მთელი თბილისის დონეზე - 10,8%.

ეს პასუხები სრულიად ბუნებრივია და, პირველ რიგში, იმაზე მეტყველებს, რომ დღეს არსებულმა თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამ აბსურდის ზღვარს გადააბიჯა. კარგად მოგეხსენებათ - ნუცუბიძის პლატო ვაკის რაიონს ეკუთვნის, დიდი დიღომი - საბურთალოს და ა.შ. ეს ინერცია დღემდე მოქმედებს.

მხოლოდ კრიტიკა, მით უფრო კრიტიკანობა, ვერაფერი საქმეა. ამიტომ ჩვენ თბილისს ვთავაზობთ ადმინისტრაციულ-სტრუქტურულ რეორგანიზაციას. იდეა ლაკონურია - დღევანდელი ადმინისტრაციული რაიონების ნაცვლად - უბნები. თვითმმართველობის თეორიაც იცნობს ასეთ ცნებას: "ნატურალ ცომმუნიტ", ანუ მოსახლეობის ბუნებრივი ერთობა. სიტყვა-სიტყვით მოვიტან მის განმარტებას: "Естественное сообщество - группа людей в пределах определённой территории, которые считают себя единым сообществом в силу общих границ, истории, экономических условий или социальной ориентации".[2)]

ამგვარ ერთობას თბილისი მრავალი საუკუნის განმავლობაში იცნობს უბნის სახით, რომელიც არქიტექტურულ-გეგმარებითი და სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპონენტების არა მექანიკურ შეერთებას, არამედ თავისებურ შენადნობს წარმოადგენს.

დღეს აუცილებელია ამ თბილისური ტრადიციის გახსენება და განახლება, ამაში თვით მოსახლეობა იჩენს აქტიურობას - მაგ., მათი მოთხოვნით 1997 წლის მაისში შეიქმნა დიდი დიღმისა და ვაშლიჯვრის მუნიციპალიტეტი, საბურთალოს რაიონის შემადგენლობაში.

უბნების შექმნის იდეის გარდა, გვაქვს მათი კონკრეტული დელიმიტაციის მონახაზიც. პირველი მიახლოვებით, თბილისის 10 ადმინისტრაციული რაიონის ნაცვლად შეიძლება შეიქმნას 30-მდე მუნიციპალიტეტი, ანუ უბანი. სქემატური დელიმიტაცია ჩატარებული გვაქვს. ახლა საჭიროა უფრო ზუსტი სამუშაოების ნატურაში გადატანა, რაც გაითვალისწინებს არამარტო მოსახლეობის რაოდენობას უბანში, არამედ მის ნება-სურვილსაც; ოროგრაფიულ პირობებს; საინჟინრო, საგზაო, სოციალურ ინფრასტრუქტურას; ძეგლთადაცვითს სტატუსს; სხვა გარემოებებს. ეს ურბანისტიკის, როგორც დისციპლინათშორისი საქმიანობის, უშუალო საქმეა. შედეგად მივიღებთ უბნების არა კაბინეტურ, არამედ რეალისტურ, პრაქტიკულ საზღვრებს.

როგორც ითქვა, სახელმწიფომ საბინაო ფონდის მართვაში ხელი დაიბანა. საქართველოს ახლადმიღებულმა "სამოქალაქო კოდექსმა" ამ მხრივ პასუხისმგებლობა გადაულოცა ე.წ. "ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს", შემდეგი დამაინტრიგებელი ფორმულირებით: "ინდივიდუალურ მესაკუთრეთა ერთობლიობა შეადგენს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს" (მუხლი 216). ამგვარ ამხანაგობებს ეძღვნება სამოქალაქო კოდექსის IV თავი. სამწუხაროდ ამ მეტად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას ფუძემდებელი სოციალური ინსტიტუტის შექმნას ამ თავის დებულებები სრულად ვერ პასუხობს. ამხანაგობების

[1] პროექტები: "საქალაქო განვითარების სამართლებრივი და მმართველობითი სისტემის შემუშავება" და "ქ. თბილისის არქიტექტურულ-ურბანისტული განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები და განხორციელების სტრატეგია".

[2] Холлис Г., Плоккер К. На пути к демократической децентрализации: перестройка региональных и местных органов власти в новой Европе. TACIS services DG IA, European Commission, 1995, с. 297.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი კანონმდებლის ხედვის მიღმა რჩება - ისეთი საკითხები, რომლებსაც კანონქვემდებარე აქტები ვერ დაარეგულირებს.

ჩვენ შესწავლილი გვაქვს ეს საკითხი და პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ - არც ერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში ასე ზერელედ არ არის წარმოჩენილი ჩვენი საცხოვრებელი გარემოს განმსაზღვრელი იურიდიული ნორმები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საქმიანობას, ან მათ საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მართვას ყველგან - ესტონეთიდან ყირგიზეთამდე - აწესრიგებს სპეციალური, საკმაოდ ვრცელი კანონები; ისინი არსად არ ითქვიფება სამოქალაქო კოდექსში. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონი საერთო საკუთრების მართვის სამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას სთავაზობს ბინის მესაკუთრეებს, თანაც არჩევანის დროებრივ ფარგლებსაც აწესებს; სომხეთისა და ბალტიის ქვეყნების კანონმდებლობა ამხანაგობებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს საწყის სტადიაზე და ა.შ.

რადგან "სამოქალაქო კოდექსს" შევეხეთ, არ შეიძლება არ ითქვას მისი პოზიციის შესახებ ქალაქში თანაცხოვრების წესების დაცვის საქმეში. მუხლი 208, პუნქტი 4: "ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იზოლირებულ ბინებზე ან შენობის სხვა იზოლირებულ ნაწილებზე. მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად". კანონმდებელს არ აინტერესებს სახლის მიმდებარე ტერიტორიის ზონირება, გენერალური გეგმა, სპორტული მოედნები თუ მწვანე ნარგავები. მთავარი სხვაა - თუკი მოახერხე და ავტომატის ან სკამის ძალით დაიკავე შენი საკუთარი მანქანისათვის გასაჩერებელი ადგილი შენი ფანჯრების წინ, თანაც "ხანგრძლივი დროის" განმავლობაში (რამდენია ეს ხანგრძლივობა?) მოახერხე მისი "გამოკვეთა" (რით — ცარცით, გისოსით, კედლებით?), მაშინ, - გიხაროდეს, - ეს ადგილი შენია! საით მიყავს ჩვენი ისედაც ნაკლებად კანონმორჩილი თანამოქალაქე კოდექსის ამ ნორმას - ძალადობებისკენ თუ წესრიგის პატივისცემისკენ?

დასასრულ ვიტყვით, რომ ურბანისტიკა, ქალაქგეგმარება შორსმხედველი და შორსმხედველთა საქმიანობაა. ამ თვისებას დღეს უნდა გამოყენება. პოლიტიკურმა ძალებმა, ხელისუფლებამ ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ.

და ბოლოს, გამოვთქვამთ რამდენიმე ძირითად მოსაზრებას, რომლებიც ფორუმის რეკომენდაციათა ნუსხაში შეიძლება შევიდეს, სათანადო მისამართების მითითებით:

1. დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის, მიწის რაციონალური ფონდის, ურბანისტიკის საფუძვლების საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით; პირველ ნაბიჯად ჩაითვალოს კონსტიტუციის 2.3. მუხლში შესწორების შეტანა;
2. სასურველია საქართველოს პარლამენტში შეიქმნას კომიტეტი ან ქვეკომიტეტი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს, მაგალითად, "მიწის რეფორმისა და ტერიტორიული ორგანიზაციის კომიტეტი (ქვეკომიტეტი)", სათანადო ფუნქციების კონცენტრირებით;
3. აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაერთიანდეს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, გზათა სახელმწიფო დეპარტამენტი (მშენებლობის ნაწილი) - ზოგიერთი სხვა უწყება;
4. თბილისის ახალი გენერალური გეგმის ობიექტად მიჩნეული იქნეს თბილისის აგლომერაცია (დედაქალაქის ოლქი); ჩატარდეს ღია კონკურსი პროექტისწინა სტადიაზე;
5. საქალაქო მიწების განსახელმწიფოებრიობა ჩატარდეს ეტაპობრივად — ჯერ მუნიციპალიზაცია, ამის შემდგომ, ქალაქგეგმარებითი და საკადასტრო დოკუმენტაციის საფუძველზე, - პრივატიზება;
6. ურბანისტულ პრობლემატიკას დირექტიულ დონეზე მიენიჭოს პრიორიტეტული სტატუსი ბიუჯეტური დაფინანსებისა და უცხოური დახმარების გამოყენების თვალსაზრისით.

***LADO VARDOSANIDZE - chairman of EFG commission for urbanization, head of urbanization department of GTU, chairman of Georgian Association of Urbanists, professor***

## LEGISLATIVE, INSTITUTIONAL AND SPATIAL AND PLANNING CONDITIONS OF TBILISI DEVELOPMENT

### *(annotation)*

The article considers those acute problems that are typical for the country as the single system and, in particular, for the capital of Georgia. Those includes: lack of legislative base; institutional inferiority; deficit of conceptual thought; hegemony of branch planning over the territorial planning; small financial security; degradation of urban planning discipline; lack of coordination between departments etc.

The article discusses this aspect and provides the system of recommendations.



*ნათია ჯოხაძე* - სტუ - ს ურბანისტიკის კათედრის ასპირანტი

# თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის სოციოლოგიური წანამძღვრები

## (ქართულ-გერმანული სტუდენტური პროექტის მასალების მიხედვით)

საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილიზაციამ პროფესიული არქიტექტურული ინტერესების სფეროში კვლავ მოაქცია ძველი თბილისის პრობლემატიკა. სადღეისოდ დედაქალაქის ისტორიულ უბნებს ახალი რეალიებიც შეემატა. ამ რეალიებს შორის, განაშენიანების კიდევ უფრო გაუარესებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და გრუნტის წყლების უმართავ მოძალებასთან ერთად, განსაკუთრებით გამოსაყოფია პრინციპულად ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა - საცხოვრისის მასობრივი პრივატიზაცია.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სარეკონსტრუქციო უბნების ბედს წყვეტდა მხოლოდ ხელისუფალთა პოლიტიკური ნება, ბიუჯეტის შესაძლებლობები და არქიტექტორ-რესტავრატორთა პროფესიონალიზმი. დღეს ამ ფაქტორთა გვერდით გვევლინება კერძო საკუთრების აღდგენილი ინსტიტუტი, თავისი დადებითი მხარეებითა და თავისი ეგოცენტრიზმით. ქალაქის მოსახლეობის აზრი მხოლოდ სოციოლოგიური გამოკითხვების განზოგადებული შედეგების კი არა, არამედ კონკრეტული მოსახლეების პრაქტიკული ინტერესის, პირადი ნებასურვილის ჩამოყალიბებულ ფორმას იძენს. ამგვარი მდგომარეობა არსებითად ართულებს არქიტექტორის ამოცანას, ითხოვს პროფესიული ხერხების არსენალის გაფართოებას და ამავე დროს, უფრო საინტერესოს ხდის მას.

ერთ-ერთ ასეთ ახალ ამოცანას თბილისის ძველ უბნებთან მიმართებაში, არქიტექტურულ-გეგმარებითი მახასიათებლების აღდგენასთან ერთად, წარმოადგენს სოციალური სტრუქტურის შენარჩუნება, კონკრეტული უბნის ჩართვა საერთო-საქალაქო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთიან სისტემაში.

ამიტომაა, რომ ისტორიული ზონის მიმართ ტრადიციულად ხმარებული ტერმინების - „რეკონსტრუქცია", „რეგენერაცია", „ადაპტაცია" - ნაცვლად ამჯერად მივმართავთ ისეთ ცნებას, როგორიცაა "რეაბილიტაცია". ჩვენი აზრით, დღევანდელ ვითარებაში ეს ცნება უფრო ზუსტად ასახავს არქიტექტორთა პროფესიული ამოცანის ახლებურ არსს.

ცნობილია, რომ უბანი, როგორც თბილისის ქალაქური გარემოს წამყვანი სტრუქტურული ელემენტი, ისტორიულად ჩამოყალიბდა სოციალურ-ფსიქოლოგიური და არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპონენტების ურთიერთქმედების შედეგად. თბილისის ე.წ. "სოციალისტური რეკონსტრუქციის" პერიოდში პირველ, და შესაძლოა, მთავარ სოციალურ კომპონენტს, ნაკლები ყურადღება ექცეოდა; მეტიც - საბჭოთა იდეოლოგია ყველანაირად ცდილობდა ადამიანის გარემოსეული ფესვების მოკვეთას. ასეთი ხერხი სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით გამოიყენებოდა - დაწყებული მთიელების ბარში იძულებით ჩამოსახლებიდან, ვიდრე ქალაქის სარეკონსტრუქციო უბნებიდან მოსახლეობის დაუკითხავად გადასახლებამდე თბილისის პერიფერიულ საცხოვრებელ მასივებში. შედეგი ყოველთვის ერთი იყო - საცხოვრებელი გარემოს ორი ხსენებული შემადგენელი კომპონენტის გაყოფა - აქედან გამომდინარე ხშირად შეუქცევადი შედეგებით, ადამიანსა და გარემოს შორის ფსიქოლოგიური კონფლიქტის წარმოქმნით. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. პერიფერიული საცხოვრებელი მასივები - საცხოვრისი "ყველასთვის" და "არავისთვის".

დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ამგვარი ხერხები ვეღარ გამოდგება, ჩვენ უნდა მოვემზადოთ ისტორიული უბნების უფრო ფრთხილი, "თერაპიული" რეაბილიტაციისათვის.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის კათედრამ და გერმანიის ქალაქთმშენებლობისა და რაიონული დაგეგმარების აკადემიამ **(Deutsche Akademie fur Stadtebau und Landesplanung - DASL)** 1997-1998 სასწავლო წლისათვის შეიმუშავეს ერთობლივი პროგრამა IV კურსის სტუდენტებისათვის.

პროგრამის ობიექტად შერჩეული იყო 1985 წელს დამტკიცებული "ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის" ფარგლებში მყოფი ერთ-ერთი კოლორიტული უბანი - "გარე ავლაბარი" - შემოსაზღვრული ბარათაშვილის აღმართით, ავლაბრის მოედნით, ლომოურისა და მესხიშვილის ქუჩებით. საკვლევი უბნის ფართობი დაახლოებით 5,1 ჰექტარია.

როგორც ითქვა, ძველი, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების რეაბილიტაცია განსაკუთრებულ, ფრთხილ მიდგომას საჭიროებს და ამიტომ ამა თუ იმ უბნის რეაბილიტაციის პროგრამის ამოსავალი წერტილი აქ მცხოვრები მოსახლეობა, მისი აზრისა და ნება-სურვილის გათვალისწინება უნდა იყოს. თვით მოსახლეობის ჩართვაც თავიანთ უბანში მიმდინარე არქიტექტურულ-გეგმარებით პროცესებში გარკვეულწილად გააადვილებს სივრცის სწორი მიმართულებით ორგანიზაციას, თავიდან აგვაშორებს ადამიანისათვის მიუღებელ, მისგან გაუცხოებულ "სხვა" გარემოს.

ანკეტა შედგებოდა რამდენიმე ბლოკისგან; მისი წყობა და შინაარსი საშუალებას იძლეოდა გაკეთებულიყო შედარებები ურბანისტთა საქართველოს საზოგადოების მიერ თბილისის სხვა უბნებში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგებთან[1].

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სარეაბილიტაციო უბნის მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის დადგენა. გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ავლაბრის ამ უბანში დომინირებს ოთხსულიანი ოჯახები - 28,9%. შემდეგ მოდის ორი, სამი და ხუთსულიანი ოჯახები - შესაბამისად 15,5%, 15,2%, 14,8%. რაც შეეხება ასაკს, აქ ჭარბობს 37-50წწ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, - ისინი შეადგენენ მოსახლეობის 21,2%; ამას მოსდევს მოსახლეობა 18-25წწ - 16,6%, მოსახლეობა 6-17წწ - 16,3% და მოსახლეობა 26-36წწ - 16,1%. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგნაირია: ქართველები - 59,8%; სომხები - 33,6%; რუსები - 1,8% და ა.შ.

პროექტის მსვლელობის დროს საგანგებოდ შესწავლილ იქნა საბინაო ფონდის პრივატიზაციის საკითხი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია კერძო სტრუქტურის აქტიური შეჭრა საქალაქო განვითარებაში, რასაც, უდაოდ, ხელი შეუწყო საყოველთაო პრივატიზაციამ. გარე ავლაბარში პრივატიზებულია სახლმფლობელობათა 75,7%. ისტორიული, სარეკონსტრუქციო უბნის შემთხვევაში ეს არც თუ ისე სახარბიელოა, ვინაიდან კერძო მესაკუთრის სუბიექტური ინტერესები ხშირ შემთხვევაში უმართავია და მათ სავალალო შედეგებამდეც მივყავართ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარე ავლაბარი მოქცეულია "ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის" ფარგლებში. აქ შენობების უმრავლესობა აშენებულია XIX საუკუნეში. ბევრ მათგანს გარკვეული ისტორიული ღირებულება გააჩნია და ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. საყოველთაო პრივატიზაციამ კი ისინი ბედის ანაბარად დატოვა; მოსახლეობის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობაც არ იძლევა საკუთარი მწვავე ავარიული სახლების გამაგრების საშუალებას. არც ძეგლთა დაცვის სამმართველოს ძალუძს აღნუსხული ისტორიული შენობების მოვლა-პატრონობა (უსახსრობისა თუ ამ შენობებზე კერძო საკუთრების არსებობის გამო). ზუსტად აქ გამოვლინდა სარეკონსტრუქციო უბნებში ჩატარებული პრივატიზაციის მოუფიქრებელი პოლიტიკის ხარვეზები, რამაც გარკვეულწილად სხვა ასპექტებშიც იჩინა თავი - საქართველოში გაბატონებული სამართლებრივი ნიჰილიზმის, უკონტროლობისა და ქალაქთმშენებლობითი დისციპლინის მოშლის ფონზე ფართოდ გაშლილ უმართავ მშენებლობაში, საქალაქო მიწების პირადი ინტერესების სასარგებლოდ მითვისებაში და ა.შ. ქალაქისადმი ასეთმა მიდგომამ, მალე შეიძლება სრულიად შეცვალოს ძველი თბილისის იერსახე.

უბნის მწვავე ავარიულ მდგომარეობას თან ემატება ბევრი ელემენტარული საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების დეფიციტი. ესენია: არაიზოლირებული, მოუხერხებელი სათავსები. ბინის არასაკმარისი ფართობი აწუხებს გამოკითხულთა 64,7%-ს; რესპონდენტთა 33,9%-ს აქვს მეზობლებთან საერთო ან ეზოში მოწყობილი აბაზანა და (ან) ტუალეტი, გამოკითხულთა 27,1%-ს საერთოდ არ გააჩნია სამზარეულო, როგორც ბინის გეგმარების გამოყოფილი ელემენტი, ხოლო 5,8%-ს აქვს მეზობლებთან საერთო სამზარეულო; საკუთარი ავტოსადგომით მხოლოდ 3,2% სარგებლობს, ხოლო ტელეფონით უზრუნველყოფილია ბინების მხოლოდ 32,9%.

აქედან გამომდინარე, მოსახლეობა სამართლიანად უკმაყოფილოა თავისი საბინაო პირობებით (57,0%), მეტ-ნაკლებად კმაყოფილია 21,3%, ხოლო კმაყოფილი - 16,6%.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ უბნის განაშენიანება, მისი საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია; ამ გარემოებას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი მსოფლიოში მიღებულმა ბინათმშენებლობის ფორმებმა - საბანკო სესხებმა, სუბსიდიებმა, მიზნობრივმა პროგრამებმა და ა.შ. მოსახლეობის მხოლოდ 1,4%-ია ორიენტირებული საბანკო კრედიტებზე, 42,6%-ს თავისი საბინაო პირობების გაუმჯობესების არანაირი იმედი არა აქვს; ამას მოსდევს გაურკვეველი პასუხი - "ვნახოთ, რამე იქნება" - 29,2%.

ამასთან ერთად, საკუთარი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ იმედად მოსახლეობისთვის ინვესტორი ჩნდება - რესპონდენტთა 70,4% თანახმაა მას გადასცეს საკუთარი საცხოვრისი, ამ უბანშივე, ან თუნდაც თავის ნაკვეთზე ახალ სახლში უკეთესი ბინის მიღების პირობით. მოსახლეობის მხოლოდ 11,9% სურს უბნიდან გადასვლა, ისიც გარკვეული პირობებით, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარების მიზნით; ხოლო არაფრის შეცვლა არ უნდა რესპონდენტთა მხოლოდ 9,0%.

ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს უბანსა (თავისი ღირსებებით) და მის საინჟინრო ინფრასტრუქტურას შორის არსებულ დიდ დისონანსს და ქმნის წინააღმდეგობრივ სურათს. მიუხედავად ასეთი მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, გარე ავლაბრის მოსახლეობის დიდი ნაწილი (86,3%) კმაყოფილია თავისი უბნით. ისინი საკმაოდ აცნობიერებენ უბნის მნიშვნელობას და მაღალ შეფასებას აძლევენ მას.

თავისთავად პოზიტიური მოვლენაა მოსახლეობის მიერ საკუთარი უბნის გათავისება, მითუმეტეს, რომ პრესტიჟულობის ფაქტორი ტერიტორიის არა მხოლოდ ემოციური, არამედ ეკონომიკური შეფასების მაჩვენებელიცაა. იგი მოქმედებს უძრავი ქონების ბაზარზე და დიდწილად განსაზღვრავს ბინების ფასს.

[1] სოციოლოგიური კვლევა ჩატარებულია 1996-1997წ.წ. ფონდების - "ევრაზია" და "ღია საზოგადოება - საქართველო" მხარდაჭერით შესრულებული პროექტების - "საქართველოს პირობებში საქალაქო განვითარების სამართლებრივი და მმართველობითი სისტემის შემუშავება" და "თბილისის არქიტექტურული და ურბანისტული განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლები და განხორციელების სტრატეგია" ფარგლებში.



თუმცა ქალაქის სოციალური სტრატიფიკაცია ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ უბნებს შორის მაღალი განსხვავება (როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ეკონომიკური მაჩვენებლებით) ხელს უშლის უძრავი ქონების ბაზრის სრულმასშტაბიან ფუნქციონირებას, ქალაქის ცალკეული ნაწილების ინტეგრაციას. სწორედ ურბან-მენეჯმენტის ამოცანას წარმოადგენს "არაპრესტიჟული" უბნების განახლება-რეაბილიტაციის საშუალებით შეამციროს სუბიექტური განსხვავება უბნებს შორის და ჩართოს ეს უბნები საერთო-საქალაქო სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მსვლელობაში; მითუმეტეს, რომ დღესდღეობით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პრესტიჟულობის ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალური ხდება საქალაქო მიწების შეფასებისას. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ მიწის შეფასების მეთოდიკაში, მიწის ფასის განმსაზღვრელ ექვს კომპონენტთაგან ერთ-ერთი სწორედ პრესტიჟულობაა. დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ეს ფაქტორი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი, როგორც ტერიტორიის შემფასებელი და მახასიათებელი ერთ-ერთი კრიტერიუმის სახით შესულია საკანონმდებლო მიმოქცევაში[1].

გამოკითხვიდან ცნობილი გახდა მოსახლეობის აზრი სასურველი საცხოვრებელი გარემოს ხასიათსა და განაშენიანების ტიპზე. რესპონდენტთა დიდი ნაწილი - 43,8% უპირატესობას ტრადიციულ, შიდაეზოიან, იზოლირებულ სახლის ტიპს ანიჭებს; ანუ ამჯობინებს არსებულ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ადაპტირებულ სივრცეს, საკუთარი ინდივიდუალური სივრცის "ხელშეუხებლობის" პირობით. ამგვარი გეგმარებითი სტრუქტურა იძლევა იმ არჩევანის საშუალებას საცხოვრებელი სახლის ტიპისა და თუნდაც ცხოვრების წესისას, რაც სარეკონსტრუქციო უბნების მოსახლეობისათვის წლების მანძილზე დეფიციტს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ისტორიული უბნებისადმი მიდგომა გასცილდა მათდამი, როგორც "მუმიფიცირებული" უბნებისადმი მიდგომის ფარგლებს და გამოიწვია ამ მათი თანამედროვე გააზრების აუცილებლობა. სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასი", მშენებარე სამების ტაძარი და რიყის უბნის კონცეფციაზე ჩატარებული კონკურსი ამ ახალი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია, მცდელობაა ისტორიული უბნების საქალაქო მნიშვნელობის პროცესებში ჩართვისა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ფაქტორებთან ერთად, გარე ავლაბრის რეაბილიტაციის სტუდენტური პროექტიც ამ უბნის დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში შემოერთების ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება გახდეს.

***NATIA JOKHADZE - post-graduate student at the urbanization department of GTU***

## SOCIOLOGICAL PREREQUISITES OF REHABILITATION OF TBILISI HISTORICAL AREA

### (ACCORDING TO THE MATERIALS OF GEORGIA-GERMAN STUDENTS PROJECT)

### *(annotation)*

The article describes the project of rehabilitation of an area located in the old district of Tbilisi - Avlabar. The findings of natural sociological studies carried out in the area are given. As a result of studies there is revealed the attitude of residents to the problem of privatization of dwelling with respect to the new realties formed in the historial area of the citi (the social and economic situation. respect of the public opinion are implied etc.) Also is described the concrete desing and hierarchy of problems to be solved in the area.

[1] "საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ", თავი IV, მუხლი 13., პუნქტ. 6.

*გივი კიზირია* – სტუ-ს ხიდებისა და გვირაბების კათედრის გამგე,საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი
*მალხაზ ბედიაშვილი* – საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# ქ.თბილისის შენობა-ნაგებობების მდგრადობის საკითხისათვის

ქ. თბილისში ადრეც ხშირად ხდებოდა ამა თუ იმ ნაგებობის ავარია, მნიშვნელოვანი დეფორმაციები, რომლებსაც ხშირად მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

მაგრამ ისეთი მდგომარეობა, რომელიც ახლა შეიქმნა ჩვენს დედაქალაქში, არასოდეს ყოფილა.

ეს ძირითადად გამოწვეულია დაზიანებული და ამორტიზებული წყალსადენ–კანალიზაციიდან ტექნოლოგიური წყლების საძირკვლების ფუძის გრუნტებზე ზემოქმედებით.

ტექნოლოგიური წყლების ზემოქმედების შედეგად შენობათა დეფორმაციები დაკავშირებულია ისეთი გრუნტებთან, რომელთა სამშენებლო თვისებები მკვეთრად უარესდება დასველებით.

არახელსაყრელი საინჟინრო–გეოლოგიური უბნები ფართოდაა გავრცელებული ისნის, ნაძალადევის, მთაწმინდის რაიონებში, III მასივში, გამსახურდიას გამზირსა და კოსტავას ქუჩებს შორის, ვაკეში, ქალაქის ისტორიულ უბნებში, სანზონაში, ვარკეთილში და სხვ.

მშრალ მდგომარეობაში ეს გრუნტები მდგრადია, წყალგაჯერებული კი ადვილად ჰკარგავს მზიდუნარიანობას, რაც იწვევს მათზე დაფუძნებული შენობების დეფორმაციას და რღვევას.

ამ მიზეზით და სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ფინანსირების სიმცირის გამო დღეს თბილისში 1200–მდე ამორტიზებული და მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და ათასობით დეფორმირებული სახლია.

თბილისის მერის განცხადებით მათი აღდგენისათვის საჭიროა 700 მლნ–მდე ლარი.

გავაანალიზოთ მდგომარეობა და ვნახოთ რა ფაქტორები მოქმედებენ შექმნილ სიტუაციაში და როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან:

1. პირველი მიზეზი–ეს სარემონტო სახლების დაფინანსების წყაროს უქონლობაა: ახალი სოციალურ–ეკონომიკური წყობა და შესაბამისი ხელისუფლება უძლურია დღევანდელ პირობებში გამოჰყოს ყველა დაზიანებული თუ ავარიული შენობა–ნაგებობის ნორმალური ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები.

დრო კი, მცირე სარემონტოს ხდის სერიოზულ სარემონტოდ;

2. თბილისი ძველი ქალაქია, მასში მრავლადაა 100 და მეტი წლის წინათ აგებული შენობები, რომლებიც კარგა ხანია მთლიანად ამორტიზებულია. მათი ძირეული რეკონსტრუქციის, თუ მთლიანად დაშლის მაგივრად უკეთდებათ კოსმეტიკური რემონტი, რაც კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას.

3. დღეს არავინ კამათობს, რომ სახლი უნდა აშენდეს ანტისეისმური ღონისძიებების გათვალისწინებით, თუმცა ეს საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამისათვის შემოღებული უნდა იქნას, როგორც სავალდებულო ღონისძიება, ქ. თბილისში მშენებარე ყველა ნაგებობის ქვეშ გამავალი სანტექნიკური, კანალიზაციის, გათბობისა და სხვა ქსელების ჩაწყობა კონტროლირებად არხებში.

მხოლოდ ასე მოვახერხებთ თავიდან ავიცილოთ წყლის ჟონვები და გრუნტის დასველება.

ასეთი წესები და პირობები ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და დააკანონოს.

ასევე, მასიურადაა საჭირო პლასტმასის მილების გამოყენება. ახლა მათი ხარისხიც კარგია და რაოდენობაც საკმარისია, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა კი ბევრჯერ მეტია, ვიდრე ლითონის;

4. ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობები, როგორიცაა ხიდები, კოლექტორები, გზები და სხვა საინჟინრო ნაგებობები, მოითხოვენ ხელისუფალთა მუდმივ ყურადღებას და გადაუდებელ რეაგირებას.

გასულ წლებში, როდესაც თბილისში ტიპიური პროექტებით მასიურად შენდებოდა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, სამრეწველო ნაგებობები, პროექტების მიბმა–მისადაგებისა და მშენებლობის დროს, ასევე მათი ექსპლუატაციაში ყოფნის პერიოდში, დაშვებულ იქნა ბევრი შეცდომა (გრუნტული პირობების შეუფასებლობა, ბეტონის დაბალი მარკა და სხვა).

ამის გამო თბილისში მრავლადაა ახლად აშენებული შენობა, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაშია.

ყველა ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიების ჩატარება:

1. პრესტიჟულ რაიონებში შემოსულ ინვესტორ–მეპატრონეს უნდა დაეკისროს უბნის კეთილმოწყობა, იქ მცხოვრებთა დაკმაყოფილება შესაბამისი გაუმჯობესებული ბინებით ახალ რაიონებში ან ადგილზევე, მათთან შეთანხმების საფუძველზე;

2. ყველა შესაბამისი უწყებისა და სპეციალისტის მონაწილეობით გადაიხედოს ისტორიულ ძეგლთა სია–XIX და XX საუკუნის დასაწყისის განმავლობაში ნაშენებ და ახლა ავარიულ მდგომარეობაში მყოფ სახლებისა.



ის ავარიული ობიექტები, რომლებიც ვერ მოხვდებიან ამ სიაში, მცხოვრებთა თანხმობითა და ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით ან დაიშალოს, ან მიეყიდოს სათანადო ფირმებს ზემოხსენებული პირობების შესაბამისად;

3. ახლად აგებული შენობები, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაშია, სახელმწიფოს ხარჯზე უნდა გამაგრდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარე კომუნიკაციების მდგომარეობას და შენობის გარშემო ტერიტორიის მოსწორებას ისე, რომ ატმოსფერული ნალექები არ აღწევდნენ საძირკვლებს;

4. რაიონის გამგეობებთან შეიქმნას სათანადო კომისიები, რომლებიც გამოავლენენ მობინადრეთა მიერ წყალსადენ–კანალიზაციის უნებართვო გადაკეთებებს;

5. შემუშავდეს წესი, რომ კერძო ბინის შენახვა და მოვლა–პატრონობა მობინადრის მოვალეობაა. ეს მისი საკუთრებაა და სახელმწიფო, განსაკუთრებით დღევანდელ მდგომარეობაში მყოფი, ვერ ივალდებულებს ამ მიზნისათვის ხარჯებს;

6. ბევრი საცხოვრებელი სახლის პირველი სართული თავისუფალია და განიცდის ატმოსფერულ, თუ მექანიკურ ზემოქმედებებს. საჭიროდ მიგვაჩნია, ქალაქის მთავარი არქიტექტორის გადაწყვეტილებით, ნება დაერთოთ ცალკეულ პირებს თუ ორგანიზაციებს გამოიყენონ ეს სივრცე იმ პირობით, რომ გააძლიერებენ I სართულის მზიდ კონსტრუქციებს;

7. გამოიყოს სათანადო კომისია ვახუშტის და ბარათაშვილის ხიდების მდგომარეობის შესასწავლად და სათანადო ღონისძიებებისა და რეკომენდაციების მისაღებად;

8. სასწრაფოდ იქნას მიღებული ზომები თბილისის ქუჩების საფარის სავალალო მგომარეობის გამოსასწორებლად.

***GIVI KIZIRIA - head of bridges and tunnels department of Georgian Technical University, academician of the Academy of Engineer***

***MALKHAZ BEDIASHVILI - Corresponding Member of the Academy of Engineer***

## ON STABILITY OF BUILDINGS AND STRUCTURES OF TBILISI
## *(annotation)*

The article analyses that catastrophic situation arisen in stability of buildings and structures existing in Tbilisi, in particular, stability of monuments of history.

The ways-out are described.

*ბენო ჩიქვინიძე – ს/ს „კაპშენი"-ის გენერალური დირექტორი*

# საქართველოში მშენებარე დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობათა დამთავრებისა და პრივატიზების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რთულ ვითარებაში ჩააყენა კაპიტალური მშენებლობა.

საბაზრო ურთიერთობით გამოწვეულმა მშენებლობის გაძვირებამ, სახელმწიფო ასიგნებათა სტრუქტურის შეცვლამ, ბანკის კრედიტებზე საურავების პროცენტის გაზრდამ და სხვა მოვლენებმა, რომლებიც თან ახლავს ეკონომიკის გარდაქმნის პროცესს, მკვეთრად შეამცირეს სამშენებლო კომპლექსის საქმიანობა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საბინაო და სამოქალაქო მშენებლობა.

სახელმწიფო პოლიტიკის ეს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი ბოლო 6–7 წლის განმავლობაში ფაქტობრივად მოიშალა. გარდა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის და ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე საომარი მოქმედებების შედეგად დანგრეული და დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და ზოგიერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აღდგენა–მშენებლობის დაფინანსებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით სახსრები არ გამოყოფილა. დაუმთავრებელი დარჩა მრავალი საბინაო და სოციალური დანიშნულების ობიექტი, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს ერთიანი დამკვეთის „საქკაპმშენის" (ამჟამად სააქციო საზოგადოება „კაპმშენი") ბალანსზე ირიცხება 4947 სხვადასხვა დანიშნულების დაუმთავრებელი ობიექტი, მათ შორის:

<u>საბინაო მშენებლობა</u> – დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აღრიცხულია 4345 ობიექტი – საერთო ფართობით 2190,0 ათასი კვ. მეტრის ოდენობით, რომელთაგან სახელმწიფო კაპდაბანდებითა და წარმოება–დაწესებულებების ფონდებით დაწყებულია 360 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა – საერთო ფართობით 1100,0 კვ. მეტრის ოდენობით; კოოპერატიული სახსრებით 107 სახლი – საერთო ფართობით 600,0 ათასი კვ. მეტრი; ქართლსა და დასავლეთ საქართველოში 1991 წელს მომხდარი მიწისძვრების შედეგების სალიკვიდაციოდ გათვალისწინებული 2164 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი – საერთო ფართობით 178,0 ათასი კვ. მეტრი; აჭარიდან და სვანეთიდან სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის გადმოსახლებისათვის მშენებარე 1766 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი – საერთო ფართობით 270,0 ათასი კვ. მეტრი და სხვ.

ყველა ამ ობიექტის დასამთავრებლად, ამჟამად მოქმედი ფასებით, დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, საჭიროა დაახლოებით 600–605 მილიონი ლარის კაპიტალური დაბანდებები.

აღსანიშნავია, რომ დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციაში ჩაბარებით კეთილმოწყობილი ბინებით დაკმაყოფილდება 27800 ოჯახი, ანუ 43 ათასი ადამიანი.

ამავე დროს, საბინაო მშენებლობის აღორძინებით, ხელი შეეწყობა სამშენებლო კომპლექსის განვითარებას, კვალიფიციური მუშების დასაქმებას არანაკლებ 20 ათასი სამუშაო ადგილით და რაც მთავარია, გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები;

<u>კომუნალური მშენებლობა</u> – დაუმთავრებელ წარმოებაში იმყოფება 192 მნიშვნელოვანი ობიექტი, მათ შორის კანალიზაციები, წყალსადენები, საქვაბეები, თბოქსელები, და სხვა რომელთა დასამთავრებლად საჭიროა დაახლოებით (დ.ღ.გ.–ს გარეშე) 235,0 მილიონი ლარი;

<u>ჯანდაცვის დარგი</u> – დაუმთავრებელ მშენებლობაში ირიცხება 97 ობიექტი, მათ შორის 48 საავადმყოფო 5490 საწოლზე და 21 პოლიკლინიკა 8200 მომსვლელზე, რომელთა დასამთავრებლად (დ.ღ.გ.–ს გარეშე) საჭიროა 138,0 მილიონი ლარი;

<u>განათლების დარგი</u> – დაუმთავრებელ მშენებლობაშია 193 ობიექტი, მათ შორის 145 სკოლა 44803 მოსწავლე–ადგილზე და 23 საბავშვო ბაღი 2590 ბავშვთა–ადგილზე, რომელთა დასამთავრებლად (დ.ღ.გ.–ს გარეშე) საჭიროა 127,0 მილიონი ლარი;

<u>კულტურის დარგი</u> – დაუმთავრებელ მშენებლობაშია 21 ობიექტი, რომელთა დასამთავრებლად (დ.ღ.გ.–ს გარეშე) საჭიროა 23,0 მილიონი ლარის კაპიტალური დაბანდებები;

<u>სხვა დარგები</u> – დაუმთავრებელ მშენებლობაში ირიცხება 90 ადმინისტრაციული, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტი, რომელთა დასამთავრებლად (დ.ღ.გ.–ს გარეშე) საჭიროა 140,0 მილიონი ლარის კაპიტალური დაბანდებები.

მთლიანად საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების დასაფინანსებლად, ამჟამად მოქმედი ფასებით (დ.ღ.გ.–ს გარეშე), საჭიროა 1268,0 მილიონი ლარის კაპიტალდაბანდებები, რაც ქვეყანაში არსებული საფინანსო–ეკონომიკური მდგომარეობის გამო უახლოეს დროში ვერ განხორციელდება.



რადგანაც სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა დაუმთავრებელ მშენებლობათა დასაფინანსებლად, აუცილებელია რომ მის ხელთ არსებული მწირი სახსრები ფრთხილად და მიზნობრივად იქნას გამოყენებული, რაც ბევრ შემთხვევაში პრაქტიკულად არ სრულდება.

ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციისათვის, ტრანსფერტის წესით, მიზნობრივად გათვალისწინებულია 7286,0 ათასი ლარის გამოყოფა მიწისძვრით, სტიქიითა და საომარი მოქმედებით დაზიანებული ობიექტების აღდგენა–მშენებლობისათვის. ეს სახსრები კი ხშირად გამოიყენება არადანიშნულებისამებრ. ჩვენი მონაცემებით, საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის გამოყოფილი სახსრები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაიცემა მობინადრეებზე და იხარჯება სხვა დანიშნულებით, სახლები კი აღუდგენელი რჩება.

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაში, სახელმწიფოს სახსრების შეზღუდულობის პირობებში, მთავრობამ უნდა განახორციელოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო კრედიტების მოზიდვას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო დროს შეიქმნა მრავალი კერძო ბანკი, ამას არ მოჰყოლია კერძო საკრედიტო სისტემის განვითარება. გარანტიების სიმცირის გამო სერიოზულად ფერხდება მშენებლობისათვის გრძელვადიანი სესხების გაცემა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია მიწის ლიბერალიზაციის დაჩქარება, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლოს მიწის გამოყენება გარანტიის სახით.

გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სამშენებლო კრედიტებზე შეღავათების დაწესების თაობაზე. ის ბანკები, რომლებიც თავიანთი აქტივების 20%–ზე მეტს დაუთმობენ მშენებლობას, განთავისუფლებული უნდა იქნენ ან შეუმცირდეთ გადასახადები.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 თებერვლის №105 ბრძანებულებით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს დავალებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამ თვეში წარმოადგინოს დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლებისა და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დამთავრებისა და პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა.

ამ დავალების შესასრულებლად მიმდინარეობს სათანადო მუშაობა და შეთანხმებული წინადადებები წარედგინა მთავრობას.

კაპიტალურ მშენებლობაში არსებული კრიზისის დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. დაევალოს ადგილობრივი მართვის ორგანოებს, ერთიან დამკვეთს – „კაპმშენ"–ს და საიჯარო ორგანიზაციებს უმოკლეს ვადაში ჩაატარონ დაუმთავრებელ მშენებლობათა ინვენტარიზაცია, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა;
2. დაევალოს ადგილობრივი მართვის ორგანოებს გადაამოწმონ ყოფილი აღმასკომების მიერ გაცემული ორდერებისა და გარანტიების სისწორე და წარმოადგინონ დასაბუთებული წინადადებები მათი გაუქმების ან სხვადასხვა წესით გამოსყიდვის თაობაზე (აქციებით, სერტიფიკატებით თუ სხვა ფასიანი ქაღალდებით);
3. ადგილობრივი თვითმართველობის უფლებების გაფართოების მიზნით, განხილულ იქნეს წინადადება საბინაო–სამოქალაქო მშენებლობისათვის წარმოება–დაწესებულებების მოგებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადის დაწესების თაობაზე;
4. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს და მთავრობას:

– მზარდი ტემპებით განახორციელონ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო ობიექტების (სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების და სხვა) დაფინანსება;

– დააჩქარონ მიწის ლიბერალიზაცია, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლოს მიწის გამოყენება გარანტიის სახით;

– დაუმთავრებელ მშენებლობათა პრივატიზაციიდან მიღებული თანხები რეინვესტირებულ იქნენ საბინაო–სამოქალაქო მშენებლობაში;

– საბინაო–სამოქალაქო მშენებლობაში კერძო კაპიტალის მოზიდვის მიზნით, გაანთავისუფლონ ან შეუმცირონ გადასახადები ბანკებს, რომელთა აქტივების 20%–ზე მეტი დაბანდებული იქნება ამ სახის მშენებლობაზე;

– მიიღონ გადაწყვეტილებები მოსახლეობისთვის საბინაო კრედიტებისა და სუბსიდიების გაცემის თაობაზე და აგრეთვე მიზნობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათი ბრუნვის შესახებ;

– საბინაო მშენებლობის განვითარების მიზნით ჩამოაყალიბონ ბინათმშენებლობის ბიუჯეტგარეშე ფონდი, რომელიც სახელმწიფო სახსრებთან ერთად მოიზიდავს კერძო ინვესტიციებს;

– საბინაო მშენებლობაში პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების მიზნით, განხილულ იქნეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარჯების განთავისუფლება დამატებული ღირებულების გადასახადიდან.

*GENO CHIKVINIDZE - general director of JS "Kaspmsheni"*

# ON ARRANGEMENTS FOR COMPLETION OF BUILDING AND PRIVATIZATION OF HOUSES AND OTHER SOCIAL SPHERE OBJECTS UNDER CONSTRUCTION IN GEORGIA

***(annotation)***

The article describes the situation created in the construction field, namely, in the sphere of houses and other objects under construction; the measures for the way-out of the current grave situation are given.



*როინ ჭყოიძე* – „საქკომუნმშენპროექტი"-ს მთავარი ინჟინერი

# თბილისის კომუნალური დარგის განვითარების შესახებ

ქ. თბილისის სამეურნეო დარგთა შორის კომუნალური დარგი ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნების დაცვისა და საცხოვრებელი გარემოს სანიტარული კეთილმოწყობის საკითხებთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ტექნიკურად გაუმართავი კომუნალური ობიექტები. ამასთან ერთად, მიმდინარე ეკონომიკურმა და სტრუქტურულმა რეფორმებმა თავისი უარყოფითი ზეგავლენა იქონიეს კომუნალურ დარგზე. კერძოდ, შეწყდა მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცენტრალიზებული დაფინანსება. ელექტროენერგიის დეფიციტმა კი დაარღვია სისტემების მუშაობის უწყვეტი რეჟიმი. ამით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალაქის კომუნალური მომსახურეობა.

ქვემოთ მოცემულია ქ. თბილისის კომუნალური დარგის ცალკეულ სისტემებში შექმნილი პრობლემები და მისი გამოსწორების რეკომენდაციები.

## I. წყალმომარაგება

1.1 აუცილებელია წყალმომარაგების წყაროების ერთდროული გარანტირებული მინიმუმისა და უშუალოდ მომხმარებელზე წყლის რაოდენობის დადგენა;

1.2 დაუშვებელია ქალაქის წყალმომარაგება ერთი წყაროდან (მდინარე არაგვის აუზიდან) საჭიროა განხორციელდეს ახალი წყალსადენის სისტემის მშენებლობა, თრიალეთის წყაროების ბაზაზე. აღნიშნული მოხსნის შექმნილ დეფიციტს და გამორიცხავს სატუმბო სადგურების საჭიროებას;

1.3 მინიმუმამდე – 7/10%-მდე უნდა იქნეს დაყვანილი ჟონვით გამოწვეული დანაკარგები (ამჟამად იგი შეადგენს 40/45%);

1.4 აუცილებელია მომხმარებელზე წყლის ერთიანი ტარიფის შემოღება, რომელიც დადგენილი უნდა იქნას წყლის თვითღირებულებიდან გამომდინარე;

1.5 სიძველის გამო ამორტიზირებული მილები უნდა შეიცვალოს სათანადო დიამეტრის ახალი მილებით;

1.6 აუცილებელია დაინერგოს ქსელის მართვის ავტომატიზებული სისტემა;

1.7 სათავე ნაგებობების I და II ზონებში განლაგებული დასახლებული ობიექტები მოითხოვს ჰერმეტული სისტემით კანალიზირებას.

## II. კანალიზაცია

2.1. კანალიზაციის ქსელები უნდა განცალკევდეს სანიაღვრისაგან;

2.2. საჭიროა განხორციელდეს ყველა გვერდითი კოლექტორების მიერთება სანაპიროზე გამავალ გამყვან კოლექტორებთან;

2.3. საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს მდინარე მტკვრის დაბინძურებული კალაპოტი, თვითგაწმენდის უნარის აღსადგენ ღონისძიების გასატარებლად;

2.4. ქალაქის გადატვირთულ ქუჩებში მიზანშეწონილია ახალი საერთო კოლექტორების მშენებლობა, რომელშიდაც განლაგდება ყველა კომუნიკაციები. აღნიშნული საგრძნობლად შეამცირებს საექსპლუატაციო დანახარჯებსა და ჟონვებს.

## III. თბომომარაგება

3.1 საჭიროა ყველა არსებული თბომომარაგების სისტების პასპორტიზაცია, მისი შემდგომი გამოყენების რენტაბელობის დასადგენად;

3.2 შემუშავებული უნდა იქნეს ქ. თბილისის თბომომარაგების განვითარების გენერალური გეგმა ყველა ახალი მოთხოვნებისა და არსებული პირობების გათვალისწინებით;

3.3 გაფართოებას მოითხოვს თერმული წყლების ენერგიის გამოყენება;

3.4 საჭიროა შეიქმნას და დაინერგოს საყოფაცხოვრებო ღუმელები, რომლებიც იმუშავებენ სამამულო საწვავზე.

## IV. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა–გადამუშავება

4.1 თბილისში აუცილებლად უნდა დაინერგოს მოწინავე ქვეყნის გამოცდილებები და მიღწევები ნაგვის შეგროვება–გატანაში;

4.2 აგებული უნდა იქნას ახალი ტიპის ნაგავგადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც დააკმაყოფილებენ ეკოლოგიურ მოთხოვნებს და საკუთარი ენერგიის გამომუშავების ხარჯზე რენტაბელურს გახდიან წარმოებას.

***ROIN CHKOIDZE - senior engineer of Sakkommshenproekti***

## ON DEVELOPMENT OF TBILISI COMMUNAL UTILITIES
## *(annotation)*

The concrete recommendations in the communal, sewage, water-supply and heat-supply fields as well as in removal and processing of refuses are given for improvement of the current situation.



*ავთანდილ კერვალიშვილი* – სეფ–ის მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

# წინადადებები ქ. თბილისის თბომომარაგების უზრუნველყოფისათვის

თბომომარაგების საკითხები ყველა მოწინავე ქვეყანაში სახელმწიფოს ზრუნვის საგანია და სოციალური პოლიტიკის სფეროს მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს დედაქალაქში? ქ. თბილისში დღეისათვის 46 ცენტრალიზებული და 50–მდე ჯგუფური და ინდივიდუალური სითბოს წყაროა, სადაც დამონტაჟებულია 140–მდე საშუალო, მაღალი და 90 დაბალი წარმადობის ქვაბი, 800–ზე მეტი ცენტრალური და ინდივიდუალური საბოილერო, 2300კმ ერთმილოვანი თბოქსელი, ათასობით ტუმბო და ელექტროძრავა. დღეისათვის ნაწილი ამ ძირითადი ფონდებისა გაძარცულია, დანარჩენი კი სრულიად ამორტიზებულია (გარდა დიდი დიღმის საქვაბისა). 130 000 $მ^2$ ქალაქის ფართისა დაკავებული აქვს მწყობრიდან გამოსული სამაზუთე მეურნეობას.

ქ. თბილისის ცენტრალიზებული თბომომარაგების საკითხი თავიდანვე არ იყო გადაწყვეტილი სწორად. სეისმურ ზონაში და რთულ რელიეფზე მყოფი დასახლებისათვის ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემა არ არის რეკომენდირებული, ვინაიდან მას ესაჭიროება ნორმატიულზე მეტი სითბო–ენერგეტიკული რესურსების, მასალისა და ფინანსების ხარჯვა.

სითბოს უზარმაზარი, ზენორმატიული დანაკარგები გამოწვეული იყო სითბოს წყაროდან მომხმარებლამდე ძალზე დიდი მანძილების გამო, აგრეთვე წყლის ჟონვებითა და სხვ. საერთო ჯამში დანაკარგები 50%–ს აღწევდა და სისტემას არაეფექტურს ხდიდა. მაგრამ სითბური ენერგიის შედარებით დაბალი თვითღირებულება საშუალებას იძლეოდა გაეწიათ ექსპლუატაცია ამ უმძიმეს პირობებში, ხოლო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაცილებით მაღალი დონის გამო დებიტორული დავალიანება მოსახლეობაში პრაქტიკულად არ იყო (5%). დღეისათვის სურათი სულ სხვაგვარადაა. მოსახლეობას არ გააჩნია საშუალება საფასურის გადახდისა.

რაც არ უნდა კარგად აშენებული და უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილი იყოს თბომომარაგების ცენტრალური წყარო, საკუთარი და სატრანსპორტო კომუნიკაციებით გამოწვეული სითბოს დანაკარგები მაინც აღემატება 15%–ს. დღეს, როდესაც სამეცნიერო– ტექნიკური დონე ვითარდება, 15% სითბოს დანაკარგები ამ დარგში ძალზე მაღალია. აქედან გამომდინარე, ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემები ქ. თბილისში არაეფექტურია (ეკოლოგიაზე უკვე არაფერს ვამბობთ) და აქცენტი ინდივიდუალურ სითბოს წყაროების გამოყენებაზე უნდა იქნას აღებული. გერმანიაში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში დამუშავებულია და აწარმოებენ გამთბობ ქვაბებს (ბინის ტიპის), რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი აღწევს 95–96%–ს, გამორიცხულია თბოქსელებში სითბოს და წყლის დანაკარგები, ვინაიდან ამ სისტემებს არ ესაჭიროება თბოქსელები. ე. ი. ინდივიდუალურ გათბობის სისტემაში სითბოს დანაკარგები 4–5% ანუ 3–ჯერ ნაკლებია, ვიდრე ცენტრალიზებულ სისტემაში. გარდა ამისა, ცენტრალიზებული სითბოს წყაროებს ათასი კალორიის გამომუშავება–ტრანსპორტირებაზე ესაჭიროებათ 35–36კგ ლითონი. ეს მაშინ, როდესაც ეს ციფრი ინდივიდუალურ თბომომარაგების სისტემებისათვის 7–12 კგ–ს, ე. ი. 5–6 –ჯერ ნაკლებს შეადგენს.

რაც შეეხება წვის პროცესს: ტოქსიკური მომწამვლელი აირები–აზოტის ჟანგეულები იქმნება წვის პროცესის 1500°C და მეტ პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა ცენტრალიზებული თბომომარაგების სისტემების დროს. ინდივიდუალურ სითბოს წყაროებში ასეთი მომწამვლელი აირების გამოყოფა თითქმის გამორიცხულია, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ საცეცხლური და წვა მიმდინარეობს იქ, სადაც განლაგებულია ხურების ფართი, ცივ ზონაში. აქ კი ნამწვი აირების ტემპერატურა 1400°C ვერ აღწევს. მიმდინარეობს სითბოს სწრაფი ართმევა ხურების სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტექნიკის უმაღლეს დონეზე დამზადებული და ექსპლუატაციაში გაშვებული ინდივიდუალური სითბოს წყარო ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მკვეთრად უკეთესია ცენტრალიზებულ სითბოს წყაროებთან შედარებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა ფასები ენერგომატარებლებზე, რამაც იძულებით შეაწყვეტინა გაზმომარაგება ქალაქს და მათ შორის– სითბოს წყაროებს.

მთავრობაში დაიწყო მსჯელობა ქ. თბილისის მოსახლეობის თბომომარაგების განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებზე. მოწვეული იქნენ სპეციალისტები გერმანიიდან, ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან. დაისახა შემდეგი გეგმა:

– ქალაქში უნდა აშენდეს 400 მგვ. სიმძლავრის 4 თეცი;
– აღდგენილ იქნას ნაწილობრივ ამორტიზებული ცენტრალურ სითბოს წყაროები;
– განვითარდეს თერმული წყლების გამოყენება;
– დაინერგოს ჰელიო სისტემები

და ა. შ.

ეს გეგმა უფრო ლოზუნგს ჰგავდა, ვინაიდან არ იყო დამუშავებული ტექნიკური დასაბუთება, კონკრეტიზებული თერმული წყლების დებეტი, ჰელიო სისტემების მაქსიმალური თბური წარმადობა, საჭირო ფინანსები და სხვ.

ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია ცენტრალიზებული სითბოს წყაროების აღდგენა. დღეისათვის ამის გაკეთება უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

ჩვენი აზრით ქალაქში თბომომარაგების განვითარების ძირითად მიმართულებად უნდა იქცეს ინდივიდუალური წყაროების გამოყენება. ინდივიდუალურმა ქვაბებმა უნდა იმუშაოს სხვადასხვა სახის საწვავზე და ენერგიაზე. ასეთი ტიპის გამთბობმა სისტემებმა უნდა დააკმაყოფილონ ქალაქის მოსახლეობის 50–55%; მოსახლეობის 35–38% დაკმაყოფილებული იქნება თეც–ების ტურბინებიდან დამუშავებული ორთქლით. ის წნევით (10–15ატმ.), სარდაფებში დამონტაჟებული ბოილერების მეშვეობით, მიეწოდება საცხოვრებელ სახლებს. მობინადრეები მიიღებენ გათბობას და ცხელ წყალს. სითბოს ტრანსპორტირება თეც–იდან საცხოვრებელ სახლებამდე უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორთქლით, რაც თავიდან აგვაცილებს ქალაქში მიწის გათხრითი უზარმაზარი ღირებულების სამუშაოს (ნიუ–იორკში ცენტრალურ ნაწილში სწორედ ამ მეთოდით მიმდინარეობს თბომომარაგება. აქ ორთქლის მილების დიამეტრი 50–76 მმ არ აღემატება. ჭაში ჩასული 2 ხელოსანი მთლიანად ლიკვიდაციას უწევს ორთქლის ჟონვებს).

ამასთანავე, უნდა დაჩქარდეს აღნიშნული 4 თეც–ის მშენებლობა, რაც თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობას ელექტროენერგიით.

მოსახლეობის 4–7% უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჰელიო სისტემებით.

მოსახლეობის 3–5% შესაძლებელია დაკმაყოფილდეს თერმული წყლებით, ხოლო 1–3%–ს დარჩება არასტანდარტული გამათბობელი ღუმელები, რომლებიც მუშაობენ შეშაზე, დიზელის საწვავზე, ელექტროენერგიაზე და სხვ. ქალაქის იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ამოქმედდება ინდივიდუალური ქვაბები, მოსახლეობას უნდა გაეწიოს დახმარება შეშის, დიზელის საწვავისა და სხვა სახის სათბობის შეძენაში.

როგორი უნდა იყოს ინდივიდუალური სითბოს წყარო:

- უბრალო ექსპლუატაციაში;
- მარტივი კონსტრუქციისა;
- იაფი;
- მაღალი ეფექტიანობის;
- ეკოლოგიურად სუფთა.

დღეისთვის, როდესაც მოსახლეობას ძალზედ უჭირს, ზოგმა წამოიწყო ბიზნესი–უცხოური წარმოების გამთბობი ქვაბების რეალიზაცია. მაგრამ მოსახლეობამ ქვაბების სიძვირის გამო ვერ აიტაცა ეს ღონისძიება. ამასთან, ამ ქვაბების ექსპლუატაციაში შექმნილია რიგი სიძნელეები, ე.ი. ქვაბები მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ საჭირო მოთხოვნებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას სამამულო წარმოების მცირე გაბარიტების, სხვადასხვა სახის საწვავზე მომუშავე გამათბობელი ქვაბები, რომლებიც 2–2,5–ჯერ იაფი იქნება სხვა ქვეყნის ქვაბებზე. საქართველოს გააჩნია მეცნიერული და პრაქტიკული უნარი არანაკლები ეფექტის მქონე ქვაბების დამუშავებისა. შესაძლოა ერთი წლის მანძილზე დამზადდეს და დამონტაჟდეს 10–12 ათასი ასეთი ქვაბი.

აქედან გამომდინარე, უკვე დღეისათვის საჭიროა ინტენსიური მუშაობის დაწყება სამამულო წარმოების ქვაბების დამზადებისათვის. ამ საქმეს არ დასჭირდება დიდი კაპიტალდაბანდებები. ჩვენი გაანგარიშებით, ერთი ქვაბის ღირებულება დაახლოებით 900–1000 ლარი იქნება. უნდა ამოქმედდეს ბინის ტიპის და სხვა წარმადობის ქვაბების დამზადების საწარმო.

შესაძლოა მობინადრეების მიერ საჭირო საფასურის გადახდა მოხდეს განვადებით. უნდა ვიფიქროთ სხვა სახის შეღავათების შეთავაზებაზეც.

***AVTANDIL KERVALISHVILI - vice-chairman of EFG commission for construction and communal service***

## PROPOSALS FOR SUPPLY OF TBILISI WITH HEAT

## *(annotation)*

The article considers the prerequisites of the grave situation arisen in the city heating system; the way-out of crisis are proposed using the various sources, including non-traditional ones.



*ვლასი ბოგლიძე* – სტუ-ს საავტომობილო გზების კათედრის გამგე ტ.მ.დ., პროფესორი

# ზოგიერთი მოსაზრებანი თბილისის გზებისა და ქუჩების ქსელის აღდგენა-სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

90–იანი წლების ცნობილი სიცოალურ–პოლიტიკური მოვლენების შედეგად თბილისის მშენებლობისა და კეთილმოწყობის უწყებებმა, მათ შორის საგზაო მეურნეობამ, ძირეული ცვლილებები განიცადა. თუ არ ჩავთვლით ეპიზოდურ დადებით მომენტებს, დღევანდელი ვითარების მიხედვით ამ მიმართულებით შექმნილია არასახარბიელო მდგომარეობა და მომავლის პერსპექტივებიც ბუნდოვანია.

საგზაო მეურნეობა, არასაკმარისი დაფინანსების გამო, მიუხედავათ მისი კოლექტივის დაუზარელი მზადყოფნის და ტექნიკური შესაძლებლობისა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი (15%–მდე) გამოიყენება ყოველწლიურად, ჯერჯერობით მომავლის იმედებით სულდგმულობს. ცნობილი მოვლენების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა საგზაო მეურნეობის ტექნიკური ბაზა, გართულდა მისი საგზაო–საშენი მასალებით, მანქანა–მექანიზმებით, სათადარიგო ნაწილებითა და ენერგორესურსებით მომარაგება. არასაკმარისი შრომითი ანაზღაურების შედეგად გაძნელდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით დაკომპლექსებული შრომითი კოლექტივების შექმნა–დამაგრება. გასაუმჯობესებულია გზების და ქუჩების ქსელის დაპროექტების, მშენებლობის და მოვლა–შენახვის (ექსპლუატაციის) საქმიანობის საკანონმდებლო–სამართლებლივი და ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფის საკითხი, თბილისის ტერიტორიისათვის დამახასიათებელი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ამ პირობებიდან აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები: თბილისის განაშენიანების პერსპექტიულ გეგმაში საგზაო და ქუჩების ქსელის არასრულფასოვნად გათვალისწინების გამო ქალაქის ზოგიერთ ადგილებში შექმნილია ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობისთვის მეტად დამამძიმებელი საგზაო პირობები. ამას ართულებს ის გარემოება, რომ დღეს თბილისში საავტომობილო პარკის და შესაბამისად, ქუჩებში მოძრაობის და ინტენსიურობის ზრდა დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს, რაც კიდევ უფრო აუარესებს სავალი ნაწილის საფარების ისედაც შემცირებულ სატრანსპორტო–საექსპლუატაციო მაჩვენებლებს და ამოკლებს მათ სასამსახურო ვადებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიწისქვეშა კომუნიკაციები სავალალო მდგომარეობაშია, „აქილევსის ქუსლადაა“ გადაქცეული და ისედაც გართულებულ თბილისის ჰიდროგეოლოგიურ პირობებში, მიწისქვეშა წყლებით შესუსტებული გრუნტის საფუძვლები მკვეთრად ამცირებენ საკმაოდ დაშლილი და სავალი ნაწილის საფარების სიმტკიცეს. ეს განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა ქალაქის განაპირა რაიონებში. მეტად უარყოფით ფაქტორად უნდა ჩავთვალოთ ისიც, რომ ათეული წლების განმავლობაში ასფალტბეტონის დასამზადებლად, სათანადო კარიერების უქონლობის გამო, გამოიყენებოდა დაბალი ხარისხის ფხვიერი ქვის მასალა და უმნიშვნელო რაოდენობით მინერალური ფხვნილი, რომელიც ერთ–ერთი ძირითადი კომპონენტია ასფალტბეტონისათვის. ყველაზე უფრო უარყოფითად წარმოგვიდგება ის ფაქტი, რომ დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქალაქის საგზაო მეურნეობის, როგორც ერთიანი მექანიზმის, ეფექტური მართვისა და წარმოების ორგანიზაციული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა ერთიანი დამკვეთი იურიდიული სუბიექტი გზისა და ქუჩების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში საქმიანობის შედეგიანი წარმართვისათვის. აქედან გამომდინარე, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, უახლოესი 2–3 წლის განმავლობაში უნდა გატარდეს კომპლექსური ფინანსური, ორგანიზაციული და საინჟინრო–ტექნიკური ღონისძიებანი, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი კონცეპტუალური მოსაზრებანი:

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მთავარი მაგისტრალური გზა და ქუჩები ქალაქის „სასიცოცხლო არტერიების“ როლს ასრულებენ, პირველ ეტაპზე საჭიროა სასწრაფოდ შედგეს მათი აღდგენისა და სრულყოფის გეგმები უახლოესი 2–3 წლის (1998–200 წლების) პერიოდში განსახორციელებლად. მიზანშეწონილია ამისათვის შეიქმნას სპეციალური კომისია სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისაგან. კომისიის შექმნა, გეგმების განხილვა–დამტკიცება და შესრულების კონტროლი უნდა მოხდეს სამთავრობო დონეზე.

მეორე ეტაპზე დამუშავებული უნდა იქნეს თბილისის გზებისა და ქუჩების ერთიანი ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმა. თბილისის განაშენიანების, ინფრასტრუქტურის სრულყოფის პერსპექტიული გეგმებში ფართოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული სატრანსპორტო კვანძების მოწყობა სხვადასხვა დონეზე, ესტაკადებისა და გვირაბების მოწყობა მთაგორიანი რელიეფის თავისებურების გამოყენებით. პერსპექტიულ გეგმებში გათვალისწინებული უნდა იქნას ელექტროტრანსპორტის ფართოდ გამოყენება თბილისის პირობებში, განსაკუთრებით ცენტრალურ რაიონებში და მოსაზღვრე (მცხეთა, რუსთავი) დასახლებასთან დასაკავშირებლად.

სოციალურ–ეკონომიკური და ქვეყნისთვის სხვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორების ამოქმედებასთან დაკავშირებით, ტრანსპორტს მიენიჭება ერთ–ერთი პრიორიტეტული დარგის როლი. აქედან გამომდინარე,

საჭიროა ამ პრობლემის საქმიანად გააზრება ყველა დონის სამთავრობო ინსტანციებში. ამასთან დაკავშირებით შესამუშავებელი და გასატარებელია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი თბილისის გზებისა და ქუჩების აღდგენა-სრულყოფის საქმიანობის სრულფასოვნად დაფინანსებისათვის როგორც ტრადიციული საბიუჯეტო თანხებისა და გადასახადების გამოყენებით, ისე არატრადიციული წყაროებიდან; საჭიროა ზემდგომი ინსტანციების საქმიანი მხარდაჭერა და ხელშეწყობა როგორც შიგა სახელმწიფოებრივი რეზერვებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან მიღებული სახსრების გაზიარებაში ქალაქის საგზაო უწყებისათვის.

ახალი საგზაო პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით გადასახედი და გასაანალიზებელია ქალაქის საგზაო დარგის – საგზაო მეურნეობის ერთიანი პოლიტიკით ფუნქციონირების მართვის მექანიზმი, ერთიანი დამკვეთის გამოყოფით, გზებისა და ქუჩების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციისადმი დიფერენცირებულად მიდგომისა და საქმიანობის ეფექტურად წარმართვის თვალსაზრისით. ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული გზებთან და ქუჩებთან დაკავშირებული თბილისის სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მათი საქმიანობით გამოწვეული მიზეზებით სავალი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში. პირველ რიგში ეს შეეხება იმ უწყებებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მიწისქვეშა კომუნიკაციებთან და რომელთა მიზეზითაც ხდება ტრანსპორტის საანგარიშოზე მეტი კონცენტრაცია ქუჩების ზოგიერთ უბანზე.

ვინაიდან საგზაო დარგის ეფექტური ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ტექნიკური პოლიტიკის სრულყოფაზე, ამ მიმართულებით საჭიროა მთელი რიგი ქმედითი ღონისძიებების გატარება, როგორც სათანადო სპეციალისტების ფართოდ ჩართვით ამ საქმეში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე სათანადო ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით უზრუნველყოფის ხაზით.

ვინაიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს გამოცემული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი და მითუმეტეს, არც ახლაა მისაღები, თბილისისათვის ახალი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა გადაუდებელი ამოცანაა. ეს განპირობებულია ადგილობრივი პირობების შემდეგი სპეციფიკით: საგზაო მშენებლობაში დაბალი ხარისხის ქვის მასალის მასიურად გამოყენების ტრადიციით, მინერალური ფხვნილის გარეშე ასფალტბეტონის დამზადებით, მთაგორიან რელიეფზე ცვეთაგამძლე და ძვრისადმი მდგრადი ასფალტბეტონის ფენილების შექმნის აუცილებლობით, მიწისქვეშა წყლებისაგან დატენიანებული გრუნტის საფარების საფუძვლად გამოყენების ფართო პრაქტიკითა და ყველა ამ ფაქტორების ზემოქმედების გამო საგზაო სამოსელების (საფარების) ანგარიშის მეთოდის მოდერნიზაციის საჭიროებით.

ყველა ეს პრობლემური საკითხები სპეციალისტების განსჯისა და გადაწყვეტის საგანია, რაც სათანადო პირობებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გზების დაზიანებული სავალი ნაწილის საფარებისა და ტრანსპორტის მოძრაობის ცუდი ორგანიზაცია, რაც თბილისში არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, უარყოფითად მოქმედებენ ეკოლოგიურ ფაქტორებზე.

ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისში საგზაო დარგის ხაზით დაგროვილია ისეთი ტექნიკური სიახლეები, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკის გამოყენების პირობებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნიკური ეფექტურობის მოცემა შეუძლია. ასეთებია: ცივი ბიტუმ-მინერალური ნარევების ეფექტური გამოყენება გზებისა და ქუჩების სარემონტო სამუშაოებში, ნახევრად ხისტი ფენილების გამოყენება ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის ქანობებიან უბნებზე, ძველი ასფალტბეტონის ხელმეორედ გამოყენების (რეგენერაციის) სხვადასხვა ახალი მეთოდები, ასფალტბეტონის დამზადების ეკოლოგიურად სუფთა მეთოდი, საგზაო-საფარებისა და სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლების განსაზღვრის რაციონალური მეთოდები და სხვ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა უახლოეს პერიოდში შეიქმნას რაციონალური ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განაპირობებს თბილისში საგზაო დარგში ახალი ტექნიკური პოლიტიკის წარმატებით გატარებას.



*VLASI GOGLIDZE - head of roads department of Georgian Technical University, Doctor in Engineering, professor*

# SOME OBSERVATIONS ON RESTORATION AND IMPROVEMENT OF TBILISI ROADS AND STREETS

## *(annotation)*

The article considers situation arisen in Tbilisi roads and streets network; the problems of rehabilitation of road industry are described; proposals for legislative and institutional perfection and technical supply.

*კონსტანტინე მჭედლიშვილი* – სეფ-ის ტრანსპორტის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი

# თბილისის სატრანსპორტო პრობლემები

ჩვენს ქალაქს მრავალი პრობლემა გააჩნია, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავეა ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ყველა ცივილიზებული ქვეყნის მსგავსად, თბილისშიც გვხვდება ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობანი: რელსიანი, ურელსო, კიდული, სამდინაროც კი, მაგრამ მგზავრებისა და ტვირთების მასიური გადაადგილებისათვის თბილისში ძირითადად იყენებენ საავტომობილო ტრანსპორტს, ტრამვაის, ტროლეიბუსსა და მეტროპოლიტენს. ყველა ეს სახეობა შეადგენს ქალაქის ერთიან სატრანსპორტო კომპლექსს და მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ჯანსაღი კონკურენციის საფუძველზე, მგზავრობისა და ტვირთის მფლობელებისათვის უნდა ქმნიდნენ უსაფრთხო, ეკონომიურ და კომფორტულ პირობებში ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში გადაადგილების ოპტიმალურ პირობებს. როგორც ცნობილია, თბილისი უკვე უდიდეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთნება, რომელშიც მცხოვრებთა რაოდენობა აჭარბებს 1.250000-ს. სამწუხაროდ ბოლო 70 წლის განმავლობაში ქალაქის მშენებლობაში დაშვებული იქნა უხეში შეცდომები, რომელთა ნაწილის გამოსწორება მხოლოდ კეთილ ნებას მოითხოვს, ხოლო გაცილებით დიდი ნაწილის გამოსწორება კი ძალიან დიდ ფინანსურ საშუალებებს, რომელთა გამონახვა შეუძლებელია უახლოეს პერიოდში.

როგორც ცნობილია, ქალაქის სატრანსპორტო პროცესი ეყრდნობა ქალაქის სატრანსპორტო ინფასტრუქტურასა და მოძრავ შემადგენლობას. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ორივე მოითხოვს მნიშვნელოვან სრულყოფას და ორგანიზაციულ დახვეწას. თავად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: მაგისტრალური (საქალაქო), რაიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და ქუჩები; ტრამვაისა და ტროლეიბუსის, საჰაერო და მიწის ზედაპირზე მყოფი კომუნიკაციები, მეტროპოლიტენის გვირაბები; სადგურები – შესაბამისი განათების, განიავების, წყლის აცილების და სხვა ძირითადი და სარეზერვო სისტემებით. აქვე უნდა აღინიშნოს ელექტრული ტრანსპორტის წევის ქვესადგურები, ფარეხები, სარემონტო სახელოსნოები და ა.შ. ამის გარდა წითელი ზოლის ფარგლებში მდებარე ისეთი ობიექტები, როგორიცაა: ავტობუსებისა და ტრამვაი-ტროლეიბუსების მარშრუტების თავში და ბოლოში მოწყობილი გასაჩერებელი სპეციალური მოედნები, საწვავ-საცხები მასალებით გასამართი სადგურები, საგზაო ნიშნები, მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები, განათების მოწყობილობები. არ არის სპეციალისტის თვალი საჭირო, რომ ამ ჩამონათვალმა დაგვანახოს პრობლემების მთელი სიმძაფრე. თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიდან პრაქტიკულად არცერთი არ აკმაყოფილებს თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებულ მოთხოვნებს.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში აშენებული ყველა ობიექტი მორალურად უკვე მაშინ იყო 20-25 წლით მოძველებული, დღეს კი კარგახანია ფიზიკურად გაცვეთილია და ხშირ შემთხვევებში აღდგენას არ ექვემდებარება. ბოლო ხანებში შექმნილი ინფრასტრუქტურის ახალი ელემენტები, კერძოდ საწვავით ავტომობილების გასამართი სადგურები და ფასიანი ავტოსადგომები აშენებულია მოქმედი ნორმატივების უხეში დარღვევით და არ შეესაბამება ელემენტარული ლოგიკის მოთხოვნებს.

თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისათვის ყველაზე მტკივნეულია საგზაო სამოსის კატასტროფული მდგომარეობა. ცივილიზებული ქვეყნების ნორმატივები მოითხოვს საგზაო სამოსის ისეთ სისწორეს და ხორკლიანობას, რომელთა დასაშვები ნორმიდან გადახრა მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოებით შეიძლება დაფიქსირდეს. ჩვენი ქალაქის ქუჩები და მოედნები თავის ამონაბორცვებით, ორმოებით, ამოყრილი ან ზედაპირამდე ჩაფლული ბორდიურებით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი კი გახლავთ წლების განმავლობაში საგზაო სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების ტრადიციულად ქრონიკული არასაკმარისი დაფინანსება, რაც კომუნისტური მართველობის პერიოდში შეადგენდა საჭიროების 25-40%, ახლა 5-10%-ს არ აღემატება.

ამასთან ერთად, სამშენებლო მასალების და თვით სამშენებლო პროცესების ტექნოლოგიების ტრადიციული დარღვევები, მიწისქვეშა კომუნიკაციების კატასტროფული მდგომარეობა, განსაკუთრებით ბოლო 10 წელიწადში წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელების, სადრენაჟო სისტემების მწყობრიდან გამოსვლა, მიუხედავად გაწეული დანახარჯებისა, შეუძლებელს ხდის ქუჩების სავალი ნაწილების კეთილმოწყობას.

საგზაო სამოსის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია ის ეყრდნობოდეს სასურველ შემადგენლობის და ტენიანობის გრუნტის საფუძველს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ნორმალური საგზაო სამოსის შექმნა და შენარჩუნება.

თბილისის საგზაო სამოსების საფუძველი – გრუნტის ფენა სავალალო მდგომარეობაშია, რაც გამოწვეულია ბუნებრივი გეოლოგიური პირობების სირთულით, ათეულობით წლების განმავლობაში სათანადო სამსახურების არაკვალიფიციური მოქმედებით. ამ პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია მიწისქვეშა კომუნიკაციების ანაკრებ ან მონოლითურ რკინაბეტონის კაპიტალურ კოლექტორებში მოთავსება, რაც



ერთდროულად მოაგვარებს მრავალ პრობლემას: უზრუნველყოფილი იქნება კომუნიკაციების ექსპლუატაციის საუკეთესო პირობები; მნიშვნელოვნად გაიზრდება სამსახურის ვადა; შემცირდება მოვლა-შენახვის ხარჯები, აღარ იქნება საჭირო ქუჩების ხშირი გადათხრა და მათ მოსაპირკეთებლად დამატებითი სამუშაოების შესრულება.

იქ, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციების რაოდენობა მცირეა და ეკონომიკურად მიზანშეუწონელია მათი საერთო კოლექტორში მოთავსება (მაგ. ცალკეული საკაბელო და სატელეფონო ხაზები), უკეთესია მათ ზემოთ – გზის ან ტროტუარების ზედაპირზე მოეწყოს ქვაფენილი თანაბრად გათლილი გრანიტის ქვებისაგან, რომელთა მოხსნა და შემდეგ ისევ დალაგება, საჭიროების შემთხვევაში, ასფალტბეტონის ზედაპირის დანგრევასა და შეკეთებაზე ბევრად იაფია.

უდიდესი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს როგორც საგზაო სამოსის საფუძველი გრუნტების, ასევე საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების საძირკვლების სიახლოვეს მიწისქვეშა წყლების დრენირება.

ხაზგასმით ვამტკიცებთ, სადრენაჟო და საკანალიზაციო ხაზების გამართვის გარეშე, საგზაო სამოსებისა თუ შენობა-ნაგებობების კედლების გასამაგრებლად დახარჯული თანხები წყალშია გადაყრილი.

ათეული წლების განმავლობაში საფუძველი გრუნტის არასაკმარისი სიმტკიცის კომპენსირებას ახდენდნენ საგზაო სამოსზე ასფალტბეტონის ახალ-ახალი ფენების დამატებით, რამაც სასურველი შედეგი ვერ მოგვიტანა. უფრო უარესი, დაირღვა მაგისტრალური ქუჩებისა და მიმდინარე ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარების ძირითადი პარამეტრები. კერძოდ, ქუჩისპირა შენობების სადარბაზოებს შესასვლელთა დონე აღმოჩნდა ქუჩის სავალი ნაწილის და ტროტუარების დონეზე უფრო დაბლა.

დღეს თბილისის გზებისა და ქუჩების ზედაპირების სისქე რამდენჯერმე აჭარბებს საჭირო სიდიდეს, ხოლო დავით აღმაშენებლის და რუსთაველის გამზირებზე და მათ მიმდებარე მონაკვეთებზე სისქე 50-60 სმ-ს აღწევს.

აუცილებელია ასფალტბეტონის ეს უზარმაზარი მასა მოიხსნას, აღდგეს პირვანდელი სახით არსებული ვერტიკალური დაგეგმარება, გრუნტების საფუძვლის სათანადო მომზადების შემდეგ (მის ქვეშ არსებული კომუნიკაციების კოლექტორებში განლაგება, სადრენაჟო და სანიაღვრე სისტემის აღდგენა-მოწესრიგება და ა.შ.) დაიწყოს საგზაო სამოსების კაპიტალური რემონტი.

მოხსნილი ასფალტბეტონი, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს რამოდენიმე მლნ. კუბურ მეტრს, უნდა გადამუშავდეს სპეციალურ სარეგენერაციო დანადგარებში. რეგენერაციის ორიგინალური ტექნოლოგია, შესაბამისი დანადგარები, როგორც სტაციონარული – ასევე მოძრავი, უკვე ორი ათეული წელია შექმნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო გზების კათედრაზე, მაგრამ მისი ფართოდ დანერგვა ვერ მოხერხდა.

ასფალტბეტონის ამ მასის ხელმეორედ გამოყენება ეკონომიკურად და ეკოლოგიურად ძალზედ მნიშვნელოვანია. აღარ გახდება საჭირო ყოველდღიურად ქალაქის ორივე მხარეს განლაგებულ ასფალტბეტონის ქარხნებში ეშელონებით ქვიშის, ღორღის და ბიტუმის შემოტანა. გარდა ამისა, სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, შეიძლება თანამედროვე დასავლური წარმოების დანადგარების შემოტანა, რომლებიც ქუჩების უსწორ-მასწორო ზედაპირს მოფხეკენ და ასფალტბეტონის გადამუშავებულ მასით იქვე აღადგენენ გზის სავალ ნაწილს. მაგრამ ეს დანადგარები გამოიყენება მხოლოდ იქ, სადაც საგზაო სამოსი დეფორმირებულია ნორმალური საექსპლუატაციო პირობების შედეგად, ეს კი ჩვენს ქალაქში შედარებით იშვიათია.

საგზაო სამოსების კაპიტალურად აღდგენისათვის აუცილებელია მისი ყველა ფენის განახლება, გრუნტის საფუძვლის ჩათვლით. ზედმეტი ასფალტბეტონის მასა კი ქალაქის მუნიციპალიტეტმა შეიძლება მიჰყიდოს საგზაო დეპარტამენტს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ამ უზარმაზარი სამუშაოების ჩატარება ერთდროულად შეუძლებელია, მაგრამ უნდა მოხდეს გზებისა და ქუჩების თანამიმდევრული რეკონსტრუქცია მათი მნიშვნელობის მიხედვით. ხაზგასმით აღვნიშნავთ: რეკონსტრუქცია უნდა მოხდეს კომპლექსურად და არა მხოლოდ მწყობრიდან გამოსული ზედაპირის კოსმეტიკური მოპირკეთებით.

ამ სამუშაოებისათვის აუცილებელია ათეული მილიონობით სახსრების გამოყოფა, რომელთა მოპოვება ძნელია, მაგრამ არაა შეუძლებელი, თუ ქალაქის მუნიციპალიტეტი გამოიჩენს სურვილს და შეძლებს ამ პრობლემის ორგანიზაციულად მოწესრიგებას. ჩვენი აზრით, მუნიციპალიტეტთან უნდა შეიქმნას სანტრანსპორტო ინფასტრუქტურის დაფინანსების ფონდი, რომლის შევსების შესაძლო წყაროები შეიძლება იყოს:

– ქალაქში რეალიზებული საწვავი – საპოხი მასალების, საბურავებისა და ა.შ. რეალიზებული ღირებულების არა ნაკლები 10-15%;

–ქალაქში განლაგებული საწვავით გასამართ სადგურებსა და ავტოსადგომებზე დიფერენცირებული გადასახადების შემოღება, დაკავებული ფართობისა და მდებარეობის მიხედვით;

– ქალაქში ავტოსადგომებზე დგომის ღირებულების ცვლილება ცენტრალურ ადგილებში გადასახადის გაზრდით;

– ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოთა შემოსავლების დაბეგვრა 3-4%-ის ფარგლებში, ამოღებული თანხების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფონდში მიზნობრივი გამოყენებით; ქალაქის



Friedrich-Ebert-Stiftung Bibliothek

ავტოპარკისაგან მიღებული სავალდებულო-სადაზღვევო გადასახადების გაზრდა და მიღებული ამონაგების ასევე მიზნობრივი გამოყენება;

– გზებისა და ქუჩების ტერიტორიაზე წითელ ზოლში არსებული ობიექტების, აგრეთვე სარეკლამო საშუალებებზე საარენდო და საიჯარო გადასახადების გაზრდა.

ამ მოსაზრებათა მოწინააღმდეგეებს უნდა შევახსენოთ, რომ ქალაქში არსებული ყველა საწარმოს მიერ შექმნილ პროდუქციაში, ყოველი იურიდიული და ფიზიკური პირის საქმიანობაში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სატრანსპორტო ხარჯები.

ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შედეგად-კი მათ მიერ გაწეული სატრანსპორტო ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც საბოლოო ჯამში საგრძნობლად გადააჭარბებს მათ მიერ გაღებულ თანხას. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მოპოვებული საზღვარგარეთული კრედიტების ნაწილი, ამ შემთხვევაშიც თანხების ამოღება გარანტირებულია.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეტად მტკივნეულ პრობლემად იქცა საწვავით გასამართი სადგურების რაოდენობა და განლაგება. მათ შორის მანძილი და მათი დაშორება საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტებიდან არ აკმაყოფილებს არავითარ ნორმატივებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ საწვავით და საცხები მასალებით გასამართი სადგურები წარმოადგენენ მომეტებული ხიფათის ობიექტებს, რომელთა რაოდენობა, განლაგება და მუშაობის მეთოდები მკაცრად უნდა იყოს რეგლამენტირებული და ამ ობიექტების შეუზღუდავი რაოდენობით უსისტემო განლაგება დაუშვებელია.

მოქმედი ნორმატივები მოითხოვენ, რომ საწვავის გამწყობ ერთ სვეტზე მოდიოდეს ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოპარკის არანაკლებ ათასი ერთეულისა. ამასთანავე, ამ სადგურების დაცილება სხვადასხვა ტიპის ნაგებობებიდან უნდა იყოს 50–75 მეტრი. მათთან მისასვლელები უნდა იყოს მოწყობილი ავტომობილების დასამუხრუჭებელი და გასაქანებელი ზოლების სახით იმისათვის, რომ მძღოლებმა უხიფათოთ და თავისუფლად შეასრულონ გამოსვლისა და შესვლის მანევრები. ასეთი მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ ქალაქში რეგისტრირებული 140000-მდე ავტომობილს, აგრეთვე ქალაქში შემოსულ ავტომობილების რაოდენობას, საწვავით გასაწყობი 150–170 სვეტი სრულიად საკმარისია. ეს კი ნიშნავს დაახლოებით 40–50 გასაწყობ სადგურს, განლაგებულს ნორმატივების სრული დაცვით.

დღეს ქალაქში არსებული სადგურების რაოდენობა დაახლოებით 7-ჯერ აჭარბებს საჭირო რიცხვს, ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაზრდილია ხანძრის, აფეთქების საშიშროება, უხერხულ პირობებში ჩატარებულ მანევრებისაგან საგზაო-სატრანსპორტო ავარიული შემთხვევების შესაძლებლობა.

ჩვენი გაანგარიშებით, ის ფულადი და მატერიალური დანახარჯები, რომლებიც ჩაიდო ქალაქისთვის სრულიად არასაჭირო და ასეთი მავნე ობიექტების მშენებლობაში, შეადგენენ დაახლოებით 12–15 მლნ. დოლარს.

ასეთი მდგომარეობა ჩვენი ეკონომიკური განათლების დაბალ დონესა და მუნიციპალიტეტის მარკეტინგულ სამსახურების სრულ უსუსურობაზე მეტყველებს.

ყოველივე ამის შედეგად პოტენციურ ინვესტორთა 80–90% უარს ამბობს ჩვენთან თანამშრომლობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი ნაწილი ცდილობს საქმის გამოსწორებას. კერძოდ, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს ავტოსატრანსპორტო სისტემის ყველა შემადგენელი რგოლის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. ამისათვის შექმნილია სახაზინო-სასერთიფიკაციო საწარმო, რომელიც სათანადო მუშაობის შემთხვევაში შეძლებს აღკვეთოს სხვადასხვა მახინჯი ფაქტები.

ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ზოგიერთი წარმომადგენელი სერთიფიცირებისა და ლიცენზირების სისტემის მოწესრიგების მაგიერ აცხადებს, რომ ეს საქმიანობა ზედმეტია და მას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. მაშინ, როდესაც ავტოსატრანსპორტო პროცესში მონაწილე ყველა რგოლი, განსაკუთრებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი, უნდა აღიჭურვოს სათანადო სერთიფიკატით, რომელიც დაადასტურებს მათ შესაბამისობას ნორმატივების მოთხოვნებთან. სერთიფიცირებული ობიექტების მფლობელებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ტენდერში, სადაც გასაცემი ლიცენზიების რაოდენობა მკაცრად იქნება რეგლამენტირებული ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

არასერთიფიცირებული ობიექტები, გარკვეული ვადის განმავლობაში, შეიცვლიან მუშაობის პროფილს. წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტი დაიხურება, ხოლო მისი მეპატრონე, გარკვეული ფორმით, მიიღებს კომპენსაციას.

ლიცენზიის გარეშე დარჩენილებს შეეძლებათ მომავალი სალიცენზიო პერიოდისათვის უკეთ მომზადება, ან პროფილის შეცვლა.

საქალაქო ტრანსპორტის ასევე მეტად მტკივნეული პრობლემაა სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობა და მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ სამგზავრო ტრანსპორტის სახეობის შერჩევა დამოკიდებულია 1სთ-ში ერთი მიმართულებით გადასაყვანი მგზავრების რაოდენობაზე.

თუ მგზავრთა ნაკადი არ აღემატება 500 ადამიანს საათში, მაშინ მათი დაკმაყოფილება შეიძლება მსუბუქი ტაქსებით. თუ მგზავრთა ნაკადი მეტია, მიზანშეწონილია მიკროავტობუსების, ე.წ. სამარშრუტო



ტაქსების გამოყენება. ორი-სამი ათასიდან ხუთი-შვიდი ათასამდე სასურველია გამოვიყენოთ მცირე და საშუალო ტევადობის ავტობუსები. ამის შემდეგ უკვე იწყება დიდი ტევადობის ავტობუსების გამოყენების სფერო. ხოლო 10-დან 20-ათასის ფარგლებში ჯერ ჩვეულებრივი, შემდეგ-კი ჩქაროსნული ტრამვაი არის მიზანშეწონილი.

20 ათასზე მეტი მგზავრთა ნაკადისათვის საჭირო ხდება მეტროპოლიტენის, ხოლო 50ათასზე ზემოთ – ელექტრო მატარებლების გამოყენება.

თბილისში მგზავრთა ნაკადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსუბუქ ტაქსებთან და მიკროავტობუსებთან ერთად საჭიროა საშუალო და დიდი ტევადობის ტროლეიბუსებისა და ავტობუსების გამოყენება. სამგზავრო ტრანსპორტის ეს სახეობანი პრაქტიკულად არ საჭიროებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დამატებით მოწყობას, ხასიათდება მაღალი მანევრულობით, უსაფრთხოებითა და კომფორტით.

მიკროავტობუსების მასიური გამოყენება, დიდი, მათთვის შეუფერებული მგზავრთა ნაკადებისათვის იწვევს ქუჩების გადატვირთვას და მოძრაობის ზოლების ჩახერგვას, მცირდება გამტარუნარიანობა, მატულობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა და უარესდება ქალაქის ეკოლოგიური მაჩვენებლები. მოსახლეობა იძულებულია ორჯერ-სამჯერ მეტი თანხა გაიღოს გაურკვეველი ტექნიკური მდგომარეობის მიკროავტობუსებით და საეჭვო კვალიფიკაციის მძღოლების თანხლებით მგზავრობაში.

ყველასათვის გასაგებია, რომ ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოსახლეობის ერთი ნაწილის საარსებო წყარო მიკროავტობუსების ექსპლუატაცია წარმოადგენს, მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის ოპტიმალური წარმართვა ნიშნავს ყველა მოქალაქის ანუ მთელი საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებას. ამიტომაც გადაუდებელ ამოცანად გვესახება ქალაქში მგზავრთა ნაკადების დაზუსტება, მათ დასაკმაყოფილებლად ავტობუსების ტიპებისა და რაოდენობის შერჩევა, მძღოლებისა და მიკროავტობუსების უმკაცრესი სერთიფიცირება.

მიკროავტობუსების ყოფილი მძღოლებისა და მფლობელების დაკმაყოფილება სრულიად შესაძლებელია, თუ ქალაქის მუნიციპალიტეტი ან მისი სტრუქტურები (მარკეტინგული სამსახური, „თბილტრანსი“) ჩამოაყალიბებენ შერეული საკუთრების მუნიციპალურ სატრანსპორტო კომპანიებს, სადაც ეს პირები მიიღებენ გაყიდული მიკროავტობუსების თანხის შესაბამის პრივილეგირებულ აქციებს. ასეტი და დამატებითი სხვა ღონისძიებების ჩატარებით ქალაქის მუნიციპალიტეტი შეძლებს შექმნას რამოდენიმე მსხვილი ავტომეურნეობა, დააკომპლექტოს ისინი უცხოური წარმოების ახალი ან ნახმარი, მაგრამ კარგ მდგომარეობაში მყოფი ავტობუსებით, რომლებიც გაცილებით იაფად, უსაფრთხოდ, კომფორტისა და ეკოლოგიის მოთხოვნების სრული დაცვით გადაიყვანენ მგზავრებს და მნიშვნელოვნად შეამსუბუქებენ ქალაქის საგზაო ქსელის დატვირთვას. ამ შემთხვევაში მოგებული იქნება საზოგადოების ყველა წევრი, გარდა იმ ჩინოვნიკებისა, რომლებიც ხელს ითბობენ მარშუტების დანიშვნითა და განაწილებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ძალზედ მნიშვნელოვანი გარემოება, რაც შეეხება სარელსო ტრანსპორტს. უდიდესი შეცდომაა ქ. თბილისის ახლადაშენებულ რაიონებში მეტროპოლიტენის ხაზების მშენებლობა. მეტროპოლიტენი სამგზავრო ტრანსპორტის ძალზე ძვირი სახეობაა და მისი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ უმსხვილესი ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში, სადაც მიწის ზედაპირზე ტრანსპორტის სხვა სახეობის განვითარების შესაძლებლობები ამოწურულია.

ეკონომიკის მოთხოვნების სრულმა უგულვებელყოფამ და წინა პლანზე მოჩვენებითი იდეოლოგიური ფასეულობების წამოწევამ გამოიწვია თბილისში მეტროს მშენებლობაზე ძვირადღირებული რესურსების ხარჯვა და განიავება. წლების განმავლობაში ნორმალური სატრანსპორტო კავშირების არქონამ ახლადაშენებულ რაიონები (გლდანი, თემქა, III მასივი, საბურთალოს განაპირა უბნები, დიდი დიღომი და სხვ.) აქცია ისინი არაპრესტიჟულ საცხოვრებელ ადგილებად და ხელი შეუწყო მოსახლეობის ქონებრივი, ეროვნული და სოციალური ნიშნით დანაწევრებას.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზემოთხსენებული საცხოვრებელი ტიპის უბნებში ყველაზე უფრო მიზანშეწონილია მგზავრთა მომსახურეობა ჩქაროსნული ტრამვაით, რომლის მშენებლობა და ექსპლუატაცია 25–30-ჯერ იაფია მეტროპოლიტენისაზე და მგზავრთა ნაკადების ათვისების მაჩვენებლით მცირედით ჩამორჩება მას. ამასთანავე, ცვლაში აშენებული ხაზის სიგრძე 100–200 მ-ია, წინააღმდეგ მეტროპოლიტენის 0,3–0,5 მეტრისა.

თბილისში ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია საზოგადოებრივი ტრანსპორტს უდიდეს ამოცანებს უყენებს. მრავალსართულიანი განაშენიანება და მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვე შეუძლებელს ხდის 150 – 175 –ზე მეტი მსუბუქი ავტომობილის ფლობას 1000 მოსახლეზე. ამის მერე მკვეთრად იზრდება ავტოსადგომებზე მოთხოვნილება და მათი საჭირო ფართობი ქალაქის ქუჩების ტერიტორიის ტოლფასი ხდება. ეს კი ჩვენი ქალაქის რთული რელიეფის პირობებში აურაცხელ სახსრებსა და გიგანტურ სამუშაო მოცულობებს მოითხოვს.

თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის მომავალი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება საშუალო და დიდი ტევადობის ავტობუსების გამოყენება, რომლებიც სეზონისა და კვირის დღეებისათვის შედგენილი განრიგით იმოძრავებენ და ყველაზე მეტს, რასაც ისინი მოსთხოვენ ქალაქის ინფრასტრუქტურას,

ესაა ცალკე სამოძრაო ზოლის გამოყოფა, რაც მეტროპოლიტენისა და ტრამვაის საჭიროებასთან შედარებით ბევრად უფრო მცირეა.

ზემოთ მოყვანილ მიმოხილვაში განხილულია თბილისის სატრანსპორტო პრობლემების მხოლოდ გარკვეული ნაწილი, მაგრამ ესეც საკმარისია პრობლემების სიმრავლის წარმოსადგენად. იმედია, რომ ქალაქის მოსახლეობა და მის მიერ არჩეული მუნიციპალიტეტი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველი რგოლი არ დაიშურებენ ძალისხმევას ამ პრობლემების დროულად და ღირსეულად გადაჭრისათვის.

*KONSTANTINE MCHEDLISHVILI - vice-chairman of EFG commission for transport, professor*

## TBILISI TRANSPORT PROBLEMS

## *(annotation)*

The article describes in details the problems of Tbilisi transport, considers the reasons of arising of them; shows the strategic directions of development of transport and road service in the city; proposes the concept for legal and institutional perfection.



***მერაბ მაჭარაშვილი*** - სეფ-ის გლობალური პრობლემების კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს TRACECA-ს საქართველოს მონაკვეთის ტერიტორიული განვითარების პროგრამის აღმასრულებელი ბიუროს დირექტორი, ტ.მ.კ.

# ევრაზიის დერეფნისა და მისი საქართველოს მონაკვეთის ტერიტორიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის მზარდმა პერსპექტივამ ევრაზიის კონტინენტის რეგიონების უმოკლესი სახმელეთო- საზღვაო გზით დაკავშირებაში შავი და კასპიის ზღვის ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივა განაპირობა.

ტრანსპორტის დარგში ინტეგრაციული პროცესების დაწყებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1993 წელს ბრიუსელში - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS-ის ეგიდით - ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRANSPORT CORRIDOR EUROPE-CAUCASUS - ASIA - TRACECA) განვითარებით დაინტერესებულ სახელმწიფოთა თათბირმა, რომელმაც დერეფანი მაშინ რუსეთ-კავკასია-თურქეთის ერთიან სივრცედ განიხილა. ამჟამად TACIS-TRACECA-ს პროგრამა უკრაინის, ამიერკავკასიის, და ცენტრალური აზიის სატრანსპორტო კომუნიკაციების შესაძლებლობათა შესწავლით შემოიფარგლა, რაც რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. ამიერკავკასია, რომელიც საბჭოთა იმპერიის განაპირა რეგიონს წარმოადგენდა, დღითი დღე აქტიურად ექცევა კონტინენტის გეოეკონომიკურ ურთიერთობათა ცენტრში.

გეოგრაფიულმა პირობებმა ოდითგანვე აქციეს კავკასია ე.წ. „დიდ აბრეშუმის გზის" შემადგენელ ნაწილად, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ხიდად, რომელმაც აფრიკის კონტინენტის მოვლით საზღვაო გზის გახსნასთან დაკავშირებით შეწყვიტა ფუნქციონირება. შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებისა და ტრანსპორტის ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის შედეგად სამხრეთ კავკასია და შავი ზღვის მიმდებარე საქართველო ამჟამად ევრაზიის კონტინენტის რეგიონთა დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, რაც განპირობებულია ხმელთაშუა, შავი და კასპიის ზღვათა აუზების, ევროპის, ცენტრალური აზიის, წინა და ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მზარდი პერსპექტივით.

ცხადია, ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმით რუსეთიც გააგრძელებს კავკასიასთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას, რაც ევრაზიის დერეფნის კავკასიის მონაკვეთის ჩრდილოეთ - სამხრეთის მიმართულებით სატრანსპორტო სისტემების მკვეთრ ინტენსიფიკაციას განაპირობებს.

სატრანსპორტო კომპლექსის განვითარება და აქედან გამომდინარე, რეგიონის სოციალური და ეკონომიკური აღორძინების პერსპექტივა ქმნის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული მშვიდობიანი კავკასიის იდეის რეალიზაციის მყარ საფუძველს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იაფი მუშახელის ზონაში წარმოებული სამრეწველო პროდუქცია და მოპოვებული ნედლეული ამჟამად სუეცის არხის გავლით (18-20 ათასი კმ,) ან აფრიკის კონტინენტის შემოვლით (30-35 ათასი კმ.) აღწევს ევროპას. აღნიშნული ტვირთნაკადი ამჟამად აქტიურად იკაფავს გზას ირანზე, ავღანეთსა და პაკისტანზე, ინდოეთზე, მალაიზიასა და ჩინეთზე გამავალ ე.წ. სინო-ინდო-ევროპულ, გეოგრაფიულად ყველაზე ხელსაყრელ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნისაკენ, რითაც მნიშვნელოვნად ამცირებს გადაზიდვის მანძილს დროსა და ხარჯებს.

საქართველოს გავლით ტვირთის ტრანსპორტირების რენტაბელობას განაპირობებს სახმელეთო-საზღვაო გზა, რომელიც ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ევროპის სახელმწიფოებთან ხელსაყრელი კავშირის შესაძლებლობას ქმნის. შავი ზღვისა პორტებიდან მდინარე დუნაით განხორციელებული საბორნე-საკონტეინერო გადაზიდვები ევროპასა და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ტვირთის ტრანსპორტირების ყველაზე იაფი ფორმაა, რაც უახლოეს პერიოდში შავი ზღის საქართველოს სანაპირო ზოლში საპორტო მეურნეობის განვითარების პერსპექტივას სახავს.

საექსპერტო შეფასების საფუძველზე 1990 წელთან შედარებით 2010 წელს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვა ორნახევარჯერ გაიზრდება და 1,6 მილიარდ ტონას მიაღწევს. ამასთან ევრაზიის კონტინენტზე მიმდინარე პროცესები უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისში განაპირობებენ ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივის მქონე აზიის ქვეყნებიდან ევროპისაკენ და პირიქით- ამიერკავკასიის გავლით, სატრანზიტო ტვირთნაკადის მნიშვნელოვან ზრდას.

ზემოაღნიშნული დღის წესრიგში აყენებს კავკასიაში ერთიანი სატრანზიტო სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავების, ევრაზიის სატრანსპროტო დერეფნის მთელს სივრცეზე არსებული სატრანსორტო კომუნიკაციების ინტენსიფიკაციის, ახალი მაგისტრალების მშენებლობის რაოდენობრივი, ეტაპობრივი, ტექნიკური და ტექნოლოგიური

პარამეტრების წინასწარი განსაზღვრის პრობლემებს, სადაც საქართველოს, როგორც აღნიშნული სივრცის საკვანძო ქვეყანას, განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია.

დერეფნის მთელ სივრცეზე და განსაკუთრებით შავიზღვისპირა ქვეყნებში სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო-საჰაერო, მაგისტრალური მილსადენი და სპეციალური ტრანსპორტის განვითარების რაოდენობრივი და ეტაპობრივი მახასიათებლების განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო დიაპაზონის სატრანსპორტო კომუნიკაციათა მძლავრი ზეგავლენის გათვალისწინებით, დარგობრივ და ტერიტორიალურ ჭრილში გავიაზროთ ევრაზიის დერეფნის ქვეყნების აღმშენებლობის პერსპექტივა, განვსაზღვროთ მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები და მასშტაბები; წინასწარ დავსახოთ მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

საერთაშორისო ინსტანციებში აპრობირებული ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფნის, მათ შორის მისი საქართველოს მონაკვეთის კომპლექსური ტერიტორიული განვითარების კონცეფცია შექმნის რეგიონის გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული პრიორიტეტების მიზანდასახული რეკლამის, საქმიანი წრეების ურთიერთობის აქტივიზაციის, ინვესტიციათა მიზნობრივად მოზიდვის, ქვეყნების სამრეწველო პოტენციალის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანის საფუძველს, დააჩქარებს კონტინენტზე ეკონომიკური და სოციალური სტაბილიზაციის პროცესს.

სანაოსნო პოტენციალის სრული ამოქმედებით საქართველოს საზღვაო პორტების გამტარუნარიანობა 100 მლნ. ტონას, ხოლო სატარანსპორტო სისტემის თანამედროვე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონეზე რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს გავლით ტრანსპორტირებული ტვირთის დასაშვები ოდენობა 300 მლნ. ტონას გაუტოლდება. ევრაზიის დერეფნის საქართველოს მონაკვეთზე ტვირთის აღნიშნული ოდენობის ტრანზიტი, თანამედროვე ტარიფების გათვალისწინებით ქვეყანას დაახლოებით 3 მილიარდ დოლარს მოუტანს. როგორც ცნობილია, საშუალო განვითარების პირობებში საქართველოს პარამეტრების ქვეყნის ბიუჯეტმა 25–30 მლრდ. დოლარს უნდა მიაღწიოს, აშკარა ხდება, რომ ტრანსპორტმა, როგორც საერთაშორისო ინტერესის ობიექტმა, საქართველოსა და მთელი შავიზღვისპირა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარებაში ბერკეტის ფუნქცია უნდა შეასრულოს.

ტვირთნაკადის მოსალოდნელი ზრდის პირობებში რეგიონში სამომავლო სატრანზიტო ტვირთბრუნვის დასაშვები ოდენობის განსაზღვრა, გადაზიდვების რაციონალური და უსაფრთხო ფორმების შემუშავება, თანამედროვე ავტოსაგზაო, სარკინიგზო მაგისტრალების, საჰაერო და საზღვაო საპორტე ნაგებობათა, მილსადენი მაგისტრალების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოთა მასშტაბების შეფასება, სატრანსპორტო კომუნიკაციების ტრასირების ოპტიმიზაცია- აი სპეციალისტების მიერ პირველ რიგში დასამუშავებელ საკითხთა ნუსხა, რომლებიც ქმნიან ქვეყნის განვითარების სტრატეგიული პერსპექტივის განსაზღვრის საფუძველს.

სარკინიგზო ქსელი, საავტომობილო გზები, შავი ზღვის ნავსადგურები, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის საპორტო-სანაოსნო პოტენციალის დადგენა, საჰაერო გადაზიდვები და აეროპორტები, ნავთობსადენები, გაზსადენები, ენერგოუზრუნველყოფა, კავშირგაბმულობა, მრეწველობა, აგროკომპლექსი, ტურიზმი, რეკრეაცია, სოციალური სფერო, დემოგრაფიული პრობლემები, ქალაქები და დასახლებული პუნქტები, განსახლების სქემა, გარემოს დაცვა, საინჟინრო-გეოლოგიური უზრუნველყოფა, მეტროლოგიური უზრუნველყოფა და სტანდარტიზაციის საკითხები, საბაჟო სისტემა, ტექნიკური უსაფრთხოების, სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები ეს ის პრობლემებია, რომელთა შეჯერებას და ურთიერთშეხამებას საჭიროებს სრულფასოვანი ტერიტორიულ-გეგმარებითი კონცეფციის განხორციელება.

საქართველოს პრეზიდენტის დავალების საფუძველზე დამუშავდა ევრაზიის დერეფნის საქართველოს მონაკვეთის ტერიტორიული განვითარების საკითხთა მართვის სქემა, რომელიც პრობლემათა გლობალურობიდან გამომდინარე ითვალისწინებს დარგთაშორისი სამთავრობო კომისიისა და ევრაზიის დერეფნის ქვეყნების სამთავრობოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ამოქმედებას, ევრაზიის დერეფნის საქართველოს მონაკვეთის ტერიტორიული განვითარების, პროექტირების, სამეცნიერო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას. განხილვის სტადიაშია პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისი პროექტი.

საქართველომ, როგორც ევრაზიის დერეფნის საკვანძო ქვეყანამ, საინიციატივო წესით უნდა შეაჯეროს სატრანსპროტო დერეფნის განვითარებით დაინტერესებული ქვეყნების თვალსაზრისი და დასვას საკითხი, რათა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ გამოყოფილ იქნას სახსრები დერეფნის მთელ გეოეკონომიკურ სივრცეზე საწარმოო ძალთა და შრომის განაწილების ზოგადი პრინციპების შემუშავების მიზნით, რაც რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძველი უნდა გახდეს.



*MERAB MAKARASHVILI - chairman of EFG commission for global problems, director of executive bureau of territorial development program of TRACECA Georgian section under the Ministry of Urbanization and Construction of Georgia, candidate of technical sciences*

# ON MEASURES FOR TERRITORIAL DEVELOPMENT OF EURASIA CORRIDOR AND ITS GEORGIAN SECTION

## *(annotation)*

The article describes the prospects of transport corridor of Europe-Caucasus-Asia (TRACECA), appraises the aspects making implementation of this project inevitable. Here are also considered those urgent problems to be solved by all participants of this project.

The project requires the thorough study of all aspects in order to become the prerequisite of the stable and safe development of countries of this region.

# ს ა რ ჩ ე ვ ი:


წინასიტყვაობა 3

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ 4

2. თბილისის ეკონომიკური ფორუმის მიზნობრივი პროგრამები 8

3. გერმანიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ნორბერტ ბაასის მისასალმებელი სიტყვა 9

4. გელა გრიგოლაშვილი

I. მრეწველობის რეაბილიტაციის ეკონომიკური პრობლემები;
II. საინვესტიციო ნაკადების მართვის ორგანიზაციული ასპექტები 11

5. ქეთევან ამირეჯიბი

მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში 20

6. მაიკლ მირა

ბუღალტრული აღიცხვა როგორც ინფორმაციის საშუალება 23

7. მერაბ ვაშაკიძე

ქ. თბილისის საწარმოების მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე 24

8. მიხეილ გვერდწითელი

წინადადებები ქ. თბილისის ენერგეტიკული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის 27

9. გურამ ხმალაძე

წინადადებები კავშირგაბმულობის სფეროს განვითარებისათვის 29

10. ლეო ჩიქავა

დასაქმება და უმუშევრობა თბილისში 31

11. ავთანდილ სულაბერიძე

ქ. თბილისის სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების პრობლემები 35

12. გიორგი ლორთქიფანიძე

წინადადებები განათლების სისტემის სრულყოფისათვის 41

13. თეიმურაზ შენგელია

წინადადებები ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისათვის 43





14. კონსტანტინე ამირეჯიბი

თბილისის განვითარების ახალი ქალაქგეგმარებითი პრინციპები 45

15. ლადო ვარდოსანიძე

თბილისის განვითარების სამართლებრივი, ინსტიტუციური და სივრცით-გეგმარებითი პირობები 48

16. ნათია ჯოხაძე

თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის სოციოლოგიური წანამძღვრები 53

17. გივი კიზირია, მალხაზ გედიაშვილი

თბილისის შენობა-ნაგებობების მდგრადობის საკითხისათვის 56

18. გენო ჩიქვინიძე

საქართველოში მშენებარე დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლებისა და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობათა დამთავრებისა და პრივატიზების ღონისძიებათა შესახებ 58

19. რონ ჯყოიძე

თბილისის კომუნალური დარგის განვითარების შესახებ 61

20. ავთანდილ კერვალიშვილი

წინადადებები ქ. თბილისის თბომომარაგების უზრუნველყოფისათვის 63

21. ვლასი გოგლიძე

ზოგიერთი მოსაზრებანი თბილისის გზებისა და ქუჩების ქსელის აღდგენა-სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ 65

22. კონსტანტინე მჭედლიშვილი

თბილისის სატრანსპორტო პრობლემები 68

23. მერაბ მაქარაშვილი
ევრაზიის დერეფნისა და მისი საქართველოს მონაკვეთის ტერიტორიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ 73

CONTENT:

1. INFORMATION ABOUT ASSOCIATION 6

2. TARGET-ORIENTED PROJECTS OF TBILISI ECONOMIC FORUM 8

3. *NORBERT BAAS, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Germany to Georgia*
ADDRESS TO THE PARTICIPANTS OF THE II SESSION OF TBILISI ECONOMIC FORUM 10

4. *GELA GRIGOLASHVILI*
I. ECONOMIC PROBLEMS OF REHABILITATION OF INDUSTRY
II. ORGANIZATIONAL ASPECTS OF MANAGEMENT OF INVESTMENT FLOWS 19

5. *KETEVAN AMIREJIBI*
PURPOSES OF DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESS 22

6. *MICHAEL MIRA*
ACCOUNTING AS MASS MEDIA 23

7. *MERAB VASHAKIDZE*
ARRANGEMENT OF TBILISI ENTERPRISES TO INTERNATIONAL LEVEL 26

8. *MICHAEL GVERDTSITELI*
PROPOSALS FOR IMPROVEMENT OF ENERGY SUPPLY OF TBILISI 28

9. *GURAM KHMALADZE* 30

10. *LEO CHIKAVA*
EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT IN TBILISI 34

11. *AVTANDIL SULABERIDZE*
PROBLEMS OF SOCIAL AND ECONOMIC DEVELOPMENT OF TBILISI 40

12. *GEORGE LORTKIPANIDZE*
PROPOSALS FOR IMPROVEMENT OF EDUCATIONAL SYSTEM 42

13. *TEIMURAZ SHENGELIA*
PROPOSALS FOR IMPRUVMENT HEALTH CARE SYSTEM 44

14. *KONSTANTINE AMIREJIBI*
NEW CITY-PLANNING PRINCIPLES OF TBILISI DEVELOPMENT 47

15. *LADO VARDOSANIDZE*
LEGISLATIVE, INSTITUTIONAL AND SPATIAL AND PLANNING CONDITIONS OF TBILISI DEVELOPMENT 52

16. *NATIA JOKHADZE*
SOCIOLOGICAL PREREQUISITES OF REHABILITATION OF TBILISI HISTORICAL AREA 55



17. *GIVI KIZIRIA, MALKHAZ BEDIASHVILI*
ON STABILITY OF BUILDINGS AND STRUCTURES OF TBILISI 57

18. *GENO CHIKVINIDZE*
ON ARRANGEMENTS FOR COMPLETION OF BUILDING AND PRIVATIZATION OF HOUSES AND OTHER SOCIAL SPHERE OBJECTS UNDER CONSTRUCTION IN GEORGIA 60

19. *ROIN CHKOIDZE*
ON DEVELOPMENT OF TBILISI COMMUNAL UTILITIES 62

20. *AVTANDIL KERVALISHVILI*
PROPOSALS FOR SUPPLY OF TBILISI WITH HEAT 64

21. *VLASI GOGLIDZE*
SOME OBSERVATIONS ON RESTORATION AND IMPROVEMENT OF TBILISI ROADS AND STREETS 67

22. *KONSTANTINE MCHEDLISHVILI*
TBILISI TRANSPORT PROBLEMS 72

23. *MERAB MAKARASHVILI*
ON MEASURES FOR TERRITORIAL DEVELOPMENT OF EURASIA CORRIDOR AND ITS GEORGIAN SECTION 75